

K 234-669
3

ანონდებულ
ნორმატიული
სამართლებრივი
დოკუმენტების
კრებული

საქართველოს
სამართლებრივი
სისტემა

საგამომცემლო საქმე



საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამაერცელებელთა ასოციაცია



საკანონმდებლო
ნორმატიული
სამართლებრივი
დოკუმენტების
კრებული

~

შეადგინა
თამარ ხიდაშელა

საგამომცემლო საქმე

საკანონმდებლო
ნორმატიული
სამართლებრივი
დოკუმენტების
კრებული



თბილისი
გამომცემლობა აზრი
2001

კრებული გამოცემულია ევრაზიის ფონდის მიერ
დაფინანსებული პროექტის „საგამომცემლო ბიზნესის
განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ეგიდით



ფონდი ევრაზია
წარმომადგენლობა საქართველოში



საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია


რედაქტორი შირაზ მათაბაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ივანე კიკნაძე

ყველა უფლება დაცულია.
ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით,
იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური,
მათ შორის ფოტოპირის გადაღება და
მაგნიტურ მატარებელზე ჩანერა, არ შეიძლება გამოცენებულ ან
გადაცემულ იქნეს საავტორო უფლების მქონის
წერილობითი ნებართვის გარეშე

© შედგენა, თამარ ხიდაშელი 2001
© თარგმნა (ფლორენციის შეთანხმება და ნაირობის პაქტი), თამარ ხიდაშელი 2001
© დიზაინი, გამოცემლობა აზრი 2001

ISBN 99928 70 35 4

გამომცემლობა აზრი
თბილისი, მერაბ კოსტავას 14, I სართული
ტელ.: 99 01 06 ფაქსი: 98 97 87
ელ. ფოსტა: mcrc@ip.osgf.ge
<http://azri.virtualave.net>



სარჩივი

წინასიტყვაობა 5

ეროვნული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები

- საქართველოს კონსტიტუცია 9
- საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ* 11
- საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ* 11 ✓
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 73
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 82
- საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ* 85
- საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ* 103
- საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ 107
- საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ 108
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი 110
- ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №9-2* 111

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 115
- ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ 116

K 234-669
3

- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და
პოლიტიკური უფლებების შესახებ **117**
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და
კულტურული უფლებების შესახებ **118**
- ბერნის კონვენცია ლიტერატურული და
მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ* **119**
- შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების
ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ **166**
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი
საკითხისადმი მიძღვნილი დიპლომატიური კონფერენცია* **170**
- ფლორენციის შეთანხმება საგანმანათლებლო, მეცნიერული და
კულტურული მასალების იმპორტის შესახებ* **180**
- საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების
იმპორტის შესახებ შეთანხმების პროტოკოლი* **192**

* სრული ტექსტი.

წინასიტყვაობა

2000 წელს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი – „საგამომცემლო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ძლიერი და დამოუკიდებელი საგამომცემლო ინდუსტრიის ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში, მის ინტეგრაციას საგამომცემლო საქმიანობის საერთაშორისო პროცესებში.

საგამომცემლო პროდუქტი (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი...) არ არის მხოლოდ ბიზნეს-პროდუქტი. იგი ამასთანავე ინფორმაციის გავრცელების საშუალებაა და დაკავშირებულია ადამიანის სხვა ძირითად უფლებასა და თავისუფლებასთან, როგორცაა რწმენის თავისუფლება, აზრის თავისუფლად გამოთქმის და გავრცელების თავისუფლება, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება. ალბათ გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ გამომცემლები წარმოადგენენ ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც აძლევენ ხალხს შესაძლებლობას განახორციელონ ქვეყნის უზენაესი კანონით – საქართველოს კონსტიტუციით – გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია განვითარების გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის, საგამომცემლო საქმიანობა თანდათან ძალას იკრებს საქართველოში. ცალკეულმა კერძო გამომცემლებმა უკვე შეძლეს შეექმნათ ნორმალური ტექნიკური ბაზა; ათვისებულ იქნა ახალი ტექნოლოგიები, რამაც შესაძლებელი გახადა შედარებით მაღალი ხარისხის საგამომცემლო პროდუქციის შექმნა; უკანასკნელი წლების განმავლობაში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობებში მონაწილეობის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქართველ გამომცემელთა საერთაშორისო კონტაქტები. 1995 წელს



საქართველომ ხელი მოაწერა ბერნის კონვენციას ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ, რამაც დღის წესრიგში დააყენა საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო სისტემის სტანდარტების შესრულების პრობლემა. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს გამომცემელთა გათვითცნობიერებას საავტორო სამართლის სფეროში არსებულ კანონმდებლობაში.

წინამდებარე კრებული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში თავმოყრილია ეროვნული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომელიც ეხება წიგნის, ჟურნალის, გაზეთის გამოცემას, ბეჭდვას, მიწოდებას და იმპორტს; ინფორმაციის მოპოვებას; საავტორო და მომიჯნავე უფლებებს; პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვას; ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას და მრავალი სხვა. მეორე ნაწილი შედგება საერთაშორისო აქტებისაგან. მათ შორისაა ისეთებიც, რომელთა წევრიც საქართველო არ არის, მაგრამ მათი გაცნობა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. მაგალითად: ფლორენციის შეთანხმება საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ; აღნიშნული შეთანხმების ნაირობის პროტოკოლი; საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი საკითხისადმი მიძღვნილი დიპლომატიური კონფერენციის ტექსტი.

აღნიშნული კრებული დახმარებას გაუწევს გამომცემლებს, რედაქტორებს, ჟურნალისტებს, გამავრცელებლებს და ამ ბიზნესით დაინტერესებულ პირებს.

ეროვნული
საკანონმდებლო
ნორმატიული
აქტები

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. †

9. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. †

10. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. †

მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. †

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. †

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს. †

მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. †

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. †

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. †

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, †



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო
უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი
უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებ-
ლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალუ-
რად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან
სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსა-
ყოფად.

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია, დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები).

მუხლი 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებათა წესები.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება:

ა) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული იურიდიული პირი;

ბ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოცემულად, თუ საზღვარგარეთ



პირველი გამოცემიდან ოცდაათი დღის განმავლობაში ისინი გამოიცხადებენ
ქართველოს ტერიტორიაზე;

გ) შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩანერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად; შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩანერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

დ) იმ მაუნყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული იურიდიული პირები და პროგრამებს გადასცემენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადაცემების მეშვეობით;

ე) არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტურულ ნაწარმოებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;

ვ) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუნყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

მუხლი 4. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) „ავტორი“ – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები;

ბ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოები“ – ნაწარმოები, რომელიც შედგება თანამიმდევრული გამოსახულებებისაგან ხმის თანხლებით ან/და უამისოდ, ქმნის მოძრაობის შთაბეჭდილებას და შეიძლება აღქმულ იქნეს მხედველობითი ან/და სმენით. აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს მიეკუთვნება კინემატოგრაფიული და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატულია კინემატოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით (ტელე-, ვიდეო-, დიაფილმები და სხვა);

გ) „აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინი-

ციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა ასეთი ნაწარმოების დამზადებლისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე;

დ) „გამოქვეყნება“ – ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით განხორციელებული მოქმედება, რომლის შედეგადაც პირველად ხდება ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მაუნუებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობა გამოცემის, საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემისა და სხვა გზით;

ე) „გამოცემა“ – ავტორის ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელის თანხმობით ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარების სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება გაყიდვის ან გაქირავების, ანდა ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარებზე საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით, იმ რაოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებებს. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება გამოცემულად, თუ ისინი ხელმისაწვდომია ინფორმაციის ელექტრონულ სისტემათა მეშვეობით;

ვ) „გაქირავება“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ორიგინალის ან ასლის ხელმისაწვდომობა დროის განსაზღვრულ პერიოდში სარგებლობისათვის მოგების მიღების მიზნით;

ზ) „ვიდეოგრამა“ – გამოსახულებათა თანამიმდევრობის ჩანაწერი რაიმე ობიექტური ფორმით, ხმის თანხლებით ან უამისოდ;

თ) „ვიდეოგრამის დამამზადებელი (პროდიუსერი)“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა გამოსახულებათა თანამიმდევრობის პირველი ჩანაწერის ხმის თანხლებით ან უამისოდ განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება, ვიდეოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ვიდეოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;

ი) „კაბელით გადაცემა“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გადაცემა კაბელით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით ან სხვა ანალოგიური მონყობილობით. („კაბელით ხელახალი გადაცემა“ წარმოადგენს ერთდროულ, შეუცვლელ და შეუკვეცავ ხელახალ გადაცემას მიკროტალღური



სისტემის მეშვეობით საზოგადოების მიერ მისთვის განკუთვნილი ტელევიზიური და რადიოპროგრამების საწყისი გადაცემის მისაღებად სადენით ან საკაბელო გზით, სატელიტური კავშირის ჩათვლით);

კ) „კომპიუტერული პროგრამა“ – ინსტრუქციათა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სქემების ან მანქანით ნაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა ამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ტერმინი მოიცავს კომპიუტერული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელ მასალას;

ლ) „მაუნყებლობა“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გადაცემა უმავთლო კავშირგაბმულობით, მათ შორის, თანამგზავრის მეშვეობით. („თანამგზავრი“ ნიშნავს ყველა თანამგზავრს, რომელიც მუშაობს სიხშირეთა იმ დიაპაზონში, რომელიც ტელესაკომუნიკაციო წესების მიხედვით განკუთვნილია საზოგადოებისათვის მისაწოდებელი სამაუნყებლო სიგნალებისათვის. „თანამგზავრის მეშვეობით გადაცემა“ გულისხმობს პროგრამების მატარებელი სიგნალების მიღებას მაუნყებლობის ორგანიზაციის კონტროლისა და პასუხისმგებლობის პირობებში. საზოგადოებისათვის განკუთვნილი პროგრამები მიიღება კავშირის უწყვეტი ჯაჭვის სახით – ზევით სატელიტისა და ქვევით დედამიწის მიმართულებით. თუ პროგრამის მატარებელი სიგნალები დაშიფრულია, სატელიტური კავშირი ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მაუნყებლობის ორგანიზაცია თანახმაა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის გაშიფვრის საშუალებათა მიწოდება);

მ) „მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემა“ – პროგრამა, რომელიც შექმნილია თვით საეთერო ან საკაბელო მაუნყებლობის ორგანიზაციის მიერ, ან მისი შეკვეთითა და მისივე სახსრებით სხვა ორგანიზაციის მიერ. პროგრამა, რომელიც მხოლოდ ხელახლა გადაიყვანა კაბელით საკაბელო ორგანიზაციის მეშვეობით, არ წარმოადგენს ამ საკაბელო ორგანიზაციის გადაცემას;

ნ) „მონაცემთა ბაზა“ – სისტემური ან მეთოდური წესით განლაგებული ნაწარმოებების, დამოუკიდებელი ინფორმაციის, მონაცემებისა და სხვა მასალის კრებული, რომელიც ინდივიდუალურად ხელმისაწვდომია ელექტრონული ან სხვა საშუალებებით. ტერმინი არ მოიცავს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საშუალებებით ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის შექმნისა და გამოყენების დროს;

ა) „რეპროდუცირება“ – ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებებით

და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩანერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით ნაკითხვადი სხვა ფორმით, გარდა გამოცემისა;

ბ) „რეპროგრაფიული გამრავლება (ასლის გადაღება)“ – წერილობითი ან გრაფიკული ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის ფაქსიმილური რეპროდუცირება გადიდებული თუ შემცირებული ზომით, ფოტოკოპირების ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. რეპროგრაფიულ გამრავლებად არ ჩაითვლება ჩანერა ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით ნაკითხვადი სხვა ფორმით;

გ) „საჯარო გადაცემა (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)“ – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შეიძლება აღქმულ იქნეს იმ პირთა მიერ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, ადგილზე (ადგილებზე), რომლის (რომელთა) დაშორებაც გადაცემის ადგილიდან ისეთია, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მითითებულ ადგილზე (ადგილებზე);

დ) „საჯარო შესრულება“ – ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობით;

ე) „საჯარო ჩვენება“ – ნაწარმოების, შესრულების, ვიდეოგრამის, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემის დემონსტრირება, უშუალოდ ან ეკრანზე ფირის, სლაიდის, კადრის მეშვეობით ან სხვაგვარად, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო ჩვენება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო ჩვენებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანამიმდევრობის გარეშე;



ტ) „ტექნიკური საშუალება“ — მონყობილობა ან მისი კომპონენტები რომელიც განკუთვნილია საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ნებისმიერი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად;

უ) „უფლების მართვის ინფორმაცია“ — ინფორმაცია, რომელშიც მითითებულია ავტორი, ნაწარმოები, შემსრულებელი, შესრულება, ფონოგრამა, ფონოგრამის დამამზადებელი, ვიდეოგრამა, ვიდეოგრამის დამამზადებელი, მაუნყებლობის ორგანიზაცია, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემა, მონაცემთა ბაზა, მონაცემთა ბაზის დამამზადებელი ან ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების მფლობელი, ანდა ინფორმაცია ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების ვადებისა და პირობების შესახებ, ციფრები და კოდები, რომლებშიც ასახულია ეს ინფორმაცია, როდესაც ამ ინფორმაციის შემადგენელი ნაწილები ერთვის ნაწარმოებს, ჩანერილ შესრულებას, ფონოგრამას, ვიდეოგრამას ან მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემას ან ჩნდება ნაწარმოების, ჩანერილი შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემის საზოგადოებისათვის გაცნობის დროს;

ფ) „ფონოგრამა“ — შესრულების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვანი ჩანანერი. ტერმინი არ მოიცავს გამოსახულებებთან ერთად ჩანერილი ბგერების ჩანანერს, როგორცაა აუდიოვიზუალური ნაწარმოების მუსიკალური ფონი;

ქ) „ფონოგრამის დამამზადებელი“ — ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო ინიციატივა და იკისრა პასუხისმგებლობა შესრულების ან სხვა ხმების პირველი ხმოვანი ჩანანერის განხორციელებისათვის; თუ არ არსებობს სანინაალმდეგო დასაბუთება, ფონოგრამის დამამზადებლად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი ან/და დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ფონოგრამაზე ან/და მის ფუტლარზე;

ღ) „ჩანერა“ — ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გამოსახულების ან/და ხმის ფიქსაცია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მათი არაერთგვრადი აღქმის, რეპროდუქციებისა და გადაცემის საშუალებას იძლევა;

ყ) „შემსრულებელი“ — მსახიობი (თეატრისა, კინოსი და ა. შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, მათ შორის საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს.

მუხლი 5. საავტორო უფლების ობიექტები

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

2. საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტურ ფორმით.

3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

მუხლი 6. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია:

ა) ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვა);

ბ) დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, ქორეოგრაფიის ან პანტომიმის ნაწარმოები და სასცენო ნაწარმოები;

გ) მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ;

დ) აუდიოვიზუალური ნაწარმოები (კინო-, ტელე-, ვიდეოფილმები და სხვა);

ე) სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა მსგავსი ნაწარმოები;

ვ) დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტალური ხელოვნების ნაწარმოები;

ზ) თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;

თ) არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები;

ი) ფოტოგრაფიული ნაწარმოები ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოები. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ცალკეული გამოსახულება არ ითვლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად;

ს ა ვ ტ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ს
პ ა რ ო ნ ა მ ე ნ ტ ი ს
ე რ ო ვ ნ ე შ ო ლ ი
ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა

კ) რუკა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოები რომელიც მიეკუთვნება გეოგრაფიის, კარტოგრაფიის ან სხვა დარგებს;

ლ) გადაამუშავებული ნაწარმოები, კერძოდ, თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პნკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამამუშავება;

მ) შედგენილი ნაწარმოები, კერძოდ, კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს;

ნ) სხვა ნაწარმოებები.

2. გადაამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი.

3. გადაამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად.

4. კომპიუტერული პროგრამების დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამაზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

მუხლი 7. საავტორო უფლების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებისგან

1. საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები.

2. მხატვრული ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლის 8. ნაწარმოებები, რომლებზედაც არ ვრცელდება საავტორო უფლება

1. საავტორო უფლება არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე:

ა) ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე;



ბ) სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);

გ) ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ნაწარმოებთა სხვისი სახელით გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ავტორის სახელის უფლების დაცვა.

მუხლი 9. საავტორო უფლების წარმოშობა

1. საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმის და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

2. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმლობათა დაცვა.

3. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს ნაწარმოები რეგისტრაციაში გაატაროს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს რეესტრში. რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი, რომელიც თავისთავად არ წარმოშობს ავტორობის პრეზუმფციას.

4. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:

ა) ლათინური C ნრენირში: ©;

ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);

გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

მუხლი 10. ავტორობის პრეზუმფცია

1. პირი, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი, ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე, მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. ეს დებულება გამოიყენება ასევე ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია.

2. როდესაც ნაწარმოები ქვეყნდება ფსევდონიმით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია) ან

ანონიმურად, გამომცემელი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე, ითვლება ავტორის წარმომადგენლად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. მას, როგორც წარმომადგენელს, უფლება აქვს დაიცვას ავტორის უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ეს დებულება გამოიყენება მანამ, სანამ ასეთი ნაწარმოების ავტორი არ გაამჟღავნებს თავის ვინაობას.

მუხლი 11. თანავტორობა

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა (თანავტორობა), ერთობლივად ეკუთვნის თანავტორებს, იმის მიუხედავად, ეს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ განუყოფელ მთლიანობას თუ შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. თანავტორთა ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. არც ერთ თანავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე.

3. თანავტორებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ ნაწარმოები ერთობლივი, საზიარო ფსევდონიმით.

4. ყოველ თანავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თანავტორობით შექმნილი ნაწარმოების ნაწილი ჩაითვლება დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ, თუ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების სხვა ნაწილების გარეშე.

მუხლი 12. შედგენილი ნაწარმოების ავტორის (შემდგენლის) უფლებები

1. შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს.

2. შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება.

3. შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ნაწარმოებები შედგენილი ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.



4. შედგენლის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, განხორციელონ იმავე მასალის შერჩევა და განლაგება თავიანთ შედგენილ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მუხლი 13. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე.
2. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება.
3. გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს, გადაამუშაონ იგივე ნაწარმოები.

მუხლი 14. გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები

1. ენციკლოპედიების, ენციკლოპედიური ლექსიკონების, მეცნიერული ნაშრომების, პერიოდული და ერთმანეთის გამგრძელებელი კრებულების, გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გამომცემლებს ეკუთვნით ამ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომცემელს უფლება აქვს, ასეთ ნაწარმოებთა ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ გამოცემებში შესულ ნაწარმოებთა ავტორები ინარჩუნებენ თავიანთი ნაწარმოებების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 15. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე

1. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანაავტორები) არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დილოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.
2. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე ხელშეკრულების დადება იწვევს ავტორთა (თანაავტორთა) მიერ ამ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებლისათვის, ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების პირობით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ავტორი მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად აუდიოვიზუალური

ნაწარმოებისათვის, ინარჩუნებს უფლებას, მიიღოს ჰონორარი ასეთი მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებისათვის, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო შესრულებისა და საჯარო ჩვენების დროს. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით.

3. აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს უფლება აქვს, ასეთი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი ან მოითხოვოს მისი მითითება.

4. ავტორი ადრე შექმნილი ნაწარმოებისა, რომელიც გადამუშავებულია ან ჩართულია შემადგენელ ნაწილად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, აგრეთვე ავტორი ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში, ინარჩუნებენ საავტორო უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თავიანთ ნაწარმოებებზე. მათ უფლება აქვთ დამოუკიდებლად ისარგებლონ ამ ნაწარმოებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ პირობით, რომ ასეთი სარგებლობა ხელს არ შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას.

მუხლი 16. საავტორო უფლება სამსახურობრივ ნაწარმოებზე

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურობრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურობრივი ნაწარმოები), ეკუთვნის სამსახურობრივი ნაწარმოების ავტორს.

2. სამსახურობრივი ნაწარმოების ისეთი გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რომელიც შეპირობებულია დავალების შინაარსითა და მიზნით, ეკუთვნის პირს, რომელთანაც ავტორს აქვს შრომითი ურთიერთობა (სამუშაოს მიმცემი), თუ მას და ავტორს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. კომპიუტერულ პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმცემი სარგებლობს შექმნილი კომპიუტერული პროგრამის გამოყენების განსაკუთრებული ქონებრივი უფლებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. ავტორის მიერ სამუშაოს მიმცემისათვის ნაწარმოების გადაცემიდან 5 წლის შემდეგ მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე, თუ მას და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. თუ სამუშაოს მიმცემი ნაწარმოების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში არ გამოიყენებს ნაწარმოებს, მისი გამოყენების განსაკუთრებული უფლება გადადის ავტორზე. ეს დებულება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაწარმოების გამოყენება საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვეტილია 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

6. სამუშაოს მიმცემს უფლება აქვს სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისას მიუთითოს თავისი სახელი (დასახელება) ან მოითხოვოს ასეთი მითითება.

7. სამსახურებრივი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების საავტორო გასამრჯელოს (ჰონორარის) ოდენობა და გადახდის წესი შეიძლება განისაზღვროს ავტორსა და სამუშაოს მიმცემს შორის ხელშეკრულებით.

8. ეს მუხლი არ ვრცელდება გადამუშავებულ სამსახურებრივ ნაწარმოებზე.

მუხლი 17. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია:

ა) აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან და ნებისმიერი სახის გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება);

ბ) მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, აგრეთვე უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება);

გ) პირველად გამოაქვეყნოს ნაწარმოები;

დ) ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეკრულების უფლება);

ე) დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);

ვ) ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოების სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა);



ზ) მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების მოხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამომხმობის შესახებ. ნაწარმოების გამომხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურეობრივ ნაწარმოებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელება ხდება ავტორის ხარჯზე. ავტორმა ნაწარმოების მოსარგებლეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი მოგების ჩათვლით. ავტორს აგრეთვე უფლება აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიღოს გავრცელების მიზნით ადრე დამზადებული ნაწარმოების ეგზემპლარები.

3. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც.

4. დაუსვებელია პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. მათი განხორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხდება ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება.

2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს;

ა) ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

ბ) ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელის სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);

გ) ნაწარმოების ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება);

დ) ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება). ეს უფლება არ გამოიყენება, თუ საჯარო ჩვენება არის სამოქალაქო ბრუნვაში გაშვებული ნაწარმოების კანონიერი შესყიდვის შედეგი;

ე) ნაწარმოების საჯარო შესრულება (საჯარო შესრულების უფლება);

ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, ეთერში ან კაბელით პირველი ან/და შემდგომი გადაცემის ჩათვლით (საჯარო გადაცემის უფლება);

ზ) ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება).

3. ავტორს ან განსაკუთრებული საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს საავტორო ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (ჰონორარის უფლება).

4. თუ მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების ეგზემპლარები იყიდება, მაშინ დაშვებულია მათი შემდგომი გავრცელება ავტორის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

5. ნოტივით გამოხატული მუსიკალური ნაწარმოების, აუდიოვიზუალური ნაწარმოების, კომპიუტერული პროგრამის, მონაცემთა ბაზის, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოების ავტორებს ან საავტორო უფლებათა სხვა მფლობელებს ეკუთვნით აღნიშნულ ნაწარმოებთა ორიგინალის ან ასლების გაქირავებით გავრცელების განსაკუთრებული უფლება, ამ ორიგინალზე ან ასლებზე საკუთრების უფლების მიხედვით.

6. არქიტექტურული, ქალაქმშენებლობისა და საბალე-საპარკო პროექტების გამოყენების განსაკუთრებული უფლება მოიცავს ასეთი პროექტების განხორციელების უფლებას.

7. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ნებისმიერი გამოყენებისათვის დგინდება საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლებსა და ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულებით.

8. პირს, რომელიც საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ პირველად გამოაქვეყნებს ადრე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს, ამ ნაწარმოებზე წარმოეშობა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქონებრივი უფლებები.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებათა შეზღუდვები განისაზღვრება ამ კანონის 21-28-ე მუხლებით, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები ხელს არ შეუშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 19. ქონებრივი უფლებები კომპიუტერულ პროგრამებზე და მონაცემთა ბაზებზე

1. კომპიუტერული პროგრამის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) კომპიუტერული პროგრამის რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ ასეთი რეპროდუცირება

ესაჭიროება კომპიუტერული პროგრამის ჩატვირთვას, ჩვენებას, შენახვას, გადაცემას (ტრანსმისიას) ან შენახვას, აუცილებელია ავტორის თანხმობა;

ბ) კომპიუტერული პროგრამის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება იმ პირობის უფლებების დაცვით, რომელიც ცვლის კომპიუტერულ პროგრამას;

გ) კომპიუტერული პროგრამის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით, გაქირავების ჩათვლით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით პროგრამის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გავრცელების კონტროლის უფლება, გარდა უფლებისა – გააკონტროლოს პროგრამის ორიგინალის ან ასლების შემდგომი გაქირავება.

2. მონაცემთა ბაზის ავტორი ამ კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ უფლებებთან ერთად სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს;

ა) მონაცემთა ბაზის დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ;

ბ) მონაცემთა ბაზის თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზება ან სხვაგვარი ცვლილება და მიღებული შედეგების რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა, ჩვენება ან შესრულება;

გ) მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება ნებისმიერი ფორმით. საქართველოში ავტორის მიერ ან მისი თანხმობით ბაზის ასლების პირველი რეალიზაციით ამოიწურება საქართველოს ფარგლებში ასეთი ასლების გაყიდვის კონტროლის უფლება;

დ) ნებისმიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური, პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით.

მუხლი 20. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებები

1. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრეს, მისცეს საშუალება განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება). ამასთან, მესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

2. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ მისი საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის, სამხატვრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავტორს ან მის მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიი-



ლონ გამყიდველისაგან ჰონორარი გასაყიდი ფასის 5 პროცენტის ოდენობით. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით. გამყიდველები ვალდებული არიან აღნიშნულ ორგანიზაციას მისი მოთხოვნით მიანოდონ ინფორმაცია გაყიდვების შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გასხვისება ავტორის სიცოცხლეში. იგი კანონით ან ანდერძით გადადის მხოლოდ მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

თავი III

ქონებრივი უფლებების შეზღუდვა

მუხლი 21. ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის

1. დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ გამოიყენება:

- ა) არქიტექტურული ნაწარმოებების შენობა – ნაგებობათა ფორმით რეპროდუცირებისას;
- ბ) ელექტრონული მონაცემთა ბაზების რეპროდუცირებისას;
- გ) კომპიუტერული პროგრამების რეპროდუცირებისას, გარდა ამ კანონის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- დ) ნიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროგრაფიული გამრავლებისას;
- ე) აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოების რეპროდუცირებისას.

3. ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წესისაგან განსხვავებით, უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ჰონორარი.

4. ჰონორარი გადაიხდება პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელ მონყობილობათა (აუდიო და ვიდეომანქანოფონებისა და სხვა მონყობილობათა) და მატერიალურ მატარებელთა (ფონო- და ვიდეოფირების, კასეტების, ლაზერული ფირფიტების,

კომპაქტფორფიტებისა და სხვა მატერიალურ მატარებელთა) მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ.

5. ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს, ამ ორგანიზაციათა შორის შეთანხმების შესაბამისად. თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ჰონორარი ნაწილდება შემდეგნაირად: 40 პროცენტი — ავტორებს, 30 პროცენტი — შემსრულებლებს, 30 პროცენტი — ფონოგრამების დამამზადებლებს. აღნიშნულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, მათ შორის, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან მოითხოვონ ინფორმაცია ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ მონაცემობათა და მატერიალურ მატარებელთა წარმოებისა და იმპორტის შესახებ.

6. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, აღნიშნულ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო.

7. ჰონორარი ნაწილდება იმ ნაწარმოებთა ავტორებსა და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს შორის, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებში და რომლებიც, სავარაუდოა, რომ რეპროდუცირებას ახდენდნენ პირადი სარგებლობისათვის.

8. ჰონორარი არ გადაიხდევენება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემობებსა და მატერიალურ მატარებლებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენს:

ა) ექსპორტის საგანს;

ბ) პროფესიულ მონაცემობას, რომელიც არ არის განკუთვნილი საშინაო გამოყენებისათვის.

9. ჰონორარი აგრეთვე არ გადაიხდევენება ფიზიკურ პირთა მიერ აღნიშნული მონაცემობებისა და მატერიალური მატარებლების პირადი მიზნით იმპორტირების შემთხვევაში.

მუხლი 22. ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ

დაშვებულია რეპროგრაფიული გამრავლება პირდაპირი და არაპირდაპირი მოგების მიუღებლად, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით. ასეთი რეპროგრაფიული გამრავლება დაიშვება:

ა) ერთეულ ეგზემპლარად, მართლზომიერად გამოცემული ნაწარმოებების განადგურებულ, დაკარგულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგერ ეგზემპლართა შესაცვლელად ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ; სხვა ბიბლიოთეკების ფონდებიდან დაკარგულ, განადგურებულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარ ეგზემპლართა შესაცვლელად ამ ბიბლიოთეკებისათვის გადაცემის მიზნით, თუ ასეთი ეგზემპლარების მიღება ჩვეულებრივ პირობებში სხვა გზით შეუძლებელია;

ბ) ერთეულ ეგზემპლარად, მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ, ფიზიკურ პირთა მოთხოვნით, სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით;

გ) მართლზომიერად გამოცემული ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე მოცულობის ნაწარმოებების ან წერილობითი ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, მეცადინეობისათვის.

მუხლი 23. ნაწარმოების გამოყენება ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე

დაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით:

ა) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებების ორიგინალიდან ან თარგმანიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოხილვისათვის რეპროდუცირების ჩათვლით;



ბ) მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან მოკლე ნაწარმოებების გამოყენება ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო და ტელეგადაცემებში, სასწავლო სასიათის ფონო და ვიდეოჩანაწერებში, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში მართლზომიერად გამოქვეყნებული სტატიების ან ეთერში გადაცემული მსგავსი ნაწარმოებების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთი ნაწარმოების კრებულში გამოქვეყნების უფლება;

დ) მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით;

ე) საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების, მათ შორის, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების რეპროდუცირება ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. ამასთან, ავტორს უნარჩუნდება ასეთ ნაწარმოებთა ცალკეულ კრებულად ან წიგნად გამოცემის განსაკუთრებული უფლება;

ვ) მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიგიური ნერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირება მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

მუხლი 24. თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული ნაწარმოების გამოყენება

დაშვებულია თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებულ არქიტექტურულ, ფოტოგრაფიულ, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო



ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაწარმოებების გამოსახულება წარმოადგენს ასეთი რეპროდუქციების ან საჯარო გადაცემის ძირითად ობიექტს ანდა გამოიყენება მოგების მიღების მიზნით.

მუხლი 25. მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს

დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ასეთი ცერემონიის ხასიათით.

მუხლი 26. ნაწარმოების რეპროდუქცირება სასამართლო წარმოებისათვის

დაშვებულია ნაწარმოების რეპროდუქცირება ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, სასამართლო წარმოებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით.

მუხლი 27. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩანერა

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაცია უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის დამატებითი ჰონორარის გადახდის გარეშე, მოკლევადიანი სარგებლობისათვის ჩანეროს ის ნაწარმოები, რომლის ეთერში გადაცემის უფლებაც მიიღო ამ ორგანიზაციამ, შემდეგი პირობების დაცვით:

- ა) ჩანაწერის დამზადება საკუთარი მონაწილეობის მეშვეობით, საკუთარი გადაცემისათვის;
- ბ) ჩანაწერის განადგურება დამზადებიდან 6 თვის შემდეგ, თუ უფრო ხანგრძლივი ვადა არ იყო შეთანხმებული ჩანერილი ნაწარმოების ავტორთან. ავტორის თანხმობის გარეშე ოფიციალურ არქივში შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ დოკუმენტური ხასიათის ჩანაწერი.

მუხლი 28. კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის მფლობელთა უფლებების შეზღუდვები

1. პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ეგზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე:

ა) შეიტანოს კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლის ტექნიკურ საშუალებათა ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ჩანერა და კომპიუტერის მესხიერებაში შენახვა (ერთი კომპიუტერისათვის ან ქსელის ერთი მომხმარებლისათვის), აშკარა შეცდომების გასწორება, თუ საავტორო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) დაამზადოს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ეგზემპლარი იმ პირობით, რომ იგი განკუთვნილია მხოლოდ არქივისათვის და მართლზომიერი მფლობელის დაკარგული; განადგურებული ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარი ეგზემპლარის შესაცვლელად.

2. კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის სარეზერვო ეგზემპლარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესებისაგან განსხვავებული მიზნით და უნდა განადგურდეს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის მფლობელობის უფლების შეწყვეტისთანავე.

მუხლი 29. კომპიუტერული პროგრამის თავისუფალი გამოყენება (დეკომპილირება)

პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ეგზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე განახორციელოს კომპიუტერული პროგრამის დეკომპილაცია (კვლავ ანარმოს და გარდაქმნას ობიექტური კოდი სანყის ტექსტში), აგრეთვე დაავალოს დეკომპილირება სხვა პირებს იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია მის მიერ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ეს მოქმედებები განახორციელა პირმა, რომელსაც ჰქონდა პროგრამის ეგზეკუტორის გამოყენების უფლება, ან მისი სახელით სხვა პირმა, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი ნებართვა;

ბ) ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია სხვა წყაროებიდან ადრე არ ყოფილა ხელმისაწვდომი მისთვის;

გ) ეს მოქმედებები ეხება დეკომპილირებული პროგრამის იმ ნაწილებს, რომლებიც აუცილებელია ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად;

დ) დეკომპილირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ დამოუკიდებლად შექმნილ კომპიუტერულ პროგრამასა და სხვა პროგრამებს შორის ურთიერთმოქმედების უნარის მისაღწევად. ეს ინფორმაცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამოყენებულ იქნეს ახალი კომპიუტერული პროგრამის შესამუშავებლად, რომელიც არსებითად მსგავსია დეკომპილირებული პროგრამისა, ან სხვა ისეთი მოქმედების განსახორციელებლად, რომელიც არღვევს საავტორო უფლებას.

მუხლი 30. მონაცემთა ბაზის თავისუფალი გამოყენება

მონაცემთა ბაზის ორიგინალის ან ასლის მართლზომიერ მოსარგებლეს შეუძლია მონაცემთა ბაზის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობის გარეშე განახორციელოს ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული მოქმედებები, როცა ეს აუცილებელია ბაზაში შეღწევისათვის და მისი ნორმალური გამოყენებისათვის. თუ მართლზომიერ მოსარგებლეს აქვს მონაცემთა ბაზის ნაწილის გამოყენების უფლება, აღნიშნული უფლება ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

თავი IV

საავტორო უფლების მოქმედების ვადა

მუხლი 31. საავტორო უფლების წარმოშობა და მისი მოქმედების ხანგრძლივობა

1. საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში, გარდა ამ კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლით და ამავე კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველს წარმოადგენდა.

მუხლი 32. საავტორო უფლებათა მოქმედების ვადები

1. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნდა, მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერად გამოქვეყნების თარიღიდან. თუ ამ ვადაში ავტორი გაამჟღავნებს თავის ვინაობას ან თუ მისი ვინაობა ეჭვს არ იწვევს, გამოიყენება ამ კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

2. საავტორო უფლება თანავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული თანავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

3. თუ ნაწარმოები ქვეყნდება ტომებად, ნაწილებად, გამოშვებებად ან ეპიზოდებად, ხოლო საავტორო უფლების დაცვის ვადა აითვლება მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან, ეს ვადა გამოითვლება თითოეული ასეთი ნაწარმოებისათვის.

4. საავტორო უფლება ამ კანონის მე-12 და მე-13 მუხლებში აღნიშნულ ნაწარმოებებზე მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მათი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან, ხოლო თუ ნაწარმოები არ გამოქვეყნებულა — მისი შექმნის თარიღიდან.

5. საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე მოქმედებს ამ კანონის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ავტორთაგან (თანავტორთაგან) უკანასკნელის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.

6. იმ პირის ქონებრივი საავტორო უფლება, რომელმაც მართლზომიერად გამოაქვეყნა ადრე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები (ამ კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი), მოქმედებს 25 წლის განმავლობაში მისი მართლზომიერი გამოქვეყნების თარიღიდან.

მუხლი 33. უვადო საავტორო უფლებები

1. ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

2. საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე ჟანრის ნაწარმოებისათვის, თუ ასეთმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ავტორთა აღრევა, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

3. დაუშვებელია ნაწარმოების გამოქვეყნება ისეთი ფსევდონიმით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადრე გამოქვეყნებული სხვა ნაწარმოების ავტორთან გაიგივება, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

მუხლი 34. ვადაგასული საავტორო უფლების გამოყენება

1. ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, ამასთან, დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები. ეს წესი ვრცელდება იმ ნაწარმოებზედაც, რომელიც არ იყო დაცული საქართველოს ტერიტორიაზე.

2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს სპეციალური ანარიცხები საქართველოს ტერიტორიაზე იმ ნაწარმოების გამოყენებისათვის, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია. ასეთი ანარიცხებიდან მიღებული შემოსავალი გადაეცემა ავტორთა პროფესიულ ფონდებს და ორგანიზაციებს, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა ქონებრივ უფლებებს. ანარიცხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნაწარმოების გამოყენების შედეგად მიღებული მოგების 3 პროცენტს.

თავი V

საავტორო უფლების გადაცემა

მუხლი 35. საავტორო უფლების

გადაცემის საფუძვლები

1. საავტორო უფლება გადაეცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით.

2. კანონით მემკვიდრეებზე საავტორო უფლების მოქმედების ვადის ფარგლებში გადადის ამ კანონის მე-18 მუხლში აღნიშნული ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლებები, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება ვადით არ იზღუდება.

4. თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება მემკვიდრეზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

5. ავტორს უფლება აქვს მიუთითოს პირი, რომელსაც ის ნიშნავს მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული უფლებების დამცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს ავტორის გარდაცვალებამდე.

6. თუ მემკვიდრეები არ არსებობენ ან არაჯეროვნად ახორციელებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ უფლებებს, ამ უფლებების დაცვას ანარმოებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო.

მუხლი 36. ავტორის ქონებრივი უფლების გადაცემა

1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია თავისი ქონებრივი უფლებები გადასცეს უფლებამონაცვლეს. უფლებამონაცვლეზე გადადის ნაწარმოების გამოყენების ყველა განსაკუთრებული უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-18 მუხლით.

2. განსაზღვრული სახით ნაწარმოების გამოყენების ნებართვა გაცივმა განსაკუთრებული ან ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემის შესახებ საავტორო ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 37. განსაკუთრებული ლიცენზია

1. განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (განსაკუთრებული ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები განსაზღვრული სახით და ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში, გადასცემს მხოლოდ ლიცენზიატს და მასვე აძლევს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, ავტორის) მიერ.

2. ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება განახორციელოს ავტორმა, თუ ლიცენზიატი არ ანარმოებს ამ უფლების დაცვას.

მუხლი 38. ჩვეულებრივი ლიცენზია

1. ჩვეულებრივ უფლებათა გადაცემის საავტორო ხელშეკრულების მიხედვით (ჩვეულებრივი ლიცენზია), ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ნებას რთავს ლიცენზიატს, გამოიყენოს ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება.

2. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლება ჩაითვლება ჩვეულებრივ უფლებად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 39. ნაწარმოების გამოყენება განსაკუთრებული ლიცენზიის გადაცემის შემდეგ

ნაწარმოების გამოყენებაზე განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის (განსაკუთრებული ლიცენზია) შემთხვევაშიც კი ავტორს ამ ნაწარმოების გამოყენების უფლება უნაჩუნდება თავის ნაწარმოებთან მხოლოდ სრული კრებულის გამოქვეყნებისას, თუ განსაკუთრებულ უფლებათა გადაცემის შედეგად ნაწარმოების გამოქვეყნებიდან გავიდა 5 წელი. ამასთან, ავტორს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ასეთი ნაწარმოები სრული კრებულისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 40. საავტორო ხელშეკრულება

1. საავტორო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს: გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (მოცულობა, ჟანრი, სახელწოდება), ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, უფლების გადაცემის ვადას და ტერიტორიას, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესს ან ჰონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ.

2. ნაწარმოების ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომელიც საავტორო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ავტორს.

3. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახე (საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული კონკრეტული უფლებები), ხელშეკრულება ითვლება დადებულიად ნაწარმოების ისეთ გამოყენებაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად მხარეთა იმ განზრახვის შესრულებისათვის, რომელიც მათ ჰქონდათ ხელშეკრულების დადებისას.

4. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. მოსარგებლეს ამის თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ხელშეკრულების გაუქმებამდე 6 თვით ადრე.

5. თუ საავტორო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული უფლების გადაცემის ტერიტორია, ხელშეკრულებით გადაცემული უფლება მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

6. საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

7. თუ გამოცემის ან ნაწარმოების სხვაგვარი რეპროდუქცირების საავტორო ხელშეკრულებაში ჰონორარი განისაზღვრება ფიქსირებული

თანხით, ხელშეკრულებით დადგენილი უნდა იყოს ნაწარმოების მატარებელი ლური ტირაჟი.

8. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირებს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

მუხლი 41. საავტორო ხელშეკრულების ბათილობა

1. ბათილია საავტორო ხელშეკრულების ის პირობა, რომელიც ზღუდავს ავტორის უფლებას, შექმნას მომავალში ნაწარმოები განსაზღვრულ თემაზე ან განსაზღვრულ დარგში.

2. საავტორო ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს იმ ნაწარმოებზე უფლების გადაცემა, რომელიც შეიძლება მომავალში შექმნას ავტორმა.

მუხლი 42. საავტორო ხელშეკრულების ფორმა

საავტორო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების საავტორო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც. ზეპირად შეიძლება დაიდოს აგრეთვე ზეპირი ნაწარმოების ტელევიზიით ან რადიოთი ერთჯერადი გადაცემის ხელშეკრულება.

მუხლი 43. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულება

1. ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულების მიხედვით ავტორი კისრულობს ვალდებულებას, შექმნას ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების მიხედვით და გადასცეს იგი შემკვეთს, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ნაწარმოები და გადაუხადოს ავტორს ჰონორარი.

2. ავტორი ვალდებულია პირადად შექმნას ნაწარმოები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ნაწარმოების შექმნაში სხვა პირის (პირების) ჩართვა დასაშვებია მხოლოდ შემკვეთის თანხმობით.

3. შემკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისთანავე დაათვალღიეროს ნაწარმოები და წერილობით შეატყობინოს ავტორს ნაწარმოების მონონების ანდა ხელშეკრულების პირობების საფუძველზე მისი დანუხების ან მასში შესწორებათა შეტანის აუცილებლობის შესახებ.

4. თუ ავტორს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება, ნაწარმოები შემკვეთის მიერ მონონებულად ითვლება.

5. ავტორისათვის ავანსის გადახდის წესი, ვადა და ავანსის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 44. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა საავტორო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით.

თავი VI

საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები

მუხლი 45. მომიჯნავე უფლებები

1. ამ თავით გათვალისწინებული საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებების დაცვა არ აბრკოლებს საავტორო უფლებათა დაცვას.
2. მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებათა პატივისცემის გზით. ამ თავის არც ერთი დებულება არ განიმარტება, როგორც საავტორო უფლებათა დაცვის შელახვა.

მუხლი 46. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები

1. მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები არიან: შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუნეებლობის ორგანიზაციები.
2. ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუნეებლობის ორგანიზაციები ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებენ ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩანერილი ანდა ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
3. შემსრულებელი ამ თავით გათვალისწინებულ უფლებებს ახორციელებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით.
4. მომიჯნავე უფლებათა წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის რაიმე ფორმალობათა დაცვა. ფონოგრამის დამამზადებელს ან შემსრულებელს თავისი უფლების განცხადებისათვის შეუძლია გამოიყენოს მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე ან/და მის ფუტლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:
 - ა) ლათინური ასო P წრენირში: (P) ;
 - ბ) განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);
 - გ) ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი.

მუხლი 47. შემსრულებლის უფლებები

1. შემსრულებელს თავის შესრულებაზე აქვს შემდეგი პირადი და ქონებრივი უფლებები:

ა) სახელის უფლება;

ბ) უფლება, დაიცვას შესრულება ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს შემსრულებლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება);

გ) უფლება, გამოიყენოს შესრულება ნებისმიერი ფორმით, შესრულების ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

ა) იმ შესრულების ჩანერა, რომელიც ადრე არ იყო ჩანერილი;

ბ) შესრულების ჩანანერის რეპროდუცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესრულება ჩანერილია შემსრულებლის თანხმობით და რეპროდუცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩანერა;

გ) შესრულების გადაცემა ეთერში ან კაბელით, ანდა შესრულების სხვაგვარი საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება შემსრულებლის თანხმობით ადრე ჩანერილი ან ეთერში ადრე გადაცემული შესრულების გადაცემა;

დ) შესრულების ჩანანერის გადაცემა ეთერში ან კაბელით, თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩანერა არ მომხდარა მოგების მიღების მიზნით;

ე) იმ გამოქვეყნებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქირავება, რომელზედაც ჩანერილია შესრულება შემსრულებლის მონაწილეობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვა გაიცემა შემსრულებლის მიერ, ხოლო შემსრულებელთა კოლექტივის შესრულებაზე ნებართვა – ასეთი კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ, მოსარგებლესთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. შემსრულებელსა და მაუწყებლობის ორგანიზაციას შორის ხელშეკრულების დადება შესრულების ეთერში ან კაბელით გადაცემის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ შესრულების ჩანერის, მისი შემდგომი გადაცემისა და ჩანანერის რეპროდუცირების უფლების გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთი გამოყენების შემთხვევაში შესრულებისათ-



ვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება აღნიშნულ ხელშეკრულებით.

5. შემსრულებელსა და აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს შორის ხელშეკრულების დადება აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებათა გადაცემას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შემსრულებლის მიერ ასეთი უფლებების გადაცემა შემოიფარგლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოყენებით და, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არ შეიცავს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში დაფიქსირებული ხმისა და გამოსახულების ცალ-ცალკე გამოყენების უფლებას.

6. შემსრულებელსა და ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებელს შორის ხელშეკრულების დადება შესრულების ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩანერის თაობაზე იწვევს შემსრულებლის მიერ ფონოგრამის ან ვიდეოგრამის გაქირავების უფლების გადაცემას. ამასთან, შემსრულებელს უნარჩუნდება ასეთი ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარების გაქირავებისათვის ჰონორარის მიღების უფლება.

7. იმ შესრულებაზე, რომელიც შემსრულებლის მიერ შექმნილია სამსახურებრივი მოვალეობის ან სამუშაოს მიმცემის დავალების შესრულების წესით, შემსრულებელს ეკუთვნის სახელის უფლება. ასეთი შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის პირს, რომელთანაც შემსრულებელს აქვს შრომითი ურთიერთობა, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

მუხლი 48. ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები

1. ფონოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ფონოგრამა ნებისმიერი ფორმით, ფონოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ფონოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

- ა) ფონოგრამის რეპროდუცირება;
- ბ) ფონოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელება;
- გ) ფონოგრამის ეგზემპლართა გაქირავება;



დ) ფონოგრამის ეგზემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ე) ფონოგრამის ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ფონოგრამის დამამზადებლის თანხმობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

მუხლი 49. ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები

1. ვიდეოგრამის დამამზადებელს ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს ვიდეოგრამა ნებისმიერი ფორმით, ვიდეოგრამის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით.

2. ვიდეოგრამის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს:

- ა) ვიდეოგრამის რეპროდუცირება;
- ბ) ვიდეოგრამის ეგზემპლართა პირველი გავრცელება;
- გ) ვიდეოგრამის ეგზემპლართა გაქირავება;

დ) ვიდეოგრამის ეგზემპლართა გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით;

ე) ვიდეოგრამის ეგზემპლართა იმპორტირება გავრცელების მიზნით, იმ ეგზემპლართა ჩათვლით, რომლებიც დამამზადებულია ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვიდეოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

მუხლი 50. მაუნყებლობის ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლებები

1. მაუნყებლობის ორგანიზაციას ეკუთვნის განსაკუთრებული უფლება, გამოიყენოს თავისი გადაცემა ნებისმიერი ფორმით, გადაცემის ყოველი ფორმით გამოყენებისათვის ანაზღაურების მიღების უფლების ჩათვლით.

2. გადაცემის გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, დართოს ან აკრძალოს:

- ა) გადაცემის ჩანწერა;
- ბ) გადაცემის ჩანაწერის რეპროდუქცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაცემა ჩანწერილია მაუნყებლობის ორგანიზაციის თანხმობით და რეპროდუქცირება ხორციელდება იმავე მიზნით, რისთვისაც მოხდა მისი ჩანწერა;
- გ) გადაცემის ერთდროულად გადაცემა ეთერში და კაბელით შესაბამისად საეთერო და საკაბელო მაუნყებლობის სხვა ორგანიზაციის მიერ;
- დ) გადაცემის გადაცემა ეთერში ან კაბელით;
- ე) გადაცემის საჯარო გადაცემა ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია;
- ვ) გადაცემის ჩანაწერის გავრცელება საზოგადოებაში გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით.

მუხლი N1. მომიჯნავე უფლებათა ობიექტების თავისუფალი გამოყენება

1. ამ კანონით გათვალისწინებულ მომიჯნავე უფლებათა შეზღუდვები ხელს არ უშლის შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუნყებლობის ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

2. დაშვებულია შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუნყებლობის ორგანიზაციის თანხმობისა და მათთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან ციტირებისას, სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის — მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით;

ბ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ილუსტრაციის სახით გამოყენებისას სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის — მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით;

გ) შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან მოკლე ნაწყვეტების ჩართვისას მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში.



3. დაშვებულია ფიზიკურ პირთა მიერ შესრულების, მაუნყებლობის ორგანიზაციის გადაცემისა და მათი ჩანაწერების გამოყენება, აგრეთვე პირადი სარგებლობისათვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირება შემსრულებლის, მაუნყებლობის ორგანიზაციის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირება შემსრულებლის, მაუნყებლობის ორგანიზაციის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის თანხმობის გარეშე. ასეთი რეპროდუცირება ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული წესით ხორციელდება ჰონორარის გადახდის პირობით.

მუხლი 52. მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის გამოყენება

1. დაშვებულია მოგების მიღების მიზნით დამზადებული ფონოგრამის დამამზადებლის და ასეთ ფონოგრამაზე ჩანერილი ნაწარმოების შემსრულებლის თანხმობის გარეშე, მაგრამ ჰონორარის გადახდით:

- ა) ფონოგრამის საჯარო შესრულება;
- ბ) ფონოგრამის გადაცემა ეთერში ან კაბელით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს იმ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა უფლებებს, ამ ორგანიზაციათა შორის შეთანხმების შესაბამისად.

3. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება, ერთი მხრივ, ფონოგრამებით მოსარგებლეთა და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ფონოგრამების დამამზადებელთა და შემსრულებელთა უფლებებს. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო. ჰონორარის ოდენობა დგინდება ფონოგრამის გამოყენების ყოველი ფორმისათვის.

4. ფონოგრამებით მოსარგებლეებმა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებს უნდა წარუდგინონ პროგრამები (გეგმები), რომლებიც შეიცავს ზუსტ ცნობებს ფონოგრამების გამოყენების ოდენობის შესახებ, აგრეთვე სხვა ცნობები და საბუთები, რომლებიც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის.

მუხლი 53. საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულების ან გადაცემის ჩანერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის
საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განახორციელოს შესრულების ან გადაცემის ჩანერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის ან ასეთი ჩანანერის რეპროდუცირება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) წინასწარი თანხმობის მიღება ამ შესრულების ან პროგრამის გადაცემაზე;

ბ) მოკლევადიანი ჩანანერის დამზადება და რეპროდუცირება საკუთარი მონეობილობით, საკუთარი გადაცემისათვის;

გ) მოკლევადიანი ჩანანერის განადგურება იმ პირობით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა მოკლევადიანი ჩანანერებისათვის.

თავი VII

საეციკლოპური დეპუტაციები მონაცემთა ბაზის

დამამზადებლის უფლებების შესახებ

მუხლი 54. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი

1. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი, რომელიც ადასტურებს, რომ მან განახორციელა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალდამზადება მონაცემთა ბაზის შემცველობის შექმნის, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ, სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი შემცველობის ან ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება.

2. ამ თავის მიზნებისათვის, ამოღება გულისხმობს მონაცემთა ბაზის მთლიანი შემცველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის მუდმივად ან დროებით გადატანას სხვა მატერიალურ მატარებელზე ნებისმიერი საშუალებითა თუ ფორმით, ხოლო ხელახალი გამოყენება გულისხმობს მონაცემთა ბაზის მთლიანი შემცველობის ან მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობას საზოგადოებისათვის ასლების გაქირავებით, დიალოგური ანდა გადაცემის პირდაპირი ან სხვა ფორმით. მონაცემთა ბაზის ეგზემპლარების გაყიდვის შემდეგ დაშვებულია მათი შემდგომი გაყიდვა მონაცემთა ბაზის დამამზადებლის თანხმობის გარეშე.

3. დაუშვებელია მონაცემთა ბაზის შემცველობის უმნიშვნელო ნაწილების განმეორებითი ან სისტემატური ამოღება ან/და ხელახალი გამოყენება,

თუ ასეთი მოქმედება ხელს უშლის მის ნორმალურ გამოყენებას და უსაფრთხოვლოდ ლახავს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები შეიძლება ხელშეკრულებით გადაეცეს სხვა პირს.

5. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უფლებები ძალაშია, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა საავტორო უფლებებით ეს მონაცემთა ბაზა და მისაღებია თუ არა მისი შინაარსი. მონაცემთა ბაზის დაცვა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებების შესაბამისად არ უნდა ლახავდეს მასთან დაკავშირებულ საავტორო უფლებებს.

მუხლი 55. მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის უფლებები და მოვალეობები

1. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება არ აქვს აუკრძალოს მონაცემთა ბაზის კანონიერ მოსარგებელს მონაცემთა ბაზის შემცველობის ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული უმნიშვნელო ნაწილების ამოღება ან/და ხელახალი გამოყენების უფლება, ეს პუნქტი ვრცელდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

2. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლის მოქმედება უსაფუძვლოდ არ უნდა ლახავდეს მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონიერ ინტერესებს.

3. გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის კანონიერმა მოსარგებლემ არ უნდა შელახოს საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელის უფლებები მონაცემთა ბაზაში არსებულ ნაწარმოებთან ან მომიჯნავე უფლების ობიექტთან დაკავშირებით.

მუხლი 56. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების შეზღუდვა
მონაცემთა ბაზის კანონიერი მოსარგებლე უფლებამოსილია მისი დამამზადებლის ნებართვის გარეშე:

ა) ამოიღოს პირადი სარგებლობისათვის არაელექტრონული მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი;

ბ) ამოიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მასალის საილუსტრაციოდ მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, წყაროს მითითებით და დასახული არაკომერციული მიზნით განსაზღვრული მოცულობით;

გ) ამოიღოს და ხელახალა გამოიყენოს მონაცემთა ბაზის შემცველობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის და ადმინისტრაციული თუ სასამართლო-საპროცესო მიზნებისათვის.

მუხლი 57. მომიჯნავე უფლებათა მოქმედების ვადები

1. ამ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში პირველი შესრულებიდან. თუ ამ ვადაში შესრულების ჩანაწერი მართლზომიერად გამოიცა ან საჯაროდ გადაიკა, ეს ვადა გრძელდება პირველი ასეთი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

2. შემსრულებლის სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება დაცულია უვადოდ. ეს უფლებები მეპყვიდრობით არ გადადის. შემსრულებლის პირად უფლებათა დაცვა მისი გარდაცვალების შემდეგ ხორციელდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების პირადი არა-ქონებრივი უფლებების დაცვისათვის.

3. ამ კანონის 48-49-ე მუხლებით გათვალისწინებული ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ფონოგრამის ან ვიდეოგრამის პირველი ჩანერიდან. თუ ამ ვადაში ფონოგრამა ან ვიდეოგრამა მართლზომიერად გამოიცა ან საჯაროდ გადაიკა, ეს ვადა გრძელდება პირველი ასეთი გამოცემიდან ან საჯარო გადაცემიდან 50 წლის განმავლობაში.

4. ამ კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული საეთერო (საკაბელო) მაუწყებლობის ორგანიზაციის უფლება მოქმედებს 50 წლის განმავლობაში ასეთი ორგანიზაციის მიერ ეთერში (კაბელით) პროგრამის პირველად გადაცემის შემდეგ.

5. ამ კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლება მოქმედებს 15 წლის განმავლობაში მონაცემთა ბაზის დამამზადებიდან. თუ ამ ვადაში მონაცემთა ბაზა გამოქვეყნდა, თხუთმეტი წელი აითვლება გამოქვეყნებიდან.

6. ამ კანონის 54-ე მუხლით განსაზღვრული მონაცემთა ბაზის შემცველობის ხარისხობრივად ან/და რაოდენობრივად შეფასებული ცვლილება, კერძოდ, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, გამომდინარე გაუქმებიდან ან შესწორებიდან, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ განხორციელდა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი კაპიტალდაბანდება, შესაძლებლობას იძლევა ასეთი დაბანდების შედეგად შეცვლილ მონაცემთა ბაზას მიეცეს დაცვის საკუთარი ვადა.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ვადების ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან, როდესაც დადგა

იურიდიული ფაქტი, რომელიც აღნიშნული ვადის ათვლის დაწყების საფუძველია.

8. ამ თავით გათვალისწინებული უფლებები იმ ვადების დარჩენილი დროის ფარგლებში, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის პირველ, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში, გადადის შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუნყებლობის ორგანიზაციის მემკვიდრეებზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – მის უფლებამონაცვლეებზე.

თავი IX

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

მუხლი 58. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა

1. ამ კანონით გათვალისწინებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევა იწვევს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევისათვის იურიდიული პირი პასუხს აგებს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევად ჩაითვლება აგრეთვე:

ა) უფლების მართვის ელექტრონული ინფორმაციის შეცვლა ან ნაშლა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე;

ბ) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოქვეყნება ნებისმიერი საშუალებით, როდესაც პირმა იცოდა ან სათანადო საფუძველი ჰქონდა სცოდნოდა, რომ უფლების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია შეცვლილი ან ნაშლილი იქნა უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

მუხლი 59. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვა

1. განსაკუთრებულ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისაგან:

ა) უფლების აღიარება;

ბ) უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;

გ) ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;
დ) ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შედეგად;

ე) ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო;

ვ) მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები გამოიყენება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების არჩევით.

3. ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს ან საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მართლზომიერად გამოყენების შედეგად. ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლო ხარჯები, წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის გადასახდელი თანხის ჩათვლით.

მუხლი 60. კონტრაფაქციული ეგზემპლარები

1. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომელთა დამზადება ან გავრცელება იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევას, ითვლება კონტრაფაქციულ ეგზემპლარებად.

2. კონტრაფაქციულად ითვლება აგრეთვე იმ ნაწარმოების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ეგზემპლარები, რომლებიც დაცულია საქართველოში ამ კანონის შესაბამისად და რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ისინი არასდროს ყოფილა დაცული ან სადაც მათი დაცვა შეწყვეტილია.

3. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარების, აგრეთვე მათი რეპროდუქციებისათვის საჭირო მასალებისა და მონყობილობების ჩამორთმევის შესახებ. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები შეიძლება გადაეცეს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს მათი მოთხოვნით.

4. ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები, რომლებიც არ იქნა გამოთხოვილი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, აგრეთვე მათი რეპროდუქციებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობები ექვემდებარება განადგურებას სასამართლოს გადანყვებილების შესაბამისად.

5. ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირების მიერ მართლზომიერად შეძენილი ნაწარმოების, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის კონტრაფაქციული ეგზემპლარები.

მუხლი 61. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები

1. საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება, რომელიც უკრძალავს მოპასუხეს ან პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია საავტორო და მომიჯნავე უფლებები, განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულებას, როგორცაა დამზადება, რეპროდუქცირება, გაყიდვა, გაქირავება, იმპორტი და ამ კანონით გათვალისწინებული ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება, აგრეთვე იმ ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ტრანსპორტირება, შენახვა და ფლობა გავრცელების მიზნით, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია.

2. საქმის არსებითად განხილვამდე სასამართლოს ან მოსამართლეს ერთპიროვნულად შეუძლია გამოიტანოს განჩინება ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა იმ ეგზემპლარზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია, აგრეთვე იმ მასალებისა და მოწყობილობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მათი დამზადებისა და რეპროდუქციებისათვის.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტის ყველა იმ ეგზემპლარზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის კონტრაფაქციული ეგზემპლარია, აგრეთვე იმ მასალებისა და მოწყობილობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილია მათი დამზადებისა და რეპროდუქციებისათვის.

3. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის შესახებ საკმარის მონაცემების არსებობისას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოკვლევის ორგანო, გამოძი-



ებელი ან სასამართლო ვალდებულია მიიღოს ზომები წაყენებული ან შემდგომში შესაძლო სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად, შემდეგი ნივთების ძიების და მათზე ყადაღის დადების გზით:

- ა) ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ეგზემპლარები, რომელთა მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი კონტრაფაქციული ეგზემპლარებია;
- ბ) მასალები და მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია კონტრაფაქციული ეგზემპლარების დამზადებისა და რეპროდუცირებისათვის;
- გ) დოკუმენტები, ანგარიშები და სხვა ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სასამართლო განხილვისას.

მუხლი 62. სახელმწიფო პოლიტიკა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში

1. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და კანონით მინიჭებული სხვა ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო. მისი სტატუსი და უფლებამოსილება დგინდება ამ კანონისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე.

2. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტო უფლებამოსილია:

- ა) უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონმდებლობის სფეროში და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადებები მისი განვითარების შესახებ;
- ბ) წარმოადგინოს საქართველო საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- გ) რეგისტრაციაში გაატაროს ნაწარმოებები ამ კანონით დადგენილი წესით.

თავი X

ქონებარივ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე

მუხლი 63. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის შექმნა

1. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორებს, შემსრულებლებს, ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების დამამზადებლებს და საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს უფლება აქვთ თავიანთი ქონებრივი უფლებების განხორციელების მიზნით



შექმნან ორგანიზაციები, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ქონებრივ უფლებებს.

2. ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, იქმნება ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, არასამეწარმეო იურიდიული პირის – კავშირის (ასოციაციის) ფორმით. დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელსაც შეაქვს იგი საავტორო უფლებათა მართვის ორგანიზაციების რეესტრში. ორგანიზაციას უფლება არა აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა და გამოიყენოს ის ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც მას გადაცემული აქვს სამართავად კოლექტიურ საფუძველზე. აღნიშნული ორგანიზაცია მოქმედებს იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მას მინიჭებული აქვს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისაგან, წესდების საფუძველზე.

3. იმ ორგანიზაციის წესდება, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს. ორგანიზაციის საქმიანობაზე ხელმძღვანელობას ახორციელებენ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები, რომელთა ქონებრივ უფლებებსაც მართავს ეს ორგანიზაცია. გადანყვეტილებებს ჰონორარის ოდენობისა და მოსარგებლებისათვის ლიცენზიების გაცემის პირობების, შეგროვებული ჰონორარის განაწილებისა და გადახდის წესს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე იღებენ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები კოლექტიურად, საერთო კრებაზე.

4. დაშვებულია შექმნა ცალკეული ორგანიზაციებისა უფლებების ან უფლებათა მფლობელების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, ანდა ორგანიზაციებისა, რომლებიც მართავენ უფლებათა ერთი კატეგორიის მფლობელთა სხვადასხვა უფლებებს.

5. იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, არ გამოიყენება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები.

მუხლი 64. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობა

1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის უფლებამოსილება ორგანიზაციას გადაეცემა ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ, ამ ორგანიზაციაში მათი ნებრობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე ანალოგიურ უცხოურ ორგანიზაციასთან ურთიერთნარმოადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულება არ წარმოადგენს საავტორო ხელშეკრულებას და ამ კანონის მე-40 მუხლი მასზე არ ვრცელდება.

2. ნებისმიერ ავტორს, მომიჯნავე უფლების მფლობელს, მათ მემკვიდრეებს, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებს უფლება აქვთ სამართავად გადასცენ თავიანთი ქონებრივი უფლებები ასეთ ორგანიზაციას, ხოლო ორგანიზაცია ვალდებულია იკისროს ამ უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე, თუ ასეთი კატეგორიის უფლებათა მართვა განეკუთვნება ამ ორგანიზაციის სანესდებო საქმიანობას.

3. ამ მუხლის თანახმად მიღებული უფლებების შესაბამისად, ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, მოსარგებლეებზე გაცემს ლიცენზიებს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის შესაბამისი ფორმით გამოყენებისათვის. ლიცენზიების პირობები ანალოგიური უნდა იყოს ერთი კატეგორიის ყველა მოსარგებლისათვის. ორგანიზაციას უფლება არა აქვს უარი უთხრას მოსარგებლეებს ლიცენზიის გაცემაზე საამისოდ საკმარისი საფუძვლის არსებობის გარეშე.

4. ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უფლებამოსილია ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის მოსარგებლეებისაგან მოითხოვოს ყველა იმ დოკუმენტის წარდგენა რომელიც შეიცავს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების შესახებ ზუსტ ცნობებს, რომლებიც აუცილებელია პონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის.

მუხლი 65. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის უფლებები

ორგანიზაციას, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების სახელით და მათ მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უფლება აქვს:

ა) მოსარგებლებთან შეათანხმოს ჰონორარის ოდენობა და ლიცენზიის სხვა პირობები;

ბ) გასცეს ლიცენზიები იმ უფლებათა გამოყენების შესახებ, რომლებსაც ის მართავს;

გ) მოსარგებლებთან შეათანხმოს ჰონორარის ოდენობა, როდესაც იგი ჰონორარს აგროვებს ლიცენზიის გაცემის გარეშე ამ კანონის 51-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ) შეაგროვოს ლიცენზიით გათვალისწინებული ჰონორარი ან/და ჰონორარი, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლის „გ“ პუნქტით;

ე) გაანაწილოს და გადაუხადოს შესაბამისი ჰონორარი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს;

ვ) განახორციელოს იურიდიული ქმედებანი, რომლებიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული უფლებების დასაცავად;

ზ) განახორციელოს სხვა საქმიანობა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 66. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მოვალეობები

1. იმ ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, უნდა განხორციელდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა იმ მფლობელების ინტერესების შესაბამისად, რომლებსაც ეს ორგანიზაცია ნარმოადგენს. ამ მიზნით ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) შეგროვებული ჰონორარი გამოიყენოს მხოლოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის გასანაწილებლად და გადასახდელად. ამასთან, ორგანიზაციას უფლება აქვს ჰონორარიდან გამოკეთოს მის შეგროვებაზე, განაწილებასა და გადახდაზე დახარჯული თანხები და მის მიერ ამ უფლებების მფლობელთა გადანყვეტილებით შექმნილ სპეციალურ ფონდებში გადარიცხული თანხები;

ბ) გაანაწილოს და გადაიხადოს ჰონორარი ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული თანხების გამოკეთების შემდეგ, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის ფაქტობრივი გამოყენების პროპორციულად;

გ) ჰონორარის გადახდის დროს წარუდგინოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს ანგარიშები, რომლებიც უნდა შეიცავდეს ცნობებს მათი უფლებების გამოყენების შესახებ.



2. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს, რომლებმაც არ გადასცეს ორგანიზაციას ჰონორარის შეგროვებასთან დაკავშირებული უფლებები, უფლება აქვთ მოსთხოვონ ორგანიზაციას ჰონორარის გადახდა განხორციელებული განაწილების შესაბამისად და მათი ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამორიცხვა იმ ლიცენზიებიდან, რომლებსაც ეს ორგანიზაცია გასცემს მოსარგებლებზე.

თავი XI

გარდამავალი დეპულეგანი

მუხლი 67. ამ კანონის ნორმათა გავრცელება ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე

1. ეს კანონი ვრცელდება იმ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ.

2. იმ ნაწარმოებზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული საავტორო უფლების დაცვის 70-წლიანი ვადა, ვრცელდება ამ კანონის 31-32-ე მუხლებით გათვალისწინებული საავტორო უფლების მოქმედების ვადები.

3. იმ შესრულებაზე, რომელზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მისი პირველი შესრულებიდან, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლების მოქმედების ვადა.

4. იმ ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

5. მაუნუქებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებზედაც ამ კანონის ამოქმედებამდე არ არის გასული 50 წელი მათი პირველი მართლზომიერი გამოქვეყნებიდან ან შექმნიდან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული, ვრცელდება ამ კანონის 57-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მომიჯნავე უფლების მოქმედების ვადა.

თავი XIII
დასკვნითი დეკლარაცია

მუხლი ნმ. ძალადაკარგული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები
ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

მუხლი ნ9. კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ედუარდ შევარდნაძე
საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი
1999 წლის 22 ივნისი.
№2112-1ს

საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

შეტანილია ცვლილებები საქართველოს პარლამენტის 10/28/94 №578 დადგენილებით და
10/28/97 №1000 და 11/25/97 №115 კანონებით

თავი I

ზოგადი დეკლარაცია

მუხლი 1. პრესის თავისუფლება

საქართველოს რესპუბლიკაში პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები თავისუფალია. ეს თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია.

მუხლი 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იგულისხმება: გაზეთები, ჟურნალები, ტელერადიოპროგრამები, ვიდეო და კინოდოკუმენტალისტიკა, ბიულეტენები, 600-ზე მეტი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები, თუ ისინი განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოდგენილია აგრეთვე გამომცემლობებით, პერიოდული პრესის, ტელე და რადიომაუწყებლობის რედაქციებით, საინფორმაციო სააგენტოებით და სხვა დაწესებულებებით, რომლებიც აწარმოებენ და ავრცელებენ მასობრივ ინფორმაციას.

მუხლი 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენა

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა — ქართული, აფხაზეთში მასობრივი ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერ სხვა ენაზე.



საქართველოს რესპუბლიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობისათვის უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღების და გავრცელების უფლებას მათ მშობლიურ ენასა და სხვა ენებზე.

მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ:

- ა) სახელმწიფო საიდუმლოებათა გამჟღავნება;
- ბ) არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ ან შეცვლისაკენ მოწოდება;
- გ) ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეწყნარებლობის პროპაგანდა;
- დ) ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს სისხლის სამართლის დანაშაულს;
- ე) მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა, მათი პიროვნების ღირსების ხელყოფა;
- ვ) პორნოგრაფიის, უზნეობის პროპაგანდა.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ შედგება ამ კანონისა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან, აგრეთვე აფხაზეთის ასს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონებისა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისაგან.

თავი II

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობა და გავრცელება

მუხლი 6. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს, შემოქმედებით კავშირებს, სხვა გაერთიანებებს, რომლებიც შექმნილი და რეგისტრირებულია კანონის შესაბამისად, აგრეთვე 18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს. ამ ორგანიზაციებს და პიროვნებებს აქვთ რამდენიმე გაზეთის ან ჟურნალის, გამომცემლობისა და აგრეთვე დამოუკიდებელი ტე-



ლერადიომუხწყებლობის რედაქციის დაარსების უფლება. არ დაიშვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზაცია. არც ერთი დამფუძნებლის საერთო წილი ერთი და იმავე სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს.

დამფუძნებელს უფლება აქვს შეარჩიოს, შეწყვიტოს ან ორგანიზაციულად შეცვალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში დამფუძნებელი პასუხისმგებელია როგორც სახელმწიფო ორგანოების, ასევე კერძო პირების წინაშე ყველა ადრე აღებული ვალდებულებებისათვის.

მუხლი 7. რეგისტრაცია და განცხადება რეგისტრაციის შესახებ

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეგისტრაცია ხდება:

- ა) საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება საერთო რესპუბლიკური დანიშნულებისაა;
- ბ) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსზღვრულ ორგანოში; თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის;
- გ) პროფექტურაში, თუ გაზეთი, ჟურნალი ან ტელე-რადიოპროგრამა ადგილობრივი დანიშნულებისაა.

რეგისტრაციის სამივე ფორმის დროს უკვე რეგისტრირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალება თანაბარი უფლებით სარგებლობს.

განცხადება რეგისტრაციის შესახებ შესაბამისმა ორგანომ უნდა განიხილოს მისი შეტანიდან ერთ თვის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს წერილობით ერთი კვირის განმავლობაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციისათვის აუცილებელია:

1. დამფუძნებელი;
2. მითითება მასობრივი ინფორმაციის საშუალების ენაზე (ენებზე);
3. ზუსტი მისამართით;
4. მიზნები და ამოცანები;
5. სავარაუდო აუდიტორია;
6. გამოცემის სავარაუდო პერიოდულობა და სავარაუდო ტირაჟი;
7. დაფინანსების წყაროები;
8. რედაქტორი ან რედაქციის ხელმძღვანელი.

თუ რაიმე მიზეზის გამო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციონირებს 1 წლის განმავლობაში, მაშინ აუცილებელია მის სწელმე ორედ რეგისტრაცია.

მუხლი 8. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პოლიგრაფიული ბაზა და ტექნიკური აღჭურვილობა

რეგისტრირებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ არსებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენონ პოლიგრაფიული ბაზები. კერძო ან კოოპერატიულ საკუთრებად შეიძინონ საკუთარი სტამბა რესპუბლიკაში ან საზღვარგარეთ. ანალოგიური უფლება ვრცელდება ტელე-რადიოპროგრამების ტექნიკურ საშუალებებზეც.

მუხლი 9. რეგისტრაციის გარეშე ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები

რეგისტრაცია არ სჭირდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, ოფიციალური ნორმატიული და სხვა აქტების, სასამართლო და საარბიტრაჟო ბიულეტენების გამოცემას, აგრეთვე ხუთას ცალზე ნაკლები ტირაჟის ვინრო სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც ინფორმაციის გავრცელებისათვის არ არის გამიზნული. წინა საარჩევნო მსალების გასავრცელებლად საკმარისია საარჩევნო კომისიის ნებართვა.

მუხლი 10. რეგისტრაციაზე უარის თქმა

მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ითქვას:

- ა) თუ მისი მიზნები ამ კანონს ეწინააღმდეგება;
- ბ) თუ არსებობს ამავე სახელწოდების სხვა გამოცემა;
- გ) თუ აკრძალული მასობრივი ინფორმაციის საშუალების გაუქმებიდან არ არის გასული ერთი წელი.

მუხლი 11. სარეგისტრაციო გადასახადი

სარეგისტრაციო გადასახადი წესდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შეჩერება ან შეწყვეტა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ განმეორებით დაირღვა ამ კანონის მე-4 მუხლი მოთხოვ-

ნები ან იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა დაკავშირებულია მატერიალურ ზარალთან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს რესპუბლიკას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის შეჩერება ნიშნავს ბეჭდვითი გამოცემის ერთი ან რამდენიმე ნომრის აკრძალვას, აგრეთვე განკარგულებას ტელე-რადიომაუწყებლობის დროებითი შეწყვეტის შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის დროებითი (არა უმეტეს ერთი თვის) შეჩერების უფლება აქვს იმ ორგანოს, რომელმაც იგი რეგისტრაციაში გაატარა. შეჩერება ენება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მასობრივი ინფორმაციის საშუალებას. ყველას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის შეჩერების შესახებ. სასამართლო ვალდებულია ორი კვირის განმავლობაში განიხილოს აღძრული საკითხი. თუ სასამართლო დაადგენს შეჩერების უკანონობას, აუცილებელია დაზარალებული მასობრივი ინფორმაციის საშუალების მატერიალური და მორალური ზარალის კომპენსირება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობის სრული შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

თუ დამფუძნებელი გააუქმებს ამა თუ იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რედაქციას ან რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) აქვს უპირატესი უფლება დააარსოს იმავე სახელწოდების მასობრივი ინფორმაციის საშუალება (გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა, ტელე-რადიომაუწყებლობის რედაქცია).

მუხლი 13. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამფუძნებელი, რედაქტორი, რედაქცია და გამომცემელი

დამფუძნებელი განსაზღვრავს მასობრივი ინფორმაციის საშუალების პროგრამას (ძირითადი პრინციპებს).

თუ მასობრივი ინფორმაციის დამფუძნებელი ერთდროულად გამომცემელი (დამფინანსებელი) არ არის, დამფუძნებელსა და გამომცემელს (დამფინანსებელს) შორის ფორმდება ხელშეკრულება. გამომცემელს, რომელიც ფინანსურად დამოუკიდებელია უფლება აქვს იყოს დამფუძნებელიც. მასობრივი ინფორმაციის საშუალების დამფუძნებლის, რედაქციასა და გამომცემლის სანარმოო, ქონებრივი და ფინანსური ურთიერთობა აიგება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 14. სარედაქციო წესდება

მასობრივი ინფორმაციის საშუალების სარედაქციო წესდებას ხმების უმრავლესობით იღებს რედაქციის საერთო კრება, რომელსაც ესწრება მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი და ამტკიცებს დამფუძნებელი. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადანყვეტილებას იღებს დამფუძნებელი. თუ დამფუძნებელი და გამომცემელი ერთი და იგივე ორგანო ან ერთი და იგივე კერძო პირია, კონფლიქტს მასა და რედაქციას შორის აგვარებს სასამართლო.

მუხლი 15. პერიოდული პრესის ძირითადი მონაცემები

პერიოდული გამოცემის ყოველი გამოშვების ძირითადი მონაცემებია:

1. გამოცემის სახელწოდება;
2. დამფუძნებელ-გამომცემელი ან ცალკე დამფუძნებელი და ცალკე გამომცემელი;
3. რედაქტორის (მთავარი რედაქტორის) სახელი და გვარი;
4. გამოშვების რიგითი ნომერი და გამოსვლის თარიღი პერიოდული გამოცემისათვის, ხოლო გაზეთებისათვის – დასაბეჭდად ხელმოწერის დრო;
5. ინდექსი;
6. ტირაჟი;
7. ფასი;
8. რედაქციისა და სტამბის მისამართები.

ტელე-რადიომუნიკაციების ვალდებულია ეთერში ყოველი გასვლის დროს გამოაცხადოს რედაქციის დასახელება.

მუხლი 16. საკონტროლო და სავალდებულო ეგზემპლარები

პერიოდული გამოცემის უფასო საკონტროლო ეგზემპლარები ეგზემპლარებათ: პრეზიდენტის პრესსამსახურს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. ცენტრალურ ბიბლიოთეკებს და საცავებს.

ტელე-რადიომუნიკაციების რედაქციები ვალდებული არიან გადაცემათა მასალები (ტექსტი, ფირი) შეინახონ ეთერში გასვლის შედეგ ერთი თვის განმავლობაში. მნიშვნელოვანი გადაცემების და ოფიციალური ქრონიკებისათვის იქმნება ტელე-რადიომუნიკაციების საგანგებო საარქივო ფონდი.

მუხლი 17. გავრცელების წესი და ნებართვა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროდუქციას ავრცელებენ უშუალოდ რედაქცია (მათ შორის ღია საჯარო გაყიდვის წესით), გამომცემელი, კავშირგაბმულობის სანარმოები, ორგანიზაციები ან მოქალაქეები ამ კანონის საფუძველზე. პრესის გავრცელებაზე, სახელმწიფო მონოპოლია არ არსებობს. ცალკეულ ორგანიზაციებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს შეუძლიათ პრესის გავრცელების სახელმწიფო სამმართველოს პარალელურად შექმნან დამოუკიდებელი სანარმოო სამეურნეო ანგარიშზე და ხელშეკრულების საფუძველზე გაავრცელონ ნებისმიერი პერიოდული გამოცემა. ყველა ასეთი სანარმოო საჭიროებს სპეციალურ რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით.

პერიოდული პრესის თითოეული ცალკე გამოშვება ვრცელდება რედაქტორის ნებართვის შემდეგ.

ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს განსაზღვრავს დამფუძნებელი.

სახელმწიფო პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს ანესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ან უზენაეს საბჭოს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ნებისმიერი პერიოდული გამოცემის ტირაჟი.

ტელე-რადიომაუწყებლობის კერძო დაწესებულებების საეთერო დრო რეგულირდება ტელე-რადიომაუწყებლობის დეპარტამენტთან შეთანხმებით.

კანონიერ საფუძველზე მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის ტირაჟის ან მისი ნაწილის ამოღება, აგრეთვე ნებადართული ტელე-რადიომაუწყებლობის დამოუკიდებელი არხების ჩახშობა ან შეწყვეტა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

მუხლი 18. ოფიციალური ცნობები

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ვალდებული არიან უფასოდ გამოაქვეყნონ ამ ორგანოების ოფიციალური ცნობები, ამ ვალდებულებებისაგან თავისუფალი არიან არასამთავრობო მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, გარდა საგანგებო შემთხვევისა (ომის გამოცხადება, სტიქიური უბედურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და ა. შ.).

თავი III

მოქალაქეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და
ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობანი

**მუხლი 19. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით
ინფორმაციის მიღების უფლება**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ან თანამდებობის პირებისაგან, აგრეთვე მოითხოვონ საჭირო დოკუმენტები. უარის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს.

**მუხლი 20. პიროვნების ან ორგანიზაციის შეურაცხყოფელი
მასალის უარყოფისა და მასზე პასუხის უფლება**

მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რედაქციას მოსთხოვოს პიროვნების შეურაცხყოფელი მასალის უარყოფა. უარყოფა ან პასუხი ქვეყნდება გაზეთში ან ჟურნალში სპეციალური რუბრიკით იმავე გვერდზე ან ტელერადიოპროგრამების მორიგ გამოშვებაში მომთხოვნის შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა. უარყოფა შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა გაზეთში ან ჟურნალში, თუ პიროვნების შეურაცხყოფელი მასალა დაიბეჭდა რომელიმე ერთჯერად გამოცემაში.

თუ მოქალაქეს ან ორგანიზაციას არ აკმაყოფილებს პასუხი, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 21. ჟურნალისტი და მისი უფლება

ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, არედაქტირებს ან ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოსაქვეყნებლად და აქვს სათანადო რწმუნება ან არის ჟურნალისტთა რეგისტრირებული კავშირის წევრი. ჟურნალისტი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებით

ჟურნალისტს უფლება აქვს:

1. მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;

2. თავისი მოვალეობის შესრულებისას შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს;
3. ჩაინეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის აუდიო-ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით, კინო და ფოტო გადაღებით) კანონით აკრძალული შემთხვევების გარდა;
4. დაესწროს და აქტიურად გააშუქოს მასობრივი ღონისძიებები: საზოგადოებრივი თავყრილობები მიტინგები, დემონსტრაციები, დაუბრკოლებლად ჩავიდეს სტიქიური უბედურების რაიონებში და ა. შ.
5. მიმართოს სპეციალისტებს შემოსული მასალების შესამოწმებლად;
6. მოითხოვოს ავტორობის საიდუმლოს შენახვა;
7. არ მოანეროს ხელი და არ მოამზადოს მასალა, რომელიც მის მრწამსს ეწინააღმდეგება, ანდა სარედაქტორო სწორების დროს დამახინჯდა;

8. ჟურნალისტს უფლება აქვს ისარგებლოს ნებისმიერი საარქივო მასალით, საიდუმლო და სპეცფონდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას ან პიროვნების პირად ცხოვრებას (არქივიდან პირადი ცხოვრების შესახებ მასალის გამოქვეყნება შეიძლება თვით ამ პიროვნების ან მისი ახლობელი ნათესავების ნებართვით);

9. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ ჟურნალისტი წინასწარ მიავლინონ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ ჟურნალისტი სამუშაო პირობებით. საგანგებო სიტუაციებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ან მთავრობას შეუძლია დროებით შეუზღუდოს ჟურნალისტს ამ მუხლის მე-2, 3, 4, 8 პუნქტებში ჩამოთვლილი უფლებები. ასეთ შემთხვევაში ოფიციალური ხელისუფლება ვალდებულია განუმარტოს ჟურნალისტს ან მის წარმდგენ ორგანოს დროებითი შეზღუდვის მოტივები.

მუხლი 22. ჟურნალისტის აკრედიტება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოახდინონ მათთან თავისი ჟურნალისტების აკრედიტება.

აკრედიტებული ჟურნალისტი ესწრება სხდომებს, თათბირებს, აგრეთვე ამ ორგანოთა და ორგანიზაციათა სხვა ღონისძიებებს, აკრედიტებულ ჟურნალისტს უფლება აქვს გაეცნოს სტენოგრაფებს, ოქმებს და სხვა დოკუმენტაციას საერთო წესის მიხედვით.

მუხლი 23. უარი ინფორმაციის მიწოდებაზე

ინფორმაციის მიწოდებაზე უარის მიღების შემთხვევაში ინფორმაციის საშუალების ნარმომადგენელს ეძლევა წერილობითი ახსნა-განმარტება უარის მიზეზების მითითებით ინფორმაციის მოთხოვნიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

ინფორმაციის მიწოდებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციაში ან სასამართლოში.

მუხლი 24. ჟურნალისტიკის მოვალეობანი

ჟურნალისტი მოვალეა:

1. დაიცვას რედაქციის წესდება და პროგრამა;
2. შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა;
3. დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიწოდებულ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის ან, პირიქით, მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება;
4. უარი თქვას რედაქტორის (მთავარი რედაქტორის, ან რედაქციის მიერ მიცემულ დავალებაზე, თუ ეს დავალება არღვევს კანონს;
5. პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს;
6. პატივი სცეს საქართველოს რესპუბლიკას და მისი პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს სიმბოლოს, ღირსებას.

თავი IV

კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

მუხლი 25. ყალბი ცნობების გავრცელება, მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა ღირსებისა და პატივის შელახვა

ყალბი ცნობების გავრცელებისათვის, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განზრახ შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ ხელმძღვანელებს, რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) და მასალების ავტორებს, რომლებმაც დაარღვიეს ეს კანონი.

მუხლი 26. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობაში ჩაურევლობა

სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირების, ნებისმიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ჟურნალისტიკის ან რე-



დაქციის კანონიერი პროფესიული საქმიანობის დაბრკოლება, ჟურნალისტთა და რედაქტორთა იძულება, შეცვალონ ან უარი თქვან ინფორმაციის გავრცელებაზე, ისჯება ათასიდან ორი ათას მანეთამდე ჯარიმით, ძალდატანების განმეორებით მცდელობის შემთხვევაში — ხუთი ათასიდან ათი ათას მანეთამდე ჯარიმით ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

თუ სახელმწიფო ან სახელმწიფო ორგანოები არღვევენ პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების თავისუფლების კანონს, მათ წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისიხლის სამართლის საქმე.

მუხლი 27. პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის უკანონო მომზადებისა და გავრცელებისათვის

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით პროდუქციის შექმნა და გავრცელება, თუ იგი რეგისტრაციაში არ არის გატარებული, ინვესს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ათას მანეთამდე ჯარიმას, რომელსაც სასამართლო აკისრებს რედაქციას, და ნაბეჭდი ტირაჟის ან სხვა პროდუქციის ამოღებას.

კანონის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა იზრდება ხუთი ათას მანეთამდე. ამასთან ხდება იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, რომლებსაც სინფორმაციო საშუალება იყენებს ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის.

მუხლი 28. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევები

რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) ასევე ჟურნალისტს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა არასწორი ცნობების გავრცელებისათვის:

თუ ამ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები;

თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებისა ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების პრესამსახურებისაგან;

თუ ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ სხვადასხვა ოფიციალურ თავყრილობებზე პასუხისმგებელ პირთა გამოსვლებს;

თუ ასეთი ცნობები იყო გამოსვლებში, რომლებიც ეთერში გავიდა წინასწარი ჩანერის გარეშე, ან ტექსტებში, რომლებიც არ ექვემდებარება რედაქტირებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 29. ღირსების სასამართლო

ჟურნალისტის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ ატარებს კრიმინალურ ხასიათს, მაგრამ მიუღებელია ეთიკური თვალსაზრისით



და რასაც მოჰყვა თვით ჟურნალისტის და მასობრივი ინფორმაციის საშუალების საზოგადოებრივი დისკრედიტირება, იქმნება ღირსების სასამართლო.

ღირსების სასამართლოს ქმნის ჟურნალისტთა კავშირი ან ნებისმიერი მასობრივი ინფორმაციის საშუალების კოლექტივი (თუ წარმოიშვა შინა კონფლიქტური სიტუაცია). ღირსების სასამართლოს შეუძლია დააყენოს პროფესიონალი ჟურნალისტის დასჯის საკითხი (გაკიცხვა, ფულადი ჯარიმა, კავშირის წევრების დროებითი შეჩერება ან გარიცხვა).

თავი V

საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 30. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებანი უცხოეთის მოქალაქეებთან და ორგანიზაციებთან. თუ, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ კანონით გათვალისწინებული ურთიერთობის წესრიგისაგან განსხვავებული წესები, პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებს. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია საზღვარგარეთის წყაროებიდან (ტელევიზია, რადიო, პრესა, წიგნები, ბროშურები და ა. შ.).

მუხლი 31. საქართველოში უცხოელი ჟურნალისტების, საზღვარგარეთის სახელმწიფო დიპლომატიური და სხვა წარმომადგენელთა საინფორმაციო საქმიანობა

საქართველოში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტებისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სხვა წარმომადგენლობების სამართლებრივ მდგომარეობასა და პროფესიულ საქმიანობას, აგრეთვე საქართველოში დიპლომატიური, საკონსულო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების საინფორმაციო საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

თავი VI

კანონის კონსტრუქციული და განხორციელება

**მუხლი 32. კანონის დაცვისა და
განხორციელების ზედამხედველობის კომისია**

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის დაცვისა და განხორციელებას ზედამხედველობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისია.

ზვიად გამსახურდია

საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი

1991 წლის 10 აგვისტო

**საქართველოს კანონი „პრესისა და
მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ
საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. №8 მუხ. 595) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების შეზღუდვა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

2. მე-12 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვის „თუ“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „განმეორებით“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ელუარდ შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი

1997 წლის 25 ნოემბერი

№115-ს

საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. №8, მუხ 595) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“, ხოლო სიტყვები „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის“ – სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლების“.

2. მე-3 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ენა არის საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური“. ამოღებულ იქნეს ამავე მუხლის მე-4 აბზაცი.

3. მე-4, მე-5 და მე-7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფა, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება, იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულს ან საიდუმლოდ არის მიჩნეული სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 5. საქართველოს კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ

კანონმდებლობა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან“.

მუხლი 7. მასობრივი ინფორმაციის საშუალების რეგისტრაცია
მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“. თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება რაიმე მიზეზის გამო არ ფუნქციონირებს ერთი წლის განმავლობაში, აუცილებელია მისი ხელმეორედ რეგისტრაცია“.

4. მე-8 მუხლიდან ამოღებული იქნეს სიტყვები (მათ შორის საბჭოთა კავშირშიც).

„მასობრივი ინფორმაციის საშუალების საქმიანობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს, თუ დაირღვა კანონი, რითაც ხელი ეწყობა დანაშაულს, საფრთხე ექმნება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას“.

6. მე-13 მუხლიდან ამოღებული იქნეს მე-3 აბზაცი.

7. მე-16 მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს პარლამენტს“.

8. მე-17 მუხლის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პრესის გავრცელების სახელმწიფო სამმართველოს პარალელურად“, მე-4 აბზაციდან – სიტყვები „სახელმწიფო პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ტირაჟს ანესრიგებს საქართველოს მთავრობა“ და „ან უზენაეს საბჭოს“, აგრეთვე ამოღებულ იქნეს მე-5 აბზაცი.

9. 21-ე მუხლის მე-9 პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვები „ან მთავრობას“.

10. 24-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-9 პუნქტი.

11. 24-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „ათასიდან ორი ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 30 მინიმალურ ოდენობამდე“, ხოლო სიტყვები „ხუთი ათასიდან ათი ათას მანეთამდე“ – სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 70 მინიმალური ოდენობიდან 145 მინიმალურ ოდენობამდე“.

12. 27-ე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები „ათას მანეთამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 15 მინიმალურ ოდენობამდე“, მე-2 აბზაცში სიტყვები „ხუთი ათას მანეთამდე“ – სიტყვებით „შრომის ანაზღაურების 70 მინიმალურ ოდენობამდე“, ხოლო სიტყვები „ამასთან ხდება იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, რომლებსაც საინფორმაციო საშუალება იყენებს ინფორმაციის მოშზადებისა და გავრცელებისათვის“ ამოღებულ იქნეს.

13. ამოღებულ იქნეს 29-ე მუხლი და VI თავი.

II. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისაგან, ისინი დაინომრება თანამდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აბზაცების თანამდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი

1997 წლის 28 ოქტომბერი

№1000

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

თავი III

ინფორმაციის თავისუფლება

მუხლი 27. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისათვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო დაწესებულება – სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, აგრეთვე პირი, რომელიც კანონმდებლობის ან ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო დაწესებულების სახელით ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან;

ბ) კოლეგიური საჯარო დაწესებულება – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი საჯარო მოხელისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი საჯარო მოხელე ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

გ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი – საჯარო მოხელე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში;

დ) თანამდებობის პირი – „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი;

ე) სხდომა – საჯარო დაწესებულების სახელით გადაწყვეტილების მიღების ან ამ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით დაწესებულების წევრთა მიერ საკითხის განხილვა;

ვ) გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ზ) საჯარო მონაცემთა ბაზა – საჯარო დანესებულების ან საჯარო მოხელის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები;

თ) პერსონალური მონაცემები – საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ი) აღმასრულებელი პრივილეგია – საჯარო დანესებულებებისა და საჯარო მოხელეების გათავისუფლება ამ თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან.

მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ექვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ექვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

მუხლი 29. აღმასრულებელი პრივილეგია

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოხელეთა ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

მუხლი 30. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელი-

საგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადის გაგრძელება

გადანყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ან მისი ვადის გაგრძელების შესახებ, გარდა საკანონმდებლო აქტით დადგენილი შემთხვევებისა, შეიძლება მიღებულ იქნეს არა უმეტეს 5 წლის ვადით. გადანყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების, ვადის გაგრძელების, აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მათი მიღებიდან 3 დღის ვადაში.

მუხლი 32. სხდომათა საჯაროობა

თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 33. საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი

საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 34. საჯარო დაწესებულების დახურული სხდომა

კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, აგრეთვე მისი ჩატარების ადგილის, დროის, დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადანყვეტილების მიღებისას – მისი დახურვის შესახებ. სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შეცვლა დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს. კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია გამოაქვეყნოს სხდომის დახურვის შესახებ გადანყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები და გადანყვეტილების ოქმი.

მუხლი 35. საჯარო რეესტრი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში



შეტანილ უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებისას, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვააში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოხელის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში, თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმეს სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

მუხლი 39. პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა იმ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

მუხლი 40. გადანყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადანყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოფ-

ნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახელებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) მოთხოვნის თაობაზე დადებითი ან უარყოფითი გადანყვეტილების მიღებით დაინტერესებულ, სხვა დასახელებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმაცხადებელს მიღებული გადანყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადანყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადანყვეტილების მიღებისას.

მუხლი 42. ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოხელეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადანყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოხელეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ პასუხისმგებელი თანამდებობა ან ევალებათ საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადანაცვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მისი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიცირება, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილებების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.

მუხლი 43. პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მის პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ მიზნებთან და ვადებთან შესაბამისობის კონტროლის პროგრამა;

გ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადანაცვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით გაუთვალისწინებელი, აგრეთვე არაზუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუ-

კავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით;

დ) შეინახოს შესწორებული მონაცემები, მათი გამოყენების დროის მითითებით, შესაბამის მონაცემებთან ერთად მათი არსებობის მანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

ე) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს, რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამოინურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს განსაზღვრული კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლებას;

ვ) საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, აგრეთვე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, ხასიათისა და მიზნის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;

ზ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს, მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა;

თ) პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემაზე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა ისინი ზუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული;

ი) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები.

მუხლი 44. პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა

1. პერსონალური მონაცემები, თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გარდა, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ პირის თანხმობის ან ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილების გარეშე.



2. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება სონალური მონაცემების განსაიდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ქვეყნარტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა.

მუხლი 45. პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა
 პერსონალური მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით.

მუხლი 46. მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება

პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უკანონოდ მოპოვებული მონაცემების განადგურება. პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანამდე პირის განცხადება საჯარო ინფორმაციის უზუსტობის შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და თან უნდა დაერთოს მას. აღნიშნულ საკითხზე საჯარო დაწესებულება ან საჯარო მოხელე გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.

მუხლი 47. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა. ზიანის ანაზღაურება

1. პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

- ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;
- ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;
- გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;
- დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის მიერ ამ კოდექსის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოხელეს.

მუხლი 48.

სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა
სასამართლოს უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

მუხლი 49. ანგარიშის წარდგენა

ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ უარყოფით გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოხელის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;

დ) საჯარო მოხელეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ.

მუხლი 50. ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა

ამ კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა კომერციული პროფესიული და პირადი საიდუმლოებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით მათი სიცოცხლის მანძილზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

კარი VII. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ

თავი XXIII

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და
თავისუფლებების წინააღმდეგ

მუხლი 148. ცილისწამება

ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე.

მუხლი 153. სიტყვის თავისუფლების ხელყოფა

სიტყვის თავისუფლებას ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 154. ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

1. ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ანდა თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ვადით ორ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორწლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 156. დევნა

1. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მისი პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. იგივე ქმედება:

- ა) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;
- ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსალობით ვადით ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 167. ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა

ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა

პირისათვის უკანონოდ უარის თქმა მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე, ანდა იმ დოკუმენტის ან მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე ასეთი ინფორმაციის, დოკუმენტის ან მასალის არასრულად ან დამახინჯებულად წარდგენა, ანდა მის გასაცნობად სხვაგვარად უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

კარი VIII. ეკონომიკური დანაშაული

თავი XXV

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

მუხლი 189. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა

მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. სხვისი ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენება ან მის თანავტორობაზე იძულება, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვასწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი არაერთგზის;

ბ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

კარი IX. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

თავი XXXII

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და

საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ

მუხლი 256. ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება,

რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს დამზადება, გავრცელება, ჩვენება ან შენახვა გავრცელებისა და ჩვენების მიზნით კინოფილმისა, ვიდეოფილმისა ან სხვაგვარი ნაწარმოებისა, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა რეკლამის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა რეკლამის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2. კანონის მიზანი და გამოყენების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს საქართველოს სასაქონლო (სამუშაოთა, მომსახურების) და საფინანსო ბაზრებზე (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩათვლით) რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა.

3. კანონი ვრცელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე აწარმოებენ, განთავსებენ და ავრცელებენ რეკლამას საქართველოში.

4. კანონი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქმედება რეკლამის სფეროში იწვევს (შეიძლება გამოიწვიოს) შესაბამის უარყოფით შედეგებს (კონკურენციის შეზღუდვა, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეცდომაში შეყვანა) საქართველოს ტერიტორიაზე.

5. კანონი არ ვრცელდება პოლიტიკურ რეკლამაზე.

6. კანონი არ ვრცელდება ფიზიკურ პირთა იმ განცხადებებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სამენარმოო საქმიანობასთან.

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინები

1. რეკლამა – საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში – საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

2. არასათანადო რეკლამა – არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, აშკარად ყალბი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

3. არაკეთილსინდისიერი რეკლამა – რეკლამა, რომელიც შეიცავს რეკლამირებადი საქონლის არაკორექტულ შედარებებს სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქონელთან, კონკურენტის ან მესამე პირის სახელის, ღირსებისა და რეპუტაციის შემლახავ გამოთქმებს, ახდენს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დისკრედიტირებას, რომლებიც არ სარგებლობენ რეკლამირებადი საქონლით, აგრეთვე რომელსაც ფიზიკურ პირთა ნდობის ანდა მათი ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის ბოროტად გამოყენებით შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი რეკლამირებადი საქონლის თვისებების შესახებ.

4. არასარწმუნო რეკლამა – რეკლამა, რომელიც შეიცავს სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს რეკლამის დამკვეთის, საქონლის თვისებების, შემადგენლობის, დამზადების ადგილის, წესის, თარიღის, დანიშნულების, სამომხმარებლო თვისებების, გამოყენების პირობების, სერტიფიკატის ნიშნების, სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის, რაოდენობის, ბაზარზე საქონლის არსებობის, მისი აღნიშნული რაოდენობით მითითებულ ადგილზე და ვადაში შექენის შესაძლებლობის, რეკლამის გავრცელებისას საქონლის ღირებულების (ფასის), ანაზღაურების დამატებითი პირობების, საქონლის მიტანის, დაბრუნების, შეკეთების, საგარანტიო ვალდებულებების, ვარგისიანობის ვადის, სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, გერბი, ჰიმნი) გამოყენების უფლების, ოფიციალური აღიარების (მადლობის, პრიზების, დიპლომებისა და სხვა ჯილდოების მიღება), გამოკვლევისა და გამოცდის შედეგების, საქონელზე მოთხოვნის ფაქტობრივი მოცულობის შესახებ.

5. არაეთიკური რეკლამა – რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქე-

სის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბალაღას სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს.

6. აშკარად ყალბი რეკლამა – რეკლამა, რომლის მეშვეობითაც რეკლამის დამკვეთს (რეკლამის მწარმოებელს, რეკლამის გამავრცელებელს) განზრახ შეჰყავს შეცდომაში რეკლამის მომხმარებელი.

7. კონტრრეკლამა – არასათანადო რეკლამის უარყოფის გავრცელება.

8. რეკლამის დამკვეთი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს სარეკლამო ინფორმაციის წყაროს მისი შემდგომი წარმოების, განთავსებისა და გავრცელებისათვის.

9. რეკლამის მწარმოებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარეკლამო ინფორმაციას მზა სახეს აძლევს განთავსებისა და გავრცელებისათვის.

10. რეკლამის გამავრცელებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განათავსებს და/ან ავრცელებს რეკლამას ქონების (მათ შორის, რადიო და ტელემაუწყებლობის ტექნიკური საშუალებების, კავშირგაბმულობის არხების, საეთერო დროის და სხვა საშუალებების) გამოყენებით.

11. რეკლამის მომხმარებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საყურადღებოდ და/ან რომელზე შესაბამისი ზეგავლენის მოსახდენადაც ვრცელდება სარეკლამო ინფორმაცია.

12. თამბაქოს ნაწარმის რეკლამა – რეკლამა, რომელიც შეიცავს თამბაქოს ნაწარმის ან თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშანს, ლოგოტიპს, თამბაქოს ნაწარმის, მისი კოლოფის, ყუთის, მოხმარების პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირებას.

13. ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამა – რეკლამა, რომელიც შეიცავს ალკოჰოლიანი სასმელის ან ალკოჰოლიანი სასმელის მწარმოებელი ფირმის სასაქონლო ნიშანს, ლოგოტიპს: ალკოჰოლიანი სასმელის, მისი ტარის, მოხმარების პროცესის ან მასთან დაკავშირებული ქმედების დემონსტრირებას.

14. მაგარი სპირტიანი სასმელი რეკლამა – ალკოჰოლიანი სასმელის რეკლამა, რომლის შემადგენლობაში სპირტის შემცველობა აღემატება 14 პროცენტს.

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები რეკლამისადმი

1. რეკლამა მისი ნარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა.

2. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.

3. უცხო ენაზე შესრულებული ნარწერა ზომით და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.

4. ორენოვანი მანათობელი ნარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა ნარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი.

5. რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. დაუშვებელია იმ საქონლის რეკლამირება, რომლის ნარწერა და რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული; აგრეთვე იმ ეკონომიკური აგენტის რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული.

7. იმ საქონლის რეკლამას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია, აგრეთვე იმ ეკონომიკური აგენტის რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), მაგრამ ასეთი ნებართვა არ არის მიღებული, უნდა ახლდეს აღნიშვნა „სერტიფიცირებულია“.

8. აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება. იგი ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

9. აკრძალულია რეკლამაში ფიზიკური პირის გამოსახულების ან სახელის გამოყენება მისი ნებართვის გარეშე.

10. რეკლამაში განსაკუთრებული უფლებების ობიექტების (ინტელექტუალური საკუთრების) გამოყენება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. რეკლამაში განსაკუთრებული უფლებების ობიექტების (ინტელექტუალური საკუთრების) გამოყენება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას.

12. აკრძალულია რეკლამის გადასახდელის დიფერენცირება რეკლამირებადი საქონლის სახეების მიხედვით.

13. უცხო ქვეყნიდან საქართველოში გავრცელებული (ტრანსლირებული) რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას რეკლამის შესახებ, უნდა აღიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მუხლი 5. რეკლამა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

1. არასარეკლამო რადიო, ტელე, ვიდეო, აუდიო და კინოპროდუქციაში, აგრეთვე ბექდვით გამოცემებში აკრძალულია რეკლამის მომხმარებელთა ყურადღების ერთდროული აქცენტირება საქონლის კონკრეტულ მარკაზე (მოდელზე, არტიკულზე), დამამზადებელზე, შემსრულებელზე ან გამყიდველზე, იმ წინასწარი მითითების გარეშე, რომ ეს არის რეკლამა.

2. აკრძალულია ქვემოთ ჩამოთვლილი რადიო და ტელეგადაცემების რეკლამით შეწყვეტა:

ა) საბავშვო და რელიგიური გადაცემები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები, ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიებები, სახელმწიფო პირთა ოფიციალური გამოსვლები;

გ) გადაცემები, რომელთა ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია.

3. საგანმანათლებლო გადაცემები რეკლამით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 15 წუთში ერთხელ და არა უმეტეს 45 წამით, ხოლო გადაცემები, რომელთა ხანგრძლივობა 1 საათზე ნაკლებია, – არა უმეტეს 3-ჯერ ტრანსლაციის განმავლობაში (გადაცემები, რომელთა ხანგრძლივობაა 15 წუთიდან 30 წუთამდე – ერთჯერ, 30 წუთიდან 45 წუთამდე – 2-ჯერ, 45 წუთიდან 1 საათამდე – 3-ჯერ).



4. დაფარვის სახით რეკლამირებისას, მათ შორის, „მოძრავი სურათების“ გამოყენებით, მისი ზომა არ უნდა აღემატებოდეს კადრის ფართის პროცენტს.

5. რადიო და ტელეგადაცემებში რეკლამა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს, ხოლო ყოველი ერთი საათი საეთერო დროის განმავლობაში – 20 პროცენტს, გარდა სოციალური რეკლამისა და სპეციალიზებული სარეკლამო რადიო და ტელეგადაცემებისა, რომლებიც რეგისტრირებულია, როგორც სარეკლამო გადაცემები.

6. აკრძალულია კინო და ვიდეომომსახურებაში ფილმის დემონსტრირების შეწყვეტა რეკლამით, გარდა სერიებს (ნაწილებს) შორის შესვენებებისა.

7. უფასო საცნობარო სატელეფონო მომსახურებისას რეკლამა აბონენტს შეიძლება მიენოდოს მხოლოდ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შეტყობინების შემდეგ.

8. სატელეფონო, საკომპიუტერო და სხვა ფასიანი საცნობარო მომსახურებისას რეკლამა აბონენტს შეიძლება მიენოდოს მხოლოდ მისი თანხმობით. ასეთი რეკლამის ღირებულება არ უნდა შევიდეს აბონენტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ღირებულებაში.

9. აკრძალულია ტელექსით ან ფაქსით რეკლამის გავრცელება აბონენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 6. გარე რეკლამა

1. რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენების იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2-მ პუნქტებით.

2. გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს; მან არ უნდა გააუარესოს ამ ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზის ხილვადობა, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. შენობა-ნაგებობებზე გავრცელებული რეკლამა არ უნდა აუარესებდეს მათ არქიტექტურულ იერსახეს და კონსტრუქციულად მდგრადი უნდა იყოს. ნებისმიერი სახით გავრცელებული გარე რეკლამა არ უნდა ამახინჯებდეს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს.

3. გარე რეკლამის განთავსებასა და გავრცელებაზე ნებართვას გასცემენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები წერილობითი ფორმით, რეკლამის შინაარსში ჩაურევლად.

4. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გარე რეკლამის გავრცელების გეგმა (რეკლამის ზომის, ფორმისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით), რომელიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული:

ა) საავტომობილო გზათა მმართველობის სათანადო ორგანოსთან და საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის საავტომობილო გზების კუთვნილ ან მის მომიჯნავე ზოლში მდებარეობისას (დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ);

ბ) საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – საქალაქო და სასოფლო დასახლებების ტერიტორიებზე;

გ) რკინიგზის მმართველობის სათანადო ორგანოსთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის რკინიგზის ტერიტორიის კუთვნილ ზოლში მდებარეობისას;

დ) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან რეგიონებში – ბუნების, ისტორიისა და კულტურის დაცვით ზონებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში.

5. გარე რეკლამის გავრცელებაზე ნებართვის მისაღებად მოსაკრებლის შემოღების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონით.

6. გარე რეკლამის გავრცელება ტერიტორიაზე (მათ შორის, კულტურის ძეგლების, სარიტუალო ობიექტების, დაცულ ტერიტორიაზე), შენობა-ნაგებობებზე (ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე) და სხვა ობიექტებზე, აგრეთვე ამ რეკლამის გავრცელებისათვის გადასახდელის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება მესაკუთრესთან (ან პირთან, რომელსაც აქვს ქონების ფლობის უფლება) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, აუცილებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის არსებობა.

7. გარე რეკლამაზე მითითებული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ რეკლამის გამავრცელებელზე გაცემული ნებართვის ნომერი.

8. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის ასლი 5 დღის ვადაში უნდა გადაეცეს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ადგილობრივ ორგანოს.

მუხლი 7. რეკლამა სატრანსპორტო საშუალებებზე

1. სატრანსპორტო საშუალებებზე რეკლამის გავრცელება ხდება შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრესთან (ან პირთან, რომელსაც აქვს სატრანსპორტო საშუალების ფლობის უფლება) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. მოძრაობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით სატრანსპორტო საშუალებებზე რეკლამის გავრცელების შეზღუდვისა და აკრძალვის შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანო.

მუხლი 8. ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა

1. ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, გავრცელების წესის მიუხედავად, არ უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ ალკოჰოლის ან თამბაქოს გამოყენება ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ თუ სპორტულ სარბიელზე წარმატების მიღწევას.

2. რეკლამა არ უნდა ახდენდეს ალკოჰოლის ან თამბაქოს გამოყენებისაგან თავის შეკავების დისკრედიტირებას. ამასთან, იგი არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მათი დადებითი სამკურნალო თვისებების შესახებ.

3. აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის ნებისმიერი სახით გავრცელება ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გამზირებზე, ხიდებზე, მოედნებზე (და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 20 მეტრის ფარგლებში) და სატრანსპორტო საშუალებებზე.

4. აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის მიმართვა უშუალოდ არასრულწლოვნებისადმი, აგრეთვე ასეთი რეკლამის ნებისმიერი სახით გავრცელება არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებულ კინო და ვიდეომომსახურებაში, რადიო და ტელეგადაცემებში, ბეჭდვით გამოცემებში.

5. აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება საბავშვო, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებში, კულტურისა და სპორტის ორგანიზაციებში, აგრეთვე მათგან 100 მეტრის რადიუსში.

6. ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს ასეთი სასმელებისა და ნაწარმის მოხმარების პროცესის

დემონსტრირებას, მონოდებებს მათი გამოყენების შესახებ, თამბაქოს ნაწარმის კოლოფის, ყუთის და ალკოჰოლიანი სასმელების ტარის გახსნილ მდგომარეობაში დემონსტრირებას, აგრეთვე არ უნდა არღვევდეს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ, ეთიკურ და ეთნოფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს.

7. აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, გაზეთების კაბადონებზე, ყურნალების გარეკანზე.

8. თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელებას (გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით) უნდა ახლდეს გაფრთხილება თამბაქოს მოწვევის მავნებლობის შესახებ. თამბაქოს ნაწარმის რეკლამა, კერძოდ, უნდა შეიცავდეს დიდი შავი ასოებით თეთრ ფონზე გარკვევით დაწერილ ტექსტს: „ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: მოწვევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის“. ამ რეკლამაში აგრეთვე უნდა ფიგურირებდეს ერთ-ერთი შემდეგი განცხადებათაგანი: „მოწვევა იწვევს კიბოს“, „მოწვევა იწვევს გულის დაავადებებს“, „მოწვევა იწვევს ნაადრევ სიკვდილს“, „მოწვევა ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას“, „პასიური მოწვევა საშიშია ჯანმრთელობისათვის“. ამგვარი ინფორმაცია უნდა ავსებდეს რეკლამის მთელი მოცულობის არანაკლებ 10 პროცენტს.

მუხლი 9. სამედიცინო ნაწარმის (მომსახურების) რეკლამა

1. აკრძალულია სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობათა და სამედიცინო ტექნიკის რეკლამის გავრცელება, თუ მათ წარმოებაზე და/ან რეალიზაციაზე არ არის გაცემული ნებართვა; აგრეთვე მკურნალობის, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის მეთოდების რეკლამის გავრცელება, თუ ასეთ მომსახურებაზე არ არის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა, აღნიშნულ სფეროში გამოგონებაზე პატენტის მიღების შემთხვევაშიც კი.

2. აკრძალულია ნამლის შესახებ ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც არწმუნებს მომხმარებელს, რომ მისი გამოყენებისათვის საჭირო არ არის ექიმის კონსულტაცია, არა აქვს თანმხლები მოვლენები, მისი გამოყენება საგრძნობლად გააუმჯობესებს ჯანმრთელობას, ხოლო გამოყენებლობა გააუარესებს მას, რომ ნამლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კვების პროდუქტები, კოსმეტიკური საშუალებები ან მოხმარების სხვა საგანი.



3. აკრძალულია საქართველოში არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების, აგრეთვე იმ სამკურნალო საშუალებების რეკლამის გავრცელება, რომლებიც გაცივმა მხოლოდ ექიმის რეცეპტით და/ან შეიცავს ნარკოტიკულ, ფსიქოტროპულ, შხამშემცველ ან რადიოაქტიურ ნივთიერებებს.

4. სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობათა და სამედიცინო ტექნიკის რეკლამის გავრცელება, რომელთა გამოყენება მოითხოვს სპეციალურ მომზადებას, შეიძლება იმ ბეჭდვით გამოცემებში, რომლებიც განკუთვნილია სამედიცინო და ფარმაცევტული დარგის მუშაკებისათვის (ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით).

5. აკრძალულია სავაჭრო ობიექტების აბრებზე დიაბეტისა და სხვა დაავადებების ხსენება.

მუხლი 9. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების რეკლამა

1. აკრძალულია ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტების (გარდა დამატებითი საკვებისა), სანოვრიანი ბოთლებისა და სატყუარების ნებისმიერი სახის რეკლამა.

მუხლი 10. იარაღის რეკლამა

აკრძალულია საბრძოლო იარაღის რეკლამის გავრცელება. ყველა სხვა სახის, მათ შორის, სანადირო, სპორტული იარაღის რეკლამის გავრცელება შეიძლება სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომელსაც გაცემს საქართველოს შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანო.

მუხლი 11. ფასიანი ქალაქების რეკლამა

1. ფასიანი ქალაქების გამოშვებისა და განთავსების შესახებ რეკლამის გავრცელების მიზანია ინფორმატიულობა. ფასიანი ქალაქების შეთავაზება და მინოდება ხდება მხოლოდ მათი ემისიის პროსპექტის მეშვეობით.

2. ფასიანი ქალაქების შესახებ რეკლამაში მითითებული უნდა იყოს:

- ა) ემიტენტის დასახელება;
- ბ) ანდერრაიტერის დასახელება და მისამართი;
- გ) განთავსებისათვის პასუხისმგებელი პირების ვინაობა და მისამართი;
- დ) სად და ვისთან შეუძლია პოტენციურ ინვესტორს შეიძინოს ემისიის პროსპექტი ან გაეცნოს მას;
- ე) ლიცენზიის ნომერი და იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც გაცა ლიცენზია.

3. ფასიანი ქაღალდების შესახებ რეკლამის გავრცელებისას დაუშვებელია:

- ა) ფასიანი ქაღალდების რეკლამის გავრცელება მათი ემისიის პროსპექტის სახელმწიფო რეგისტრაციამდე;
- ბ) ემისიის პროსპექტში აღნიშნულის გარდა რაიმე სხვა ინფორმაციის გავრცელება;
- გ) საქმიანობის მომავალი ეფექტიანობის (მომგებინაობის) შესახებ ნებისმიერი გარანტიის, დაპირების ან ვარაუდის განცხადება, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების საკურსო ღირებულების გაზრდის თაობაზე;
- დ) ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გარანტირებული სიდიდის ჩვენება;
- ე) ემიტენტის მიერ საკუთარი ფასიანი ქაღალდების თვითკვოტირების ნებისმიერი ცდა და გამოვლინება.

მუხლი 12. სოციალური რეკლამა

1. სოციალური რეკლამა წარმოადგენს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების საგანს, მიმართულია საქველმოქმედო მიზნების მისაღწევად, მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე გარემოს დასაცავად. სოციალური რეკლამის განთავსებასა და გავრცელებაზე ნებართვას, რეკლამის ხასიათიდან გამომდინარე, გასცემენ შესაბამისი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

2. სოციალურ რეკლამაში არ უნდა იყოს მოხსენიებული კომერციული ორგანიზაციები და ინდივიდუალური მენარმეები, მათი საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), აგრეთვე იმ საქონლის კონკრეტული მარკები (მოდელები, არტიკულები), რომელიც წარმოადგენს არაკომერციული ორგანიზაციების დამზარე სამენარმეო საქმიანობის შედეგს.

3. ფიზიკური და იურიდიული პირების სოციალური რეკლამის წარმოებისა და გავრცელებისათვის უსასყიდლო საქმიანობა, აგრეთვე ამ პირთა მიერ საკუთარი ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ამ მიზნით გადაცემა ითვლება საქველმოქმედო საქმიანობად, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეღავათები.

4. რეკლამის გამავრცელებელი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვალდებული არიან უფასოდ განათავსონ სახელმწიფო ორგანოს მიერ

ნარმოდგენილი სოციალური რეკლამა ნლიური სარეკლამო დროის (ტექსტი დეითი ფართის) არანაკლებ 5 პროცენტის ფარგლებში.



მუხლი 13. სპონსორობა

ამ კანონის მიხედვით, სპონსორობად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირის (სპონსორის) მიერ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობაში წვლილის (ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების განწვევის და სამუშაოს შესრულების სახით) უსასყიდლოდ შეტანა. სპონსორს უფლება არა აქვს ჩაერიოს რეკლამის მწარმოებლისა და გამავრცელებლის საქმიანობაში რეკლამის მწარმოებელსა და გამავრცელებელს უფლება არა აქვთ სპონსორის დასახელებისა და სასაქონლო ნიშნის გარდა ისეთი ინფორმაცია გაავრცელონ, რომელიც წარმოადგენს სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის (განუილი მომსახურების) რეკლამას. ტელეგადაცემების სპონსორობა ეკრძალებათ იმ პირებს, რომელთა ნაწარმის ან საქმიანობის რეკლამის გავრცელებაც აკრძალულია ამ კანონით.

მუხლი 14. არასრულწლოვანთა დაცვა რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს

რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა გულუბრყვილობისა და გამოუცდელიობის ბოროტად გამოყენებისაგან მათი დაცვის მიზნით აკრძალულია:

- ა) არასრულწლოვანთათვის შთაგონება – დაარწმუნონ მშობლები ან სხვა პირები რეკლამირებადი საქონლის შექენაში;
- ბ) არასრულწლოვანთა ყურადღების მიპყრობა იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონლის ფლობა უპირატესობას ანიჭებს მათ სხვა არასრულწლოვანთა მიმართ, ხოლო მისი უქონლობა ინვესს სანინაალმდეგ ეფექტს;
- გ) რეკლამაში ისეთი ტექსტის, აუდიო და ვიდეოინფორმაციის მოთავსება, რომლებიც აჩვენებს არასრულწლოვნებს საშიშ ადგილას და ვითარებაში;
- დ) არასრულწლოვანთათვის საქონლის გამოსაყენებლად საჭირო ჩვევების აუცილებელი დონის გაუთვალისწინებლობა. ამასთან, თუ საქონლის გამოყენების შედეგები ნაჩვენები ან აღწერილია, რეკლამა უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რისი მიღწევაც რეალურად შესაძლებელია იმ ასაკობრივი ჯგუფის არასრულწლოვანთათვის, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს საქონელი;
- ე) არასრულწლოვანთათვის საქონლის ღირებულებაზე (ფასზე) არარეალური (დამახინჯებული) წარმოდგენის შექენა, კერძოდ, სიტყვების



„მხოლოდ“, „სულ რაღაც“ და მათ მსგავსთა გამოყენებით, აგრეთვე პირდაპირი ან ირიბი მითითებით იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონელი ხელმისაწვდომია ყველა ოჯახის ბიუჯეტისათვის.

თავი III

რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლისა და გამავრცელებლის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 15. სარეკლამო მასალის შენახვის ვადები

რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი და გამავრცელებელი ვალდებული არიან შეინახონ სარეკლამო მასალები ან მათი ასლები, მათში შემდგომში შეტანილი ყველა ცვლილების ჩათვლით, რეკლამის უკანასკნელად გავრცელების დღიდან 2 თვის განმავლობაში, ხოლო თუ სარეკლამო მასალა სადავო გახდა – შესაბამისი ოჯახების მიერ ამ დავის გადანყვეტამდე.

მუხლი 16. აღმასრულებელი ხელისუფლების

შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის წარდგენა

რეკლამის დამკვეთი, მწარმოებელი და გამავრცელებელი ვალდებული არიან საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და მის ტერიტორიულ ორგანოებს, რომელთაც ევალებათ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესრულების კონტროლი, ამ უკანასკნელთა მოთხოვნით, დადგენილ ვადაში წარუდგინონ უტყუარი საბუთები, წერილობითი ახსნა-განმარტებები და ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის.

თავი IV

სახელმწიფო კონტროლი რეკლამის სფეროში

მუხლი 17. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური

სამსახურის უფლებამოსილებანი რეკლამის სფეროში

1. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (შემდგომში – ანტიმონოპოლიური სამსახური) თავისი კომპეტენციის ფარგლებში არეგულირებს სარეკლამო საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე და ახორციელებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლს.

2. ანტიმონოპოლიური სამსახური „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავის შესაბამისად ახორციელებს გამაფრთხილებელ ღონისძიებებს და აღკვეთს არასათანადო რეკლამას; რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს



უგზავნის მინერილობებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტის თაობაზე და გადაწყვეტილებებს კონტრრეკლამის განხორციელებაზე.

3. ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს კანონით დადგენილი წესით დააკისრონ ადმინისტრაციული სახდელი.

4. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ჯარიმის სახით საქართველოს ბიუჯეტში ჩარიცხული მთელი თანხის 30 პროცენტი გადაირიცხება ანტიმონოპოლიური სამსახურის ანგარიშზე და მოხმარდება ამ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სამსახურის მუშაკთა მატერიალურ წახალისებას და სხვა ღონისძიებებს.

5. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

6. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, მათ შორის, რეკლამის მომხმარებელთა განუსაზღვრელი წრის სასარგებლოდ, რეკლამის დამკვეთთა, მწარმოებელთა და გამავრცელებელთა მიერ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამო და არასათანადო რეკლამასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებათა ბათილად ცნობის თაობაზე.

7. ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია დაიცვას მომხმარებელთა უფლებები და აღკვეთოს არასათანადო რეკლამა, უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები რეკლამის დამკვეთთან, მწარმოებელთან და გამავრცელებელთან, ამ უკანასკნელთა მიერ სარეკლამო პრაქტიკაში მიღებული წესების შესრულებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად.

8. ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებს სოციალური რეკლამის რეგულირებასა და კონტროლს ამ კანონით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 18. ინფორმაციის მიღების უფლება

1. ანტიმონოპოლიურ სამსახურს მაკონტროლებელი ფუნქციის განსახორციელებლად უფლება აქვს შეუფერხებლად მიიღოს რეკლამის დამკვეთთა, მწარმოებელთა და გამავრცელებელთაგან ნებისმიერი ინფორმაცია „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.



2. აკრძალულია იმ მონაცემების გახმაურება, რომლებიც კომერციული საიდუმლოებას შეიცავს და მიღებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირების მიერ.

3. კომერციული საიდუმლოების შემცველი მონაცემების გახმაურებისას ანტიმონოპოლიურ სამსახურს ევალება მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილინესით.

4. ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამოყენებასთან, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები დაიშვებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნესით.

თავი V

კონტრრაქტებზე და პასუხისმგებლობა

არასათანადო რეკლამისათვის

მუხლი 19. კონტრრეკლამა

1. ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონტრრეკლამის განხორციელებაზე ეკონომიკური აგენტის მიერ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის აღიარების შემთხვევაში. დამრღვევი ვალდებულია გაავრცელოს კონტრრეკლამა ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში და აანაზღაუროს მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

2. შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, თუ დამრღვევმა არ გაავრცელა კონტრრეკლამა დადგენილ ვადაში, ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დამრღვევის რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერების შესახებ. ამასთან, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე დამრღვევთან რეკლამის წარმოებაზე, განთავსებასა და გავრცელებაზე დადებული ხელშეკრულების ყველა მონაწილეს.

3. კონტრრეკლამა უნდა გავრცელდეს იმავე საშუალებებით და მათი თანამიმდევრობის, სივრცისა და ადგილის იმავე მახასიათებლების გამოყენებით, როგორც არასათანადო რეკლამა. კონტრრეკლამის შინაარსი უნდა შეუთანხმდეს ანტიმონოპოლიურ სამსახურს. ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილებით შეიძლება კონტრრეკლამის გავრცელების საშუალებათა თანამიმდევრობის, სივრცისა და ადგილის მახასიათებლების შეცვლა.

მუხლი 20. რეკლამის დამკვეთის, მწარმოებლისა და გამავრცელებლის პასუხისმგებლობა

1. რეკლამის დამკვეთი პასუხს აგებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის რეკლამის შესაქმნელად წარდგენილი ინფორმაციის შინაარსზე, თუ არ დამტკიცდა, რომ ეს დარღვევა მოხდა რეკლამის მწარმოებლის ან გამავრცელებლის მიზეზით.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

3. პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა.

4. პასუხისმგებლობის დაკისრება რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამავრცელებელს არ ათავისუფლებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისაგან და კონტრრეკლამის განხორციელების თაობაზე გადანყვეტილების შესრულებისაგან.

5. რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელსა და გამავრცელებელს უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მიმართონ განცხადებით ანტიმონოპოლიური სამსახურის გადანყვეტილების სრულად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

6. აღნიშნული განცხადების სასამართლოში შეტანა არ აჩერებს ანტიმონოპოლიური სამსახურის გადანყვეტილების შესრულებას, თუ სასამართლომ არ გამოიტანა გადანყვეტილება მისი შეჩერების შესახებ.

მუხლი 22. გარდამავალი დებულებანი

1. 1999 წლის 31 დეკემბრამდე აკრძალულია მაგარი სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის გავრცელება გაზეთების კაბადონებზე, ჟურნალების გარეკანზე, აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით 06.00 საათიდან 23.00 საათამდე. რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით თამბაქოს ნაწარმის რეკლამის ხანგრძლივობა ამ მუხლით განსაზღვრულ დროში, ყოველი ერთი საათი საეთერო დროის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. ასეთ რეკლამას დამთავრებისთანავე უნდა ახლდეს ანტირეკლამა (გაფრთხილება თამბაქოს მოწვევის მავნებლობის შესახებ).

2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის სიტყვები „(გარდა რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით)“ მოქმედებს 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან.

4. დავეალოთ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, გაატარონ ღონისძიებანი კანონის ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში ამ კანონის მოთხოვნებთან გარე რეკლამის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

5. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ამ კანონის ამოქმედებიდან ოთხი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე ტელე- და რადიოტრანსლაციის შესახებ.

6. შეჩერდეს უცხო ქვეყნის ტელე-რადიომაუწყებლობის საქართველოში ტრანსლაციის დროს რეკლამის ჩანაცვლება „საქართველოს ტერიტორიაზე ტელე-რადიო ტრანსლაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე.

მუხლი 23. კანონის ამოქმედება და გასაუქმებელი ნორმატიული აქტები

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან.
3. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:



ა) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 10 მარტის №160 ბრძანებულება „არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის შესახებ“;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 27 მარტის №160 დადგენილება „არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან მომხმარებელთა დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი

1998 წლის 18 თებერვალი.

საქართველოს კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები

ეს კანონი ადგენს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტირებისას) ან საქართველოდან ექსპორტირებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესს. იგი ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტების შესახებ ხელშეკრულების დებულებებს სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა თაობაზე.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უფლების მფლობელი — ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს საავტორო უფლება, განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე ანდა რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება;

ბ) საავტორო უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია — ნებისმიერი საქონელი, რომელიც წარმოადგენს უფლების მფლობელის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში მისი რწმუნებულის ნებართვის გარეშე წარმოებული საქონლის ასლს და რომელიც საქართველოში წარმოშობის შემთხვევაში წარმოებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;

გ) საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ ადგილწარმოშობაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, რომელზედაც უკანონოდ არის გამოყენებული ადგილწარმოშობის დასახელება ან გეოგრაფიული აღნიშვნა;

დ) კონტრაფაქციული პროდუქცია – ნებისმიერი საქონელი, მათ შორის, შესაფუთი საქონელი, რომელზედაც უნებართვოდაა მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან, და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლებებს;

ე) „დე-მინიმის“ იმპორტი – არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონელი, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი II

საქონლის შიქარება

მუხლი 3. საქონლის შეჩერება საბაჟო ორგანოების მიერ

უფლების მფლობელს, რომელსაც საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შესაძლებლობა, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ასეთი პროდუქციის იმპორტის ან ექსპორტის შეჩერება.

მუხლი 4. განცხადება

1. უფლების მფლობელი, რომელიც მოითხოვს საქონლის შეჩერებას ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს წერილობით წარუდგენს:

ა) იმის სათანადო დასაბუთებას, რომ ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლების მფლობელის უფლებები;

ბ) საქონლის დეტალურ აღწერას – საბაჟო ორგანოების მიერ მისი ამოცნობის გაადვილების მიზნით;

გ) სასამართლოს მოთხოვნით, უზრუნველყოფის გარანტიას. ასეთი უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების წარმოდგენით, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

2. მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, განცხადების შეტანის შემთხვევაში, განიხილონ და დაადგინონ, თუ რამდენად აკმაყოფილებს სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები და ეცნობებათ საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ შესაბამის ღონისძიებათა ჩატარებისათვის დადგენილი ვადების შესახებ.

მუხლი 5. საქონლის შეჩერების ხანგრძლივობა

თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანიდან 14 დღის განმავლობაში უფლების მფლობელი ვერ უზრუნველყოფს სასამართლოში სარჩელის შეტანას, შეჩერებული საქონელი ექვემდებარება გაშვებას.

მუხლი 6. ზარალის ანაზღაურება

სასამართლოს შეუძლია მოსარჩელეს დააკისროს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც საქონლის შეჩერებით განიცადა იმპორტიორმა, ექსპორტიორმა, ტვირთის მიმღებმა ან საქონლის მესაკუთრემ.

მუხლი 7. შემონმების ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების უფლება

სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი კონფიდენციალური ინფორმაციისათვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე უზრუნველყოფს უფლების მფლობელის მიერ შეჩერებული საქონლის შემონმების ჩატარებას. სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი იმპორტიორს ან ექსპორტიორს ატყობინებს ამგვარი შემონმების ჩატარების შესახებ, აგრეთვე უზრუნველყოფს მის დასწრებას შემონმებაზე და საქონლის შემონმების თანაბარ შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი უფლების მფლობელს აცნობებს ტვირთის გამგზავნის, იმპორტიორის, ექსპორტიორისა და ტვირთის მიმღების ვინაობას და მისამართს, აგრეთვე მოცემული საქონლის რაოდენობას.

მუხლი 8. ღონისძიებები

1. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოაქვს გადაწყვეტილება მოცემული საქონლის განადგურების ან განკარგვის შესახებ.

2. საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით



წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

3. სასამართლოს მიერ უფლების მფლობელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი არ დაუშვებს კონტრაფაქციული პროდუქციის ექსპორტს ან რექსპორტს.

მუხლი 9. „დე-მინიმის“ იმპორტი

ეს კანონი არ გამოიყენება არაკომერციული დანიშნულების მქონე მცირე რაოდენობის საქონლის მიმართ, რომელიც მოთავსებულია მგზავრის ბარგში ან იგზავნება მცირე კონტეინერით.

თავი III

გარდამავალი და დასკვნითი დეკლარაცია

მუხლი 10. გარდამავალი დებულება

დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის განმავლობაში გამოსცეს საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის ანდა კონტრაფაქციული პროდუქციის განადგურებისა და განკარგვის წესი.

მუხლი 11. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ედუარდ შვეარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი.

თბილისი

1999 წლის 23 ივნისი.

№2159 – II ს

შეტანილია ცვლილებები საქართველოს 06/25/98 № 1461,
09/30/98 № 1602, 07/22/99 № 2307,
09/08/99 № 2367 კანონებით

საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ

მუხლი 1. სახელმწიფო ბაჟის ცნება

სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.

მუხლი 3. მოქმედებები, რომლებსაც გადაიხდევინება სახელმწიფო ბაჟი

სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება:

ბ) საერთო სასამართლოებში განსახილველ სასარჩელო ან სხვა განცხადებებზე და საჩივრებზე;

მუხლი 5. შეღავათები სახელმწიფო ბაჟში

1. საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან თავისუფლებიან:

ბ) მოსარჩელენი-სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;

ნ) მოსარჩელენი-სარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი.

თბილისი

1998 წლის 29 აპრილი

№ 1363 - II ს

შეტანილია ცვლილებები საქართველოს 05/01/98 № 1373
05/29/98 № 1406, 06/26/98 № 1524, 10/13/98 № 1631,
10/30/98 № 1667, 04/02/99 № 1880, 04/16/99 № 1894,
06/25/99 № 2205, 12/28/99 № 102, 03/24/2000 № 242 კანონებით

საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ

მუხლი 3. საბაჟო გადასახადის ცნება

საბაჟო გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის.

მუხლი 8. საბაჟო გადასახადის გადამხდელები

საბაჟო გადასახადის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც საქონლით გადაკვეთენ საქართველოს საბაჟო საზღვარს.

მუხლი 9. დაბეგვრის ობიექტი

საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს.

მუხლი 10. საქონლის საბაჟო ღირებულება

1. საქონლის საბაჟო ღირებულება არის საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას საქონლის ფასი, რომლის საფუძველზეც გაიანგარიშება საბაჟო გადასახადი.

2. საქონლის საბაჟო ღირებულება მოიცავს გარიგების ფასს საქონლის შეძენისას, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პუნქტამდე მისი ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის, დაზღვევის, საკომისიო და საბროკერო მომსახურების ხარჯებს, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენებისათვის მყიდველის მიერ პირდაპირ და არაპირდაპირ გადახდილ სალიცენზიო და სხვა გადასახდელებს.

მუხლი 14. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი

1. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ერთმნიშვნელოვნად უნდა ადასტურებდეს საქონლის წარმოშობას მოცემულ ქვეყანაში, რისთვისაც იგი უნდა შეიცავდეს შემდეგი შინაარსის აუცილებელ მონაცემებს:

ა) გამომგზავნის წერილობითი განაცხადი იმის შესახებ, რომ საქონელი აკმაყოფილებს წარმოშობის შესაბამის კრიტერიუმს;

ბ) სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წერილობით დასტურს იმის შესახებ, რომ სერტიფიკატში აღნიშნული მონაცემები უტყუარია.

2. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი წარდგენილ უნდა იქნეს საქონლის საბაჟო გაფორმების დროს საბაჟო დეკლარაციასთან ერთად.

3. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის ან მასში აღნიშნული მონაცემების უტყუარობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ორგანოს შეუძლია თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მისაღებად.

4. საქონელი, რომლის წარმოშობა ზუსტად არ არის დადგენილი, იმპორტის საბაჟო რეჟიმით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გაიშვება მაქსიმალური განაკვეთით გაანგარიშებული საბაჟო გადასახდელების გადახდის შემდეგ.

მუხლი 15. საბაჟო გადასახადის განაკვეთების სახეები

5. დანარჩენი საქონლის იმპორტი იბეგრება საბაჟო გადასახადის 12-პროცენტოანი განაკვეთით. იგივე განაკვეთი გამოიყენება ნავთობპროდუქტების (გარდა მазუთისა) იმპორტზე, მათ შორის, დსთ-ის ქვეყნიებიდან.

მუხლი 18. საბაჟო გადასახადის გადასახადისგან განთავისუფლება

საბაჟო გადასახადის გადასახადისგან განთავისუფლებულია:

ნ) ქართველ კლასიკოსთა და საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გამოცემული შემოქმედებითი და მეცნიერული ნაწარმოებების იმპორტი;

ედუარდ შევარდნაძე
საქართველოს პრეზიდენტი.

თბილისი
1998 წლის 20 მარტი
№ 1316 - II ს

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

კარი III. დამატებული ღირებულების გადასახადი

თავი 14

საბაღასახადო შეღავათიანი

მუხლი 101. გადასახადისგან განთავისუფლება

1. დღგ-ისაგან განთავისუფლებულია შემდეგი საქონლის მიწოდება, საშუალების შესრულება ან მომსახურების გაწევა, აგრეთვე იმპორტის შემდეგი სახეები:

პ. სამეცნიერო ლიტერატურის, აგრეთვე საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტებთან შეთანხმებით დამტკიცებული სასწავლო სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ლიტერატურის ბეჭდვა, მიწოდება ან/და იმპორტი;

ს. სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების იმპორტი, რომელთა ავტორებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, აგრეთვე უცხოეთში გამოცემული ქართული კლასიკური ლიტერატურის იმპორტი;

ტ. საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული და გამოცემული პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვა და მიწოდება;

უ. რვეულების მიწოდება;

ფ. საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთელის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით;

ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №9-2

წიგნის ვაჭრობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისში წიგნის ვაჭრობის სანარმოებში წიგნებითა და ჟურნალებით ვაჭრობის წახალისების მიზნით

ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. იმ სპეციალიზებულ მაღაზიებში, რომლებიც ვაჭრობენ მხოლოდ წიგნითა და საკანცელარიო საქონლით, დადგინდეს სამენარმეო საქმიანობის გადასახადის განაკვეთი წიგნით ვაჭრობაზე — შემოსავლების 0,1%.

2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს — ქვეყანაში წიგნის ვაჭრობის სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიტანოს საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადება წიგნით ვაჭრობის სანარმოების პრივატიზაციისას საქმიანობის პროფილის შეცვლის აკრძალვაზე, წიგნებისა და ჟურნალების გამოცემაზე, მინოდებასა და რეალიზაციის მომსახურებაზე, დამატებული ღირებულების გადასახადის მოხსნისა და შესაბამისად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის I პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის (რომელიც ეხება გადასახადიდან განთავისუფლებას) შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ:

ს. სამეცნიერო, სახელოვნებო და მხატვრული ლიტერატურის, წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა, მინოდება და რეალიზაციის მომსახურება;

ვ. კახაძე

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. დევდარიანი

ქ. თბილისის საკრებულოს მდივანი

1999 წლის 26 თებერვალი

საერთაშორისო
სამართლებრივი
აქტები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას და უბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება...

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაიცვას თავისი მორალური და მატერიალური ინტერესები, რომლებიც მისი ავტორობით შექმნილი მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომების შედეგს წარმოადგენს.

მიღებულია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 1948 წელს.

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ

მუხლი 10.

1. ყველას აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. ეს უფლება მოიცავს ადამიანის უფლებას თავისუფლად დაიცვას თავისი აზრი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლებისა და საზღვრებისგან მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, მოითხოვონ ნებართვები რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა ან კინოკომპანიებისათვის.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

ნაწილი III

მუხლი 19

1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ჰქონდეს საკუთარი აზრი.

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მაშასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონით დადგენილი და აუცილებელი.

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის.

ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად.

გაერო

1966 წლის 16 დეკემბერი

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

ნაწილი III

მუხლი 15

1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას:

ა) მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში.

ბ) სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით და პრაქტიკულად იყენებდეს მათ.

გ) სარგებლობდეს იმ მორალური და მატერიალური ინტერესების დაცვით, რომლებიც ჩნდება ყველა იმ მეცნიერული, ლიტერატურულ თუ მსატვრულ ნაშრომთან დაკავშირებით, რომელთა ავტორია.

2. ღონისძიებანი, რომლებიც უნდა მიიღონ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ამ უფლების სრული განხორციელებისათვის, შეიცავენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა დაცვის, განვითარებისა და გავრცელებისათვის.

3. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ თავისუფლებას, რომელიც უთუოდ აუცილებელია მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

4. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ დიდად სასარგებლოა მეცნიერებისა და კულტურის დარგებში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის წახალისება და განვითარება.

გაერო

1966 წელი

ბერნის კონვენცია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ

მიღებული 1886 წლის 9 სექტემბერს,
პარიზში 1896 წლის 4 მაისს მიღებული დამატებებით,
გადასინჯული ბერლინში 1908 წლის 13 ნოემბერს,
შეესებული ბერნში 1914 წლის 20 მარტს და
გადასინჯული რომში 1928 წლის 2 ივნისს,
ბრიუსელში 1948 წლის 26 ივნისს,
სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს და
პარიზში 1971 წლის 24 ივლისს,
შეცვლილი 1979 წლის 2 ოქტომბერს

კავშირის ქვეყნებმა, შთაგონებულებმა ერთი სურვილით — ეფექტურად და ერთნაირად დაიცვან ავტორთა უფლებები თავიანთ ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია,

აღიარებენ რა 1967 წელს კონვენციის გადასინჯვის თაობაზე სტოკჰოლმში გამართული კონფერენციის მუშაობის მნიშვნელობას, გადანაცვლებს გადასინჯონ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღებული აქტი, უცვლელად სტოკჰოლმში რა ამ აქტის 1-20 მუხლებს და 22-26 მუხლებს.

ამის შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი რწმუნებულები, თავიანთი რწმუნებების წარდგენის შემდეგ, შესაბამისი ფორმითა და სრული ნუსხით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. (კავშირის შექმნა*)

ქვეყნები, სადაც გამოიყენება ეს კონვენცია, ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე ავტორთა უფლებების დაცვის მიზნით ქმნიან კავშირს.

* ყოველ მუხლსა და დამატებით კარს დართული აქვს სათაური ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად. ხელმოწერილ (ინგლისურ) ტექსტში სათაურები არ არის.

მუხლი 2. (დასაცავი ნაწარმოებები: 1. „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები“; 2. ფიქსაციის შესაძლო მოთხოვნა; 3. მეორეული ნაწარმოებები; 4. ოფიციალური ტექსტები; 5. კრებულები; 6. დაცვის ვალდებულება; პირები, რომლებიც სარგებლობენ დაცვის უფლებით; 7. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები და სამრეწველო ნიმუშები; 8. სიახლეები)

(1) ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები“ მოიცავს ყველა ნაწარმოებს ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში, როგორი საშუალებითა და ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული; წიგნებს, ბროშურებს და სხვა წერილობით ნაწარმოებებს; ლექციებს, მიმართვებს, ქადაგებებს და სხვა ამგვარ ნაწარმოებებს; დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ ნაწარმოებებს; ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებს და პანტომიმებს; მუსიკალურ ნაწარმოებებს ტექსტითა და უტექსტოდ; კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს, რომლებსაც უთანაბრდება კინემატოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით შექმნილი ნაწარმოებები; ნახატებს, ფერწერის, არქიტექტურის, ქანდაკების, გრაფიკისა და ლიტოგრაფიულ ნაწარმოებებს; ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებს, რომლებსაც უთანაბრდება ფოტოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოებები; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს; ილუსტრაციებს; გეოგრაფიულ რუკებს; გეგმებს, ესკიზებსა და პლასტიკურ ნაწარმოებებს, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას, არქიტექტურას ან მეცნიერებებს.

(2) ამავე დროს კავშირის ქვეყნების კანონმდებლობებს უნარჩუნდებთ უფება განაწესონ, რომ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები ან მათი რომელიმე გარკვეული კატეგორია ექვემდებარება არდაცვას, თუ არ არის განმტკიცებული რომელიმე მატერიალური ფორმით.

(3) თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების სხვაგვარი გადაკეთება დაცულია ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღალახავად.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობები ინარჩუნებენ უფლებას განსაზღვრონ დაცვა, რომელიც მიეცემათ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხასიათის ოფიციალურ ტექსტებს და ასეთი ტექსტების ოფიციალურ თარგმანებს.

(5) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების კრებული, მაგალითად, ენციკლოპედია და ანთოლოგია, რომლებიც მასალების შერჩევით და განლაგებით წარმოადგენენ ინტელექტუალური შემოქმედების

ნაყოფს, დაცული უნდა იქნეს როგორც ასეთი ამ კრებულის შემადგენელი ნაწილის – ყოველი ნაწარმოების ავტორის უფლებების შეუღახავად.

(6) ამ მუხლში მითითებული ნაწარმოებები სარგებლობენ დაცვის უფლებით კავშირის ყველა ქვეყანაში. ეს დაცვა ხორციელდება ავტორისა და მისი უფლებამონაცვლის სასარგებლოდ.

(7) ამ კონვენციის მე-7 მუხლის (4) პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით კავშირის ქვეყნების კანონმდებლებს უნარჩუნდებათ უფლება განსაზღვრონ მათი კანონების გამოყენების ხარისხი გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა და სამრეწველო ხასიათის ნახატებისა და ნიმუშების მიმართ, აგრეთვე ამ ნაწარმოებების ნახატებისა და ნიმუშების დაცვის პირობები. იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომლებიც დაცულია მათი წარმოშობის ქვეყანაში მხოლოდ როგორც ნახატები და ნიმუშები, კავშირის სხვა ქვეყნებში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ სპეციალური დაცვა, რომლითაც ქვეყანა უზრუნველყოფს ამ ნახატებსა და ნიმუშებს, მაგრამ თუ ქვეყანაში ასეთი დაცვა არ ხორციელდება, ეს ნაწარმოებები დაცული უნდა იქნეს როგორც მხატვრული ნაწარმოებები.

(8) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის უფლება არ ვრცელდება ახალ ამბებზე ან ცნობებზე სხვადასხვა მოვლენების შესახებ, რომლებსაც უბრალო პრეს-ინფორმაციის ხასიათი აქვს.

მუხლი 2 bis. (გარკვეულ ნაწარმოებთა შესახლო შეზღუდვა:

1. გარკვეული წარმოთქმული სიტყვები; 2. ლექციებისა და მიმართვების გარკვეული გამოყენება; 3. ასეთი ნაწარმოებების კრებულთა მომზადების უფლება)

(1) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობები ინარჩუნებენ უფლებას სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ წინა მუხლით გათვალისწინებული დაცვის უფლება პოლიტიკური სიტყვებისა და სასამართლო პროცესზე წარმოთქმული სიტყვების მიმართ.

(2) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობები ინარჩუნებენ აგრეთვე უფლებას დაადგინონ პირობები, რომლებითაც ლექციები, მიმართვები და ასეთი სახის სხვა საჯაროდ წარმოთქმული ნაწარმოებები შეიძლება დაიბეჭდოს პრესაში, გადაიცეს ეთერში, გადაიცეს საყოველთაო გაცნობისათვის მავთულებით და შეადგინოს საჯარო შეტყობინების საგანი, რომელსაც ითვალისწინებს ამ კონვენციის მე-11 მუხლის (1) პუნქტი, როდესაც ასეთი გადაცემა გამართლებულია ინფორმაციის მიზნით.

(3) ამავე დროს ავტორი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით მოამზადოს თავის ნაწარმოებთა კრებულები, რომლებიც მოხსენიებულია წინა პუნქტებში.

მუხლი 3. (დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმები:

1. ავტორის მოქალაქეობა; ნაწარმოების გამოქვეყნების ადგილი;

2. ავტორის საცხოვრებელი ადგილი;

3. „გამოქვეყნებული ნაწარმოები“;

4. იმავდროულად გამოქვეყნებული ნაწარმოებები“)

(1) ამ კონვენციით გათვალისწინებული დაცვის უფლება გამოიყენება:

(a) ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთ თი ქვეყნის მოქალაქეებს, მათი როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების მიმართ;

(b) ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეებს, მათი ნაწარმოებების მიმართ, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში ან ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც არ შედის კავშირში, და კავშირის ქვეყანაში.

(2) ავტორები, რომლებიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან, მაგრამ აქვთ თავიანთი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ერთ-ერთ ასეთ ქვეყანაში, ამ კონვენციის მიზნებისათვის უთანაბრდებიან ამ ქვეყნის მოქალაქეებს.

(3) „გამოქვეყნებულ ნაწარმოებში“ უნდა ვიგულისხმოთ ნაწარმოები, გამოქვეყნებული მისი ავტორის თანხმობით, მიუხედავად იტმისა, როგორია ეგ ზემპლარის დამზადების წესი, იმ პირობით, თუ ეს ეგ ზემპლარები გამოშვებულია საზოგადოების დაკმაყოფილებისათვის საჭირო გონივრული რაოდენობით, ნაწარმოების ხასიათის გათვალისწინებით. არ ითვლება გამოქვეყნებულად დრამატული, მუსიკალურ-დრამატული ან კინემატოგრაფიული ნაწარმოების დადგმა, მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, ლიტერატურული ნაწარმოების საჯარო კითხვა, ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების მავთულებით გადაცემა ან ეთერში გადაცემა, ხელოვნების ნაწარმოების ჩვენება და არქიტექტურული ნაწარმოების აგება.

(4) ნაწარმოები ითვლება გამოქვეყნებულად ერთდროულად რამოდენიმე ქვეყანაში, თუ იგი გამოქვეყნდა ორ ან მეტ ქვეყანაში ორმოცდაათი დღის განმავლობაში მისი პირველი გამოქვეყნებიდან.

**მუხლი 4. (კინემატოგრაფიული ნაწარმოებისათვის,
არქიტექტურული ნაწარმოებისათვის და
კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებისათვის
მინიჭებული დაცვის უფლების კრიტერიუმები)**

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის უფლება გამოიყენება მაშინაც კი, თუ მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდება:

(ა) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების ავტორთა მიმართ, რომლებსაც აქვთ თავიანთი შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი ადგილსაცხოვრებელი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში;

(ბ) იმ არქიტექტურული ნაწარმოებების ავტორთა მიმართ, რომლებიც აგებულია კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში ან სხვა ისეთ მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში მდებარე შენობის ან სხვა ნაგებობის ნაწილს.

მუხლი 5. (გარანტირებული უფლებები: 1 და 2. წარმოშობის ქვეყნის გარეთ; 3. წარმოშობის ქვეყანაში; 4. „წარმოშობის ქვეყანა“)

(1) იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომელთა ავტორებსაც ამ კონვენციის ძალით ენიჭებათ დაცვის უფლება, ისინი სარგებლობენ კავშირის ქვეყნებში, ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის გარდა, უფლებებით, რომლებიც ენიჭებათ ამჟამად ან მიენიჭებათ შემდგომ ამ ქვეყნის კანონებით ამავე ქვეყნის მოქალაქეებს, აგრეთვე იმ უფლებებით, რომელთაც განსაკუთრებულად მიანიჭებს ეს კონვენცია.

(2) ამ უფლებებით სარგებლობა და მათი განხორციელება დაკავშირებული არ არის რაიმე ფორმალობის შესრულებასთან; ასეთი სარგებლობა და განხორციელება დამოკიდებული არ არის ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში განხორციელებულ დაცვაზე. მაშასადამე, ამ კონვენციით დადგენილი დებულებების გარდა, ავტორისთვის დაცვის მოცულობას ისევე, როგორც დაცვის საშუალებებს მისი უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, არეგულირებს მხოლოდ და მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც არის დაცვის მოთხოვნა.

(3) წარმოშობის ქვეყანაში დაცვა რეგულირდება შინაგანი კანონმდებლობით. თუმცა, თუ ავტორი არ არის ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლის მიმართაც ენიჭება დაცვის უფლება ამ კონვენციის ძალით, იგი ამ ქვეყანაში სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორითაც ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორები.

(4) წარმოშობის ქვეყნად ითვლება:



(a) კავშირის რომელიმე ქვეყანაში პირველად გამოქვეყნებული ნაწარმოებისათვის – ეს ქვეყანა, კავშირის რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად გამოქვეყნებული ნაწარმოებისათვის, სადაც დაცვის სხვადასხვა ვადებია გათვალისწინებული – ის ქვეყანა, რომელშიც დაცვის ყველაზე მოკლე ვადაა დადგენილი;

(b) ნაწარმოებისათვის, რომელიც ერთდროულად გამოქვეყნდა ქვეყანაში, რომელიც კავშირში არ შედის და კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში, – ეს უკანასკნელი ქვეყანა;

(c) ნაწარმოებისათვის, რომელიც არ გამოქვეყნებულა ან ნაწარმოებისთვის, რომელიც პირველად გამოქვეყნდა კავშირის გარეშე არსებულ ქვეყანაში და ერთდროულად არ გამოქვეყნებულა კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში – კავშირის ის ქვეყანა, რომლის მოქალაქეც არის ავტორი იმ პირობით, თუ:

i) კინემატოგრაფიული ნაწარმოების მიმართ, რომლის დამამზადებელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი ადგილსაცხოვრებელი კავშირის რომელიმე ქვეყანაში, ნარმოშობის ქვეყნად ითვლება ეს ქვეყანა, და

ii) არქიტექტურული ნაწარმოების, ნაგებობის მიმართ კავშირის რომელიმე ქვეყანაში ან სხვა მხატვრული ნაწარმოების მიმართ, რომელიც შეადგენს კავშირის რომელიმე ქვეყანაში მდებარე შენობის ან ნაგებობის ნაწილს, ნარმოშობის ქვეყნად ითვლება ეს ქვეყანა.

მუხლი 6. (დაცვის შესაძლო შეზღუდვა გარკვეული ნაწარმოებების მიმართ იმ გარკვეული ქვეყნის გარკვეულ მოქალაქეთათვის, რომელიც არ შედის კავშირში: 1. პირველი გამოშვების ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში; 2. უკუქმედებითი ძალის არარსებობა; 3. შეტყობინება)

თუ კავშირის გარეშე არსებული რომელიმე ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ავტორის უფლებებს, რომელიც კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეა, ამ უკანასკნელ ქვეყანას შეუძლია შეზღუდოს იმ ავტორის უფლებები, რომელიც ნაწარმოების პირველი გამოქვეყნების დროისათვის სხვა ქვეყნის მოქალაქეა და რომელსაც არ აქვს ჩვეულებრივი ადგილსაცხოვრებელი კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში. თუ ქვეყანა, რომელშიც ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა, ისარგებლებს ამ უფლებით, კავშირის სხვა ქვეყნები ვალდებული არ არიან იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ასეთ განსაკუთრებულ რეჟიმს ექვემდებარებიან, მიანიჭონ დაცვის უფრო ფართო უფლებები, ვიდრე ის დაცვაა, რომელსაც სთავაზობს მათი პირველი გამოქვეყნების ქვეყანა.

(2) წინა პუნქტით დადგენილი არავითარი შეზღუდვა არ შეეხება უფლებებს, რომლებიც შეძენილი აქვს ავტორის კავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე ამ შეზღუდვების შემოღებამდე.

(3) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად ზღუდავენ ავტორთა უფლებებს, ამის შესახებ აცნობებენ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს (შემდგომ — „გენერალური დირექტორი“) წერილობითი განცხადების გზით, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნებს, სადაც უნდა შეიზღუდოს ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორთა უფლებები. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ განცხადებას კავშირის ყველა ქვეყანას.

მუხლი 6 bis. (არაქონებრივი უფლებები: 1. ავტორობის ცნობის მოთხოვნა, წინააღმდეგობა გაუჩინოს გარკვეული ცვლილებების შეტანას და სხვა უფლებების დამრღვევ მოქმედებებს; 2. ავტორის სიკვდილის შემდეგ; 3. დაცვის საშუალებები)

(1) ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და ამ უფლებების დათმობის შემდეგაც კი მას უფლება აქვს მოითხოვოს ნაწარმოების მიმართ თავისი ავტორობის აღიარება და შეწინააღმდეგოს ამ ნაწარმოების ყოველგვარ გაუკუღმართებას, დამახინჯებას ან სხვაგვარ შეცვლას, აგრეთვე ნაწარმოების სხვა ნებისმიერ ხელყოფას, რომელსაც შეუძლია ავნოს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

(2) წინა პუნქტის საფუძველზე აღიარებული საავტორო უფლებები ინარჩუნებენ ძალას მისი სიკვდილის შემდეგაც, ყოველ შემთხვევაში ქონებრივი უფლებების შეწყვეტამდე და მათ ახორციელებენ ის პირები ან დაწესებულებები, რომლებიც უფლებამოსილი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიერ, სადაც არის დაცვის მოთხოვნა. თუმცა ის ქვეყანა, რომლის კანონმდებლობაც ამ აქტის რატიფიკაციის მომენტში ან მასთან შეერთების მომენტში არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც წინა პუნქტში ჩამოთვლილი ყველა უფლების დაცვას უზრუნველყოფს ავტორის სიკვდილის შემდეგ, შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ზოგიერთი ამ უფლებათაგანი ავტორის სიკვდილის შემდეგ ვერ შეინარჩუნებს ძალას.

(3) ამ მუხლით მინიჭებული დაცვის უფლებების უზრუნველსაყოფი საშუალებები რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც იქნება დაცვის მოთხოვნა.



მუხლი 7. (დაცვის ვადა. 1. ზოგადი დებულება; 2. კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისათვის; 3. ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ნაწარმოებებისათვის; 4. ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის; 5. ათვლის დაწყების თარიღი; 6. უფრო ხანგრძლივი ვადები; 7. უფრო მოკლე ვადები; 8. გამოსაყენებელი კანონმდებლობა; ვადების „შეჯერება“)

(1) ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა შეადგენს ავტორის სიცოცხლის მთელ დროს და ორმოცდაათ წელიწადს მისი გარდაცვალების შემდეგ.

(2) ამავე დროს კავშირის ქვეყნის კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათ წელიწადში მას შემდეგ, რაც ავტორის თანხმობით ნაწარმოები საყოველთაოდ მისაწვდომი გახდა, ან — თუ ასეთი ნაწარმოებზე შექმნიდან ორმოცდაათი წლის განმავლობაში ეს არ მოხდა — დაცვის ვადა იწურება ნაწარმოების შექმნიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ნაწარმოებებისათვის ამ კონვენციით მინიჭებული დაცვის ვადა იწურება ორმოცდაათ წელიწადში მას შემდეგ, რაც ნაწარმოები მართლზომიერად მისაწვდომი გახდა ყველასათვის. მაგრამ, თუ ავტორის ფსევდონიმი უეჭველად ადასტურებს მის პიროვნებას, დაცვის ვადა შეადგენს ვადას, რომელსაც ითვალისწინებს (1) პუნქტი. თუ ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ნაწარმოების ავტორი თავის პიროვნებას ზემოაღნიშნულ ვადაში გაამჟღავნებს, გამოიყენება დაცვის ვადა, რომელსაც ითვალისწინებს (1) პუნქტი. კავშირის ქვეყნები მოვალენი არ არიან დაიცვან ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებული ისეთი ნაწარმოებები, რომელთა მიმართ სრული საფუძველი აქვთ ივარაუდონ, რომ მისი ავტორის გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წელი გავიდა.

(4) კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს ფოტოგრაფიული ნაწარმოებებისა და გამოყენებითი ხელოვნების იმ ნაწარმოებთა დაცვის ვადა, რომლებიც დაცულია, როგორც მხატვრული ნაწარმოებები. მაგრამ ეს ვადა არ შეიძლება იყოს ოცდახუთ წელზე ნაკლები ამ ნაწარმოების შექმნიდან.

(5) ავტორის გარდაცვალების შემდეგ მინიჭებული დაცვის ვადა და (2), (3) და (4) პუნქტებით გათვალისწინებული ვადები იწყება ავტორის გარდაცვალების დღიდან ან ამ პუნქტებში აღნიშნული მოვლენის დაწყების დღიდან, მაგრამ იწყება ყოველთვის გარდაცვალების წლის ან ასეთი მოვლენის დადგომის წლის მომდევნო წლის 1 იანვრიდან.

(6) კავშირის ქვეყნებს უფლება აქვთ დაადგინონ დაცვის ვადა, რომელიც წინა პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებს აღემატება.

(7) კავშირის ქვეყნებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ კონვენციის რომაულ აქტთან და ამ აქტის მოქმედების მომენტში მოქმედ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში დაცვის უფრო მოკლე ვადებს ადგენენ, ვიდრე წინა პუნქტები ითვალისწინებს, უფლება აქვთ ამ აქტისადმი შეერთებისას ან მისი რატიფიკაციისას შეინარჩუნონ ეს ვადები.

(8) ნებისმიერ შემთხვევაში ვადა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც არის დაცვის მოთხოვნა; მაგრამ, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობა სხვაგვარად არ ითვალისწინებს, ეს ვადა არ შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს, ვიდრე ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში დადგენილი ვადა.

მუხლი 7. (თანავტორობით შექმნილი ნაწარმოებების დაცვის ვადა)

წინა მუხლის დებულებანი გამოიყენება თანავტორობით შექმნილი ნაწარმოებებისთვისაც, იმ პირობით, რომ ავტორის გარდაცვალების დღიდან განსაზღვრული ვადები აითვლება თანავტორებიდან უკანასკნელი ავტორის გარდაცვალების დღიდან.

მუხლი 8. (თარგმნის უფლება)

ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს ორიგინალურ ნაწარმოებებზე უფლების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თავიანთი ნაწარმოებების თარგმნისა და თარგმნის ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლება აქვთ.

მუხლი 9. (ნაწარმოების მეორადი გამოყენების უფლება):

- 1. ზოგადი დებულება;**
- 2. შესაძლო გამონაკლისები;**
- 3. ბგერითი და ვიზუალური ჩანაწერები)**

(1) ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ ნებისმიერი სახით ან ნებისმიერი ფორმით ამ ნაწარმოებების 'მეორადი გამოყენების ნებართვა.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობას უფლება რჩება გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევაში გასცეს ამ ნაწარმოებების მეორადი გამოყენების უფლება იმ პირობით, რომ ასეთი გამოყენება ზიანს არ მიაყენებს ნაწარმოების ნორმალურ ექსპლუატაციას და უსაფუძვლოდ არ შელახავს ავტორის კანონიერ ინტერესებს.



(3) ამ კონვენციის მიზნებისათვის ნებისმიერი ბგერითი ან ვიზუალური ჩანერა მეორად გამოყენებად ჩაითვლება.

მუხლი 10. (ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების გარკვეული შემთხვევები: 1. ციტატები; 2. ილუსტრაციები სასწავლო მიზნით; წყაროს და ავტორისა მითითება)

(1) დასაშვებია იმ ნაწარმოების ციტატების მოყვანა, რომელიც მართლზომიერად უკვე საყოველთაოდ მისაწვდომი გახდა, ოღონდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება კეთილი ჩვეულებანი, და ისეთი მოცულობით, როგორც გამართლებული იქნება დასახული მიზნით, მათ შორის ჟურნალ-გაზეთების სტატიების ციტირება პრესის მიმოხილვის ფორმით.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით და სპეციალური შეთანხმებებით, რომლებიც დადებულია ან დაიდება მათ შორის, შეიძლება ნებადართული იყოს ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოებების გამოყენება ისეთი მოცულობით, რომელიც გამართლებული იქნება დასახული მიზნით, გამოცემის ილუსტრაციების სახით, რადიო და სატელევიზიო გადაცემების და სასწავლო ხასიათის ბგერითი ან გამოსახულებითი ჩანაწერების სახით, ოღონდ იმ პირობით, რომ ასეთი გამოყენებისას დაიცავენ კეთილ ჩვეულებებს.

(3) ამ მუხლის წინა პუნქტების შესაბამისად ნაწარმოებების გამოყენებისას მითითებული უნდა იყოს წყარო და ავტორის სახელი თუ ეს სახელი აღნიშნულია ამ წყაროში.

მუხლი 10 bis. (ნაწარმოებების შესაძლო თავისუფალი გამოყენების დამატებითი შემთხვევები: 1. ეთერში გადაცემული გარკვეული სტატიებისა და ნაწარმოებებისა; 2. მიმდინარე ამბების მსვლელობაში ნაჩვენები ან გამოქვეყნებული ნაწარმოებებისა)

(1) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობას რჩება უფლება გასცეს იმის ნებართვა, რომ გამოაქვეყნონ პრესაში, გადასცენ ეთერში ან სადენებით საყოველთაოდ გასაცნობად ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებზე ან ამავე ხასიათის ეთერში გადაცემული ნაწარმოებები, თუ ეთერში გადაცემის ან სადენებით გადაცემის ასეთი გამოყენება საგანგებოდ არ იყო შეთანხმებული. მაგრამ წყარო ყოველთვის მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული; ამ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები იმ ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება, სადაც არის დაცვის მოთხოვნილება.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობას რჩება იმის უფლება, რომ გასაზღვროს პირობები, რომელთა თანახმადაც მიმდინარე ამბების მსვლელობაში ნაჩვენები ან გამოქვეყნებული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებები შეიძლება საინფორმაციო მიზნით გამართლებული მოცულობით გამოიყენონ ან საყოველთაოდ მისაწვდომი გახადონ მიმდინარე ამბების მიმოხილვისას ფოტოგრაფიული ან კინემატოგრაფიული საშუალებებით ან ეთერში გადაცემის გზით, ან საყოველთაოდ გასაცნობად სადენებით გადაცემის გზით.

მუხლი II. (დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორების გარკვეული უფლებები: 1. საჯარო წარმოდგენის ან საყოველთაოდ გასაცნობად წარმოდგენის გადაცემის უფლება; 2. თარგმნის მიმართულება)

(I) დრამატული, მუსიკალურ-დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ:

(I) საჯაროდ წარმოადგინონ და შეასრულონ თავიანთი ნაწარმოებები, მათ შორის საჯაროდ წარმოადგინონ და შეასრულონ ნებისმიერი საშუალებით და ხერხით;

(II) საყოველთაოდ გასაცნობად, ნებისმიერი საშუალებით, გადასცენ ნაწარმოების დადგმა და შესრულება.

(2) დრამატული და მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებების ავტორებს ასეთივე უფლება ენიჭებათ თავიანთი ნაწარმოებების თარგმანების მიმართ ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

მუხლი II bis. (ეთერში გადაცემა და ამასთან დაკავშირებული უფლებები: 1. ეთერში გადაცემა და უსადენო გადაცემის სხვა ხერხები, სადენებით ან ეთერში განმეორებითი გადაცემით საჯარო გამოქვეყნება, რადიოთი ან ანალოგიური აპარატის მეშვეობით ეთერში გადაცემული ნაწარმოების შესახებ საჯარო ცნობა; 2. იძულებითი ლიცენზიები; 3. ჩანაწერები; ხანმოკლე გამოყენების ჩანაწერები)

(I) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ ნებართვა, რომ:

(I) ეთერში გადაიცეს მათი ნაწარმოებები ან საჯაროდ გამოქვეყნდეს ეს ნაწარმოებები ნიშნების, ბგერების ან გამოსახულების უსადენო გადაცემის ნებისმიერი სხვა საშუალებით;

(ii) სადენებით თუ უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებებით ეთერში განმეორებით გადაიცეს ყოველგვარი საჯარო გადაცემა, თუ ამას აკეთებს სხვა, და არა თავდაპირველი ორგანიზაცია;

(iii) საჯაროდ გადაიცეს ეთერში გადაცემული ნაწარმოები რადიოთი ან ნებისმიერი სხვა აპარატით, რომელიც ნიშნებს, ბგერებს ან გამოსახულებებს გადასცემს.

(2) კავშირის ქვეყნის კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს იმ უფლებების განხორციელების პირობები, რომლებსაც ითვალისწინებს წინა პუნქტი; მაგრამ ამ პირობების მოქმედება ზუსტად იქნება განსაზღვრული იმ ქვეყნების ფარგლებით, რომლებმაც ეს პირობები დაადგინეს. ამ პირობებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შელახოს არც ავტორის არაქონებრივი უფლებები, არც ავტორის კუთვნილი უფლებები სამართლიანი ანაზღაურების მიღებაზე, რომელსაც, თუ შეთანხმება არ არსებობს, კომპეტენტური ორგანოები ადგენენ.

(3) ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად გადაცემული ნებართვა, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, არ შეიცავს ეთერში გადაცემული ნაწარმოების ჩანაწერის გადაცემას ინსტრუმენტით, რომელიც აფიქსირებს ბგერებს ან გამოსახულებას. მაგრამ კავშირის ქვეყნების კანონმდებლობამ შეიძლება განსაზღვროს მოკლევადიანი გამოყენების იმ ჩანაწერების რეჟიმი, რომელსაც აწარმოებენ რადიომაუნყებელი ორგანიზაციები საკუთარი საშუალებებით და თავიანთი გადაცემებისათვის. ამ კანონმდებლობით შეიძლება ნებადართული იყოს ასეთი ჩანაწერების შენახვა ოფიციალურ არქივებში, თუ ისინი მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტური ხასიათისაა.

მუხლი II. (გარკვეული უფლებები ლიტერატურულ ნაწარმოებებზე:

1. საჯაროდ წაკითხვის უფლება და საყოველთაო გაცნობისათვის კითხვის გადაცემის უფლება; 2. თარგმანების მიმართ)

(1) ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ ნებართვა გასცენ:

(i) თავიანთი ნაწარმოებების საჯაროდ წასაკითხად, მათ შორის ისეთი საჯარო კითხვისათვის, რომელიც ნებისმიერი საშუალებით და ხერხით ხორციელდება;

(ii) საყოველთაო გაცნობისათვის თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი ხერხით გადასაცემად.

(2) ასეთივე უფლებები ენიჭებათ ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს თავიანთი ნაწარმოებების თარგმნის მიმართ მთელი იმ ვადის განმავლობაში, სანამ ორიგინალურ ნაწარმოებებზე მათი უფლებები მოქმედებს.

მუხლი 12. (გადაკეთების, ორანჟირებისა და სხვა ცვლილებების უფლება)
ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ თავიანთი ნაწარმოებების გადაკეთების, ორანჟირებისა და სხვა ცვლილებების ნებართვა.

მუხლი 13. (მუსიკალური ნაწარმოების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტექსტის ჩანერის შესაძლო შეზღუდვა: 1. იძულებითი ლიცენზირება; 2. გარდამავალი ღონისძიებანი; 3. ავტორის ნებადაურთველად შემოტანილ ეგზემპლარებზე ყადაღის დადება)

(1) კავშირის ყოველ ქვეყანას შეუძლია თავისთვის დაადგინოს შენიშვნები და პირობები მუსიკალური ნაწარმოების ავტორისა და იმ ნებისმიერი ტექსტის ავტორისთვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლების თაობაზე, რომელმაც უკვე დართო ამ ტექსტთან ერთად მუსიკალური ნაწარმოების ბგერითი ჩანაწერის გაკეთების ნებართვა, თუ ასეთი ტექსტი არსებობს; მაგრამ ყველა ასეთი შენიშვნა და პირობა გამოიყენება მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი დაანესეს, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ლახავდეს ამ ავტორის კუთვნილ უფლებას, მიიღოს სამართლიანი ანაზღაურება, რომელსაც, თუ შეთანხმება არ არსებობს, კომპეტენტური ორგანოები ადგენენ.

(2) მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერები, რომლებიც კავშირის რომელიმე ქვეყანაში გაკეთდა, 1928 წლის 2 ივნისს რომში ხელმოწერილი და 1948 წლის 26 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი კონვენციების მე-13 (მე-3) მუხლის შესაბამისად, ამ ქვეყანაში შეიძლება მუსიკალური ნაწარმოების ავტორის ნებადაურთველად გადაინეროს, სანამ ორი წელი არ გავა მას შემდეგ, როცა ამ ქვეყანაში ამოქმედდება წინამდებარე აქტი.

(3) ამ მუხლის (1) და (2) პუნქტების შესაბამისად გაკეთებული ჩანაწერები, რომლებიც დაინტერესებული მხარეების ნებადაურთველად იმ ქვეყანაშია შეტანილი, სადაც ისინი უკანონოდ ითვლება, ყადაღადასადებიან.

მუხლი 14. (კინემატოგრაფიული დადგმები და მათთან დაკავშირებული უფლებები: 1. კინემატოგრაფიული გადაკეთება და მეორადი გამოყენება; გაფრცელება; მეორადად გამოყენებული ან გადაკეთებული საწარმოებების საჯარო წარდგენა და სადენებით მათი საყოველთაო გაცნობისათვის გადაცემა; 2. კინემატოგრაფიული დადგმების გადაკეთება; 3. იძულებითი ლიცენზიების გამოუყენებლობა)

(1) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს აქვთ განსაკუთრებული უფლება დართონ ნება:



(i) თავიანთი ნაწარმოებების კინემატოგრაფიული გადაკეთებისა და მეორადი გამოყენებისათვის და გადაკეთებული ან მეორადად გამოყენებული ნაწარმოებების გავრცელებისათვის;

(ii) გადაკეთებული ან მეორადად გამოყენებული ნაწარმოებების საჯარო წარმოდგენისა და სადენებით მათი ყველას საყურადღებოდ გადაცემისათვის.

(2) ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების მიხედვით განხორციელებული კინემატოგრაფიული დადგმის გადაკეთების დროს, მისი სხვა ნებისმიერი მხატვრული ფორმით გამოხატვისას, საჭიროა არა მხოლოდ კინემატოგრაფიული დადგმის ავტორის ნებართვა, არამედ ორიგინალური ნაწარმოების ავტორის ნებართვაც.

(3) 13 (1) მუხლის დებულებანი არ გამოიყენება.

მუხლი 14 bis. (სპეციალური დებულებანი კინემატოგრაფიულ ნაწარმოებთა თაობაზე: 1. „ორიგინალურ“ ნაწარმოებთან გათანაბრება; 2. უფლების მფლობელები; იმ გარკვეული პირების ზოგიერთი უფლებების შეზღუდვა, რომლებსაც წვლილი აქვთ ნაწარმოების შექმნაში; 3. ზოგიერთი სხვა პირები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ნაწარმოების შექმნაში)

(1) საავტორო უფლებების შეულახავად ნებისმიერ ნაწარმოებზე, რომელიც შეიძლება გადაკეთდეს ან მეორადად იქნეს გამოყენებული, კინემატოგრაფიული ნაწარმოები ექვემდებარება დაცვას ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორი, წინა მუხლით გათვალისწინებული უფლებების ჩათვლით.

(2) (a) კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მქონე პირების განსაზღვრა შეუძლია იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომელშიც იქნება დაცვის მოთხოვნა.

(b) ამავე დროს, კავშირის ქვეყანაში, რომლის კანონმდებლობა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მფლობელებს შორის ჩათვლის ავტორებს, რომლებსაც ცნვლილი აქვთ შეტანილი ამ ნაწარმოების შექმნაში, ამ ავტორებს, თუკი მათ იკისრეს თავიანთი წვლილის შეტანა, არა აქვთ უფლება, რაიმე საპირისპირო ან განსაკუთრებული პირობის არარსებობისას, წინააღმდეგობა გაუწიონ ნაწარმოების მეორად გამოყენებას, გავრცელებას, საჯარო წარმოდგენასა და შესრულებას, სადენებით გადაცემას საყოველთაო გაცნობისათვის, ეთერში გადაცემას ან

ნებისმიერ საჯარო პოპულარიზაციას, აგრეთვე მისი ტექსტის სუბტიტი-
რირებასა და დუბლირებას.

(c) საკითხი იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულება წინა
(b) პუნქტის გამოყენების მიზნით უნდა იყოს გამოხატული წერილობითი
შეთანხმებით ან ტოლმნიშვნელოვანი წერილობითი აქტის ფორმით,
წყვეტს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელშიც კინემატოგრაფიული ნა-
წარმოების დამამზადებელს აქვს თავისი შტაბ-ბინა ან ჩვეულებრივი საც-
ხოვრებელი ადგილი. მაგრამ კანონმდებლობას კავშირის იმ ქვეყნისა,
რომელშიც არის დაცვის მოთხოვნა, რჩება უფლება გაითვალისწინოს,
რომ ასეთი ვალდებულება დგინდება წერილობითი შეთანხმებით ან
ტოლმნიშვნელოვანი წერილობითი აქტით. ქვეყნები, რომლებიც ამ უფ-
ლებით ისარგებლებენ, ატყობინებენ ამის შესახებ გენერალურ დირექ-
ტორს წერილობითი განცხადებით, რომლის შინაარსსაც იგი დაუყოვნებ-
ლივ აცნობს კავშირის ყველა სხვა ქვეყანას.

(d) „საპირისპირო ან განსაკუთრებულ პირობაში“ იგულისხმება ნე-
ბისმიერი შემზღუდავი პირობა, რომელსაც კავშირი აქვს ზემოთ დასახე-
ლებულ ვალდებულებასთან.

(3) თუ ეროვნული კანონმდებლობა ამ საკითხს სხვაგვარად არ წყვეტს,
ზემოაღნიშნული პუნქტის (2) (b) დებულება არ გამოიყენება კინემატოგ-
რაფიული ნაწარმოების დადგმისათვის შექმნილი სცენარების, დიალოგე-
ბისა და მუსიკის ავტორის მიმართ, ან ამ ნაწარმოების დამდგმელი რეჟი-
სორის მიმართ. ოღონდ, კავშირის ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა
არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ დასახელებული
პუნქტის (2) (b) მიყენებას დამდგმელი რეჟისორისადმი, ამის შესახებ ატ-
ყობინებენ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომლის
შინაარსსაც იგი დაუყოვნებლივ აცნობს კავშირის სხვა ქვეყნებს.

**მუხლი 14 ter. („წილობრივი მონაწილეობის უფლება“ ხელოვნების
ნაწარმოებებსა და ორიგინალებზე; 1. უფლება გადაყიდვისაგან
მიღებული შემოსავლის წილზე; 2. გამოსაყენებელი კანონმდებლობა;
3. პროცედურა)**

(1) ხელოვნების ნაწარმოებთა ორიგინალებთან და მწერლებისა და
კომპოზიტორების ხელნაწერების ორიგინალებთან მიმართებაში, ავტო-
რი, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ეროვნული კანონმდებლობის მიერ
უფლებამსოილი პირები ან დანესებულებები სარგებლობენ განუხსვცილები
უფლებით წილობრივი მონაწილეობისა ნაწარმოების ყოველ გაყიდვაში,
რომელიც მოჰყვება ნაწარმოების ავტორის მიერ მის პირველ დათმობას.



(2) წინა პუნქტით გათვალისწინებული საავტორო უფლების დაცვის მოთხოვნა შეიძლება იქნეს კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელსაც განეკუთვნება ავტორი, ამის უფლებას იძლევა და იმ მოცულობით, რომელიც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიერ, რომელსაც მოეთხოვება ეს დაცვა.

(3) გადასახდელი თანხის გადახდის წესა და ოდენობის განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა.

მუხლი 15. (დაცული უფლებების დაცვის უფლება:

1. როდესაც ავტორი დასახელებულია ან როცა ფსევდონიმი არ იწვევს ეჭვს ავტორის პიროვნებაში;
2. კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან მიმართებაში;
3. ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებულ ნაწარმოებებთან მიმართებაში;
4. კონკრეტულ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებთან მიმართებაში, რომელთა ავტორი უცნობია)

(1) იმისათვის, რომ ამ კონვენციით დაცული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორი საპირისპირო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში განიხილებოდეს, როგორც ქვეყნის ავტორი და ამის შესაბამისად კავშირის ქვეყნებში უფლებაა ჰქონდეს აღძრას სასამართლო დევნა კონტრფაქტორების წინააღმდეგ, საკმარისია ავტორი აღნიშნული იყოს ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით. ეს პუნქტი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც აწარმოებზე აღნიშნულია ფსევდონიმი და ავტორის ფსევდონიმი ეჭვს არ იწვევს მის პიროვნებაში.

(2) საპირისპირო მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში კინემატოგრაფიული ნაწარმოების დამამზადებლად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის სახელი და გვარი ან ფსევდონიმი აღნიშნულია ამ ნაწარმოებზე ჩვეულებრივი წესით.

(3) ანონიმურად ან ფსევდონიმით გამოშვებულ ნაწარმოებებთან მიმართებაში, იმათ გარდა, რომლებიც ზემოთაა მითითებული (b) პუნქტში, გამომცემელი, რომელიც დასახელებულია ნაწარმოებში საპირისპირო მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში, აღიარებული იქნება ავტორის ნაწარმოადგენლად და ამ სახით იგი უფლებამოსილია დაიცვას ავტორის უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება. ამ პუნქტის დებულებათა მოქმედება შეწყდება მაშინ, როცა ავტორი გაამხელს

თავის პიროვნებას და განაცხადებს თავის, როგორც ნაწარმოების ავტორის უფლებების შესახებ.

(4) (a) თუ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების ავტორი უცნობია, მაგრამ ყველა საფუძველი არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ იგი კავშირში შემავალი ქვეყნის მოქალაქეა, ამ ქვეყნის კანონმდებლობას აქვს უფლება, დანიშნოს კომპეტენტური ორგანო, რომელიც იქნება ამ ავტორის ნაწარმოადგენელი და ექნება უფლებამოსილება დაიცვას მისი უფლებები და უზრუნველყოს მათი განხორციელება კავშირის ქვეყნებში.

(b) კავშირის ქვეყნები, რომლებიც ამ დებულების შესაბამისად დანიშნავენ სათანადო ორგანოს, ატყობინებენ ამის შესახებ გენერალურ დირექტორს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას ასეთი წესით დანიშნულ ორგანოს შესახებ. გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ამ განცხადების შინაარსს კავშირის ყველა ქვეყანას.

მუხლი 16. (კონტრაქტური ეგზემპლარები: 1. ყადაღის დადება;

2. ყადაღის დადება შემოტანის დროს; კანონმდებლობის გამოყენება)

(1) ნაწარმოების კონტრაქტურ ეგზემპლარებს ყადაღა უნდა დაედოთ კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ეს ნაწარმოები სამართლებრივი დაცვით სარგებლობს.

(2) წინა პუნქტის დებულებანი გამოიყენება აგრეთვე მეორადი გამოყენების მიმართაც იმ ქვეყანაში, სადაც ნაწარმოები დაცული არ არის ან აღარ სარგებლობს დაცვით.

(3) ყადაღა დაიდება ყოველი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. (ნაწარმოების გავრცელებაზე,

შესრულებასა და ჩვენებაზე კონტროლის შესაძლებლობა)

ამ კონვენციის დებულებებს არ ძალუძთ ხელყონ კავშირის ნებისმიერი ქვეყნის უფლება ნება დართოს, გააკონტროლოს ან აკრძალოს საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული წესით გავრცელება. შესრულება ან ჩვენება ნებისმიერი ნაწარმოებისა ან დადგმისა, რომელთა მიმართ ამ უფლების გამოყენებას აუცილებლად მიიჩნევენ კომპეტენტური ორგანო.

მუხლი 18. (ნაწარმოებები, რომლებიც უკვე არსებობენ იმ მომენტისათვის, როცა კონვენცია ძალაში შედის: 1. დაცული ნაწარმოებები, როცა წარმოშობის ქვეყანაში მათ დაცვის ვადა არ გასვლიათ; 2. დაუცველნი, როცა დაცვის ვადა გაუვიდათ იმ ქვეყანაში, სადაც არის დაცვის მოთხოვნა; 3. ამ პრინციპების გამოყენება;

4. სპეციალური შემთხვევები)

(1) ეს კონვენცია მიეყენება ყველა ნაწარმოებს, რომლებიც მისი ძალაში შესვლის მომენტისათვის ვერ არ ქვეულან წარმოშობის ქვეყანაში საერთო საკუთრებად დაცვის ვადის გასვლის გამო.

(2) მაგრამ თუკი ნაწარმოებისათვის ადრე მიცემული დაცვის ვადის გასვლის გამო იგი უკვე გახდა საერთო საკუთრება ქვეყანაში, რომელშიც არის დაცვის მოთხოვნა, ეს ნაწარმოები ხელახლა აღარ დაექვემდებარება დაცვას ამ ქვეყანაში.

(3) აღნიშნული პრინციპი გამოიყენება იმ სპეციალური კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომლებიც დადებულია ან დაიდება ამ მიზნით კავშირის ქვეყნებს შორის. ასეთი დებულებების არარსებობის შემთხვევაში თითოეული ქვეყანა თავისთვის განსაზღვრავს ამ პრინციპის გამოყენების პირობებს.

(4) წინა დებულებები გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ქვეყანა ერთიანდება კავშირში და იმ შემთხვევაში, როცა დაცვა ფართოვდება მე-7 მუხლის გამოყენების დროს ან დამატებით შენიშვნებზე უარის თქმის შედეგად.

მუხლი 19. (უფრო ფართო დაცვა,

ვიდრე ეს კონვენციითაა გათვალისწინებული)

ამ კონვენციის დებულებანი არ ეწინააღმდეგება უფრო ფართო დაცვის გამოყენებას, რომელზეც უარს არ იტყვის კავშირის ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა.

მუხლი 20. (სპეციალური შეთანხმებანი კავშირის ქვეყნებს შორის)

კავშირის ქვეყნების მთავრობები იტოვებენ უფლებას დადონ ერთმანეთთან სპეციალური შეთანხმებანი, თუ ეს შეთანხმებანი მიანიჭებენ ავტორებს უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ამ კონვენციითაა დადგენილი, ან შეიცავენ სხვა დებულებებს, რომლებიც კონვენციას არ ეწინააღმდეგებიან. მოქმედი შეთანხმებების დებულებანი, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებებს, შემდგომშიაც იქნება გამოყენებული.

მუხლი 21. (სპეციალური დებულებანი, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს ეხება: 1. მითითება დამატებით კარზე;

2. დამატებითი კარი – აქტის ნაწილი)

(1) სპეციალურ დებულებებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს ეხება, შეიცავს დამატებითი კარი.

(2) 28 (1) (b) მუხლის დებულებათა გათვალისწინებით დამატებითი კარი შეადგენს ამ აქტის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 22. (ასამბლეა: 1. დაფუძნება და შემადგენლობა; 2. ამოცანები, კვორუმი, ხმის მიცემა, მეთვალყურენი; 4. მონვევა; 5. პროცედურა, წესები)

(1) (a) კავშირს აქვს ასამბლეა, რომელიც შედგება კავშირის ქვეყნებისაგან, რომლებიც დაკავშირებულნი არიან 22-26 მუხლებით.

(b) ყოველი ქვეყნის მთავრობას წარმოადგენს ერთი დელეგატი, რომელსაც შეუძლია იყოლიოს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები;

(c) ყოველი დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მისი დამნიშვნელი სახელმწიფო.

(2) (a) ასამბლეა:

(I) განიხილავს ყველა საკითხს, რომლებიც ეხება კავშირის შენარჩუნებას, განვითარებას და ამ კონვენციის გამოყენებას;

(II) აძლევს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბიუროს (შემდგომ ტექსტში – „საერთაშორისო ბიურო“), გათვალისწინებულს კონვენციაში, რომელიც აფუძნებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (შემდგომ ტექსტში – „ორგანიზაცია“), მითითებებს კონვენციის ზოგიერთი მუხლის გადასინჯვის თაობაზე კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებით, და ამასთან სათანადო ყურადღებას უთმობს კავშირის იმ ქვეყნების შენიშვნებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი 22-26 მუხლებით;

(III) განიხილავს და ამტკიცებს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და მოღვაწეობას კავშირთან მიმართებაში და აძლევს ყველა აუცილებელ ინსტრუქციას იმ საკითხებზე, რომლებიც კავშირის კომპეტენციაში შედის;

(IV) ირჩევს ასამბლეის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს;

(V) განიხილავს და ამტკიცებს თავისი აღმასრულებელი კომიტეტის აგარიშებს, ინონებს მის მოღვაწეობას, აგრეთვე აძლევს შესაბამის ინსტრუქციებს;

(VI) განსაზღვრავს კავშირის პროგრამას, იღებს მის ორწლიან ჯეის და ამტკიცებს ფინანსურ ანგარიშებს;

(VII) ამტკიცებს კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;

(VIII) ქმნის ისეთ ექსპერტების კომიტეტებს და მუშა ჯგუფებს, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნია კავშირის მიზნების განსახორციელებლად;

(IX) განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან, და რომელი სამთავრობათშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ დაშვებულნი მის სხდომებზე მეთვალყურეების სახით?

(X) იღებს შესწორებებს 22-26 მუხლებზე;

(XI) ახორციელებს ნებისმიერ სხვა სათანადო მოქმედებას, მიმართულს კავშირის მიზნების მისაღწევად;

(XII) ასრულებს ყველა სხვა ფუნქციას, რომლებიც ამ კონვენციიდან გამომდინარეობს;

(XIII) იმ შემთხვევაში, თუ თანახმაა, ახორციელებს ისეთ უფლებებს, რომლებსაც ანიჭებს მას ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია.

(b) იმ საკითხებზე, რომლებიც ინვევენ სხვა კავშირების ინტერესსაც და რომელთა ადმინისტრაციას ახორციელებს ორგანიზაცია, ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს.

(3) (a) ყოველ ქვეყანას – ასამბლეის წევრს ერთი ხმა აქვს;

(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს;

(c) ქვეპუნქტ (B)-ს დებულების მიუხედავად, თუ რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რაოდენობა ნახევარზე ნაკლებს შეადგენს, მაგრამ უტოლდება ან აჭარბებს ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთ მესამედს, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი, მაგრამ სამბლეის ყველა გადაწყვეტილება, იმ გადაწყვეტილებათა გამოკლებით, რომლებიც პროცედურის მის საკუთარ წესებს ეხება, ძალაში შედის მხოლოდ ქვემოდ მოყვანილი პირობების შესრულებისას საერთაშორისო ბიურო უგზავნის შემთხვევით ნახსენებ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც მასზე არ იყვნენ წარმოდგენილნი, და წინადადებას აძლევს მათ წერილობით შეატყობონ სამი თვის ვადაში, გადაწყვეტილებათა გაგზავნის თარიღის ჩათვლით, ხმას აძლევენ თუ არა ამ გადაწყვეტილებებს, წინააღმდეგნი არიან, თუ თავს იკავებენ. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ რაოდენობა იმ ქვეყნებისა, რომლებმაც ხმა მისცეს ან თავი შეიკავეს მიაღწევს იმ რაოდენობას, რომელიც სესიაზე კვორუმის მიღწევას დააკლდა, გადან-

ყვეტილებები ძალაში შედის, ოღონდ იმ პირობით, რომ იმავე დროს ქვეყნის წარჩუნებული იქნება აუცილებელი უმრავლესობა.

(d) 26 (2) მუხლის დებულებათა შესრულების პირობებში ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს ხმების უმრავლესობით ანუ ორი მესამედით.

(e) იმათი ხმები, ვინც თავი შეიკავა, ანგარიშში არ ჩაითვლება.

(z) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ მისი სახელით.

(g) კავშირის ქვეყნები, რომლებიც არ არიან სამბლეის წევრები, მის სხდომებზე დაიშვებიან მხოლოდ როგორც მეთვალყურენი.

(4) (a) ასამბლეა მორიგ სესიაზე იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ გენერალური დირექტორის მოწვევით და, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, იმავე დროს და იმავე ადგილას, როგორც ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(b) ასამბლეა იკრიბება საგანგებო სესიაზე, რომელსაც იწვევს გენერალური დირექტორი აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნით ან სამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(5) ასამბლეა ღებულობს პროცედურის თავის წესებს.

მუხლი 23. (აღმასრულებელი კომიტეტი: 1. დაფუძნება;

2. შემადგენლობა; 3. წევრთა რიცხვი; 4. გეოგრაფიული განაწილება; სპეციალური შეთანხმებები; 5. ვადა, გადარჩევნების უკიდურესი ვადა, არჩევნების წესები; 6. ამოცანები; 7. მონვევა; 8. კვორუმი; ხმის მიცემა; 9. მეთვალყურენი; 10. პროცედურის წესები)

(1) ასამბლეს ჰყავს აღმასრულებელი კომიტეტი.

(2) (a) აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ქვეყნებისაგან, რომლებსაც ირჩევს ასამბლეა ასამბლეის წევრი ქვეყნების რიცხვიდან. ამის გარდა, ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია ორგანიზაციის შტაბ-ბინა, კომიტეტში აქვს ერთი ადგილი იმ პირობით, თუ შესრულებული იქნება 25 (7) (b) მუხლის დებულებები.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრ ყველა ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგაციით, რომელსაც შეუძლია იყოლიოს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(c) ყოველი დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მისი დამნიშნავი მთავრობა.

(3) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების რაოდენობა შეადგენს ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მეოთხედს. ადგილების რაოდენობის განხილვისას, რომლებიც უნდა შეივსოს, ნაშთი, რომელიც ოთხზე გაყოფის შემდეგ წარმოიქმნება, ანგარიშში არ ჩაითვლება.

(4) აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევისას ასამბლეა სავალდებულოდ უთმობს სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას, აგრეთვე იმის აუცილებლობას, რომ სპეციალური შეთანხმების მონაწილე ქვეყნები იყვნენ იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც შეადგენენ აღმასრულებელ კომიტეტს.

(5) (a) აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს ასამბლეის იმ სესიის დახურვიდან, რომელზეც ისინი არჩეულ იქნენ, ასამბლეის მომდევნო მორიგი სესიის დახურვამდე.

(b) აღმასრულებელი კომიტეტს წევრები შეიძლება გადარჩეული იყვნენ, ოღონდ იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება მათი შემადგენლობის ორ მესამედს.

(c) ასამბლეა ადგენს აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევნებისა და შესაძლო გადარჩევნების დანვრილებით წესებს.

(6) (a) აღმასრულებელი კომიტეტი:

(I) ამზადებს ასამბლეის დღის წესრიგის პროექტს;

(II) წარუდგენს ასამბლეს წინადადებებს, რომლებიც ეხება გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ კავშირის პროგრამა და ორწლიანი ბიუჯეტის პროექტს.

(III) ამოღებულია.

(IV) წარუდგენს ასამბლეს სათანადო შენიშვნებით გენერალური დირექტორის პერიოდულ ანგარიშებს და საფინანსო რევიზიების ყოველწლიურ აქტებს;

(V) ასამბლეის გადანყვეტილებათა შესაბამისად და იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიქმნება ასამბლეის მორიგ სესიას შორის, იღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს კავშირის პროგრამის შესრულება გენერალური დირექტორის მიერ;

(VI) ასრულებს ამ კონვენციის შესაბამისად მასზე დაკისრებულ ყველა სხვა ფუნქციას.

(b) იმ საკითხებზე, რომლებიც ინვევენ აგრეთვე სხვა კავშირების ინტერესსაც, რომელთა ადმინისტრაციას ორგანიზაცია ახორციელებს, ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრის მოსმენის შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადანყვეტილებებს.

(7) (a) აღმასრულებელი კომიტეტი მორიგ სესიაზე იკრიბება წელიწადში ერთხელ, გენერალური დირექტორის მოწვევით, თუ შესაძლებელი იქნება, იმავე დროს და იმავე ადგილას, როგორც ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტი.

(b) აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება საანგებო სესიაზე, რომელსაც ინვევს გენერალური დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან თავ-

მჯდომარის თხოვნით, ან აღმასრულებელი კომიტეტის წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

(8) (a) ყოველ ქვეყანას – აღმასრულებელი კომიტეტის წევრს აქვს ერთი ხმა.

(b) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ქვეყნების ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) გადაწყვეტილებანი მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობის.

(d) იმათი ხმები, რომლებმაც თავი შეიკავეს, ანგარიშში არ ჩაითვლება.

(e) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ქვეყანა და ხმა მისცეს მხოლოდ მისი სახელით.

(9) კავშირის ის ქვეყნები, რომლებმაც აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არ არიან, დაიშვებიან მის სხდომაზე, როგორც მეთვალყურენი.

(10) აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია მიიღოს პროცედურის თავი-სი წესები.

მუხლი 24. (საერთაშორისო ბიურო: 1. საერთო ამოცანები, გენერალური დირექტორი; 2. საერთო ინფორმაცია; 3. ჟურნალი; 4. ქვეყნებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია; 5. გამოკვლევები და სამსახურის განვება; 6. სხდომებში მონაწილეობა; 7. კონფერენციები გადასინჯვის თაობაზე; სხვა ამოცანები)

(1) (a) კავშირის ადმინისტრაციული ამოცანები ხორციელდება კავშირის ბიუროს მემკვიდრის საერთაშორისო ბიუროს მიერ, რომელიც გაერთიანებულია სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი კონვენციის მიერ დაფუძნებული კავშირის ბიუროსთან.

(b) საერთაშორისო ბიურო ასრულებს, კერძოდ, კავშირის სხვადასხვა ორგანოების სამდივნოს ფუნქციებს.

(c) ორგანიზაციის გენერალური დირექტორი არის კავშირის მთავარი თანამდებობის პირი და წარმოადგენს კავშირს.

(2) საერთაშორისო ბიურო აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას, რომელიც ეხება საავტორო უფლებების დაცვას. კავშირის ყოველი ქვეყანა დაუყოვნებლივ გადასცემს საერთაშორისო ბიუროს ყოველი ახალი კანონის ტექსტს და ყველა ოფიციალურ ტექსტს, რომლებიც საავტორო უფლებების დაცვასთანაა დაკავშირებული.

(3) საერთაშორისო ბიურო გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს.

(4) საერთაშორისო ბიურო კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოთხოვნით გადასცემს მას ცნობებს საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე.



(5) საერთაშორისო ბიურო ახდენს გამოკვლევებს და ეწევა სამსახურს საავტორო უფლებების დაცვის გაადვილების მიზნით.

(6) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პერსონალის ნებისმიერი წევრი ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ასამბლეის, აღმასრულებელი კომიტეტის, ექსპერტთა ნებისმიერი კომიტეტის ან სამუშაო ჯგუფის ყველა სხდომაში. გენერალური დირექტორი ან მის მიერ დანიშნული პერსონალის წევრი თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით წარმოადგენს ამ ორგანოების მდივანს.

(7) (ა) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითებათა შესაბამისად და აღმასრულებელ კომიტეტთან თანამშრომლობით ამზადებს კონფერენციებს კონვენციის იმ დებულებათა გადასასინჯად, რომლებსაც არ შეიცავენ 22-ე და 26-ე მუხლები.

(ბ) საერთაშორისო ბიუროს შეუძლია კონსულტაციები ჩაატაროს მთავრობათაშორისი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან გადასინჯვის თაობაზე კონფერენციების ჩატარების საკითხებზე.

(ც) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები მონაწილეობენ ამ კონფერენციების მუშაობაში ხმის უფლების გარეშე.

(8) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ებისმიერ ამოცანას.

მუხლი 25. (ფინანსები: 1. ბიუჯეტი; 2. სხვა კავშირებთან კოორდინირება; 3. დაფინანსების წყაროები; 4. შენატანები; 5. ნინა ბიუჯეტის გაზანგრივების შესაძლებლობა; მოსაკრებლები და გადასახდელები; 6. საბრუნავი სახსრების ფონდი; 7. იმ ქვეყნი მთავრობის ავანსები, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ-ბინა; 8. საფინანსო რევიზია)

(1) (ა) კავშირს აქვს ბიუჯეტი.

(ბ) კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ კავშირის შემოსავალსა და გასავალს, მის შენატანს კავშირებისათვის საერთო ხარჯების ბიუჯეტში, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში — ანარიცხებს ორგანიზაციის კონფერენციის ბიუჯეტში.

(ც) კავშირებისათვის საერთო ხარჯებად ითვლება ისეთები, რომლებიც არ მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ კავშირს, მაგრამ ერთდროულად მიეკუთვნება სხვა ერთ ან რამდენიმე კავშირს, რომელთა ადმინისტრაციას ორგანიზაცია ახორციელებს. ამ საერთო ხარჯებში კავშირის წილი შეესაბამება მის დაინტერესებას მოცემული ხარჯებით.

(2) კავშირის ბიუჯეტი მიღებული უნდა იყოს სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინირების მოთხოვნის სათანადო გათვალისწინებით, იმ კავშირებით, რომელთა ადმინისტრაციას ორგანიზაცია განახორციელებს.

(3) კავშირის ბიუჯეტი ფინანსდება შემდეგი წყაროებიდან:

(I) კავშირის ქვეყნების შენატანებით;

(II) მოსაკრებლებითა და გადასახდელებით, საერთაშორისო ბიუროს მიერ კავშირისათვის განეული სამსახურისათვის;

(III) შემოსავლებით საერთაშორისო ბიუროს იმ პუბლიკაციების გაყიდვიდან, რომლებიც კავშირს ეხება, და ამ პუბლიკაციების უფლებების გადაცემისაგან;

(IV) შემონირულობებით, ანდერძით დატოვებული სახსრებით.

(V) რენტებით, პროცენტებით და სხვა შემოსავლით.

(4) (a) იმისათვის, რომ განსაზღვროს თავისი შენატანი ბიუჯეტში, კავშირის ყოველი ქვეყანა მიეკუთვნება გარკვეულ კლასს და თავის წლიურ შენატანს იხდის ერთეულების რიცხვის შემდეგნაირად დადგენილ საფუძველზე:

I კლასი.....25

II კლასი.....20

III კლასი.....15

IV კლასი10

V კლასი5

VI კლასი3

VII კლასი1

(b) ყოველი ქვეყანა, რომელსაც ადრე ეს არ გაუკეთებია, სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების აქტის შესანახად ჩაბარებასთან ერთდროულად მიუთითებს კლასს, რომელთანაც მიკუთვნება სურს. ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია შეიცვალოს კლასი. თუ ქვეყანა ირჩევს უფრო დაბალ კლასს, მან ამის შესახებ უნდა განაცხადოს ასამბლეის მორიგ სესიაზე. ასეთი ცვლილება მოქმედებაში შედის კალენდარული წლის დასაწყისიდან, რომელიც მოსდევს აღნიშნულ სესიას.

(c) ყოველი ქვეყნის წლიური შენატანი უტოლდება თანხას, რომელიც ისეთ მიმართებაშია კავშირის ბიუჯეტში შენატანების საერთო თანხასთან, რომელიც ყველა ქვეყანამ უნდა გადაიხადოს, როგორ მიმართებაშიცაა მისი ერთეულების რაოდენობა შენატანების გადამხდელი ქვეყნების ერთეულების საერთო რაოდენობასთან.

(d) შენატანების გადახდა აუცილებელია ყოველი წლის პირველი იანვრიდან.

(ე) ქვეყანა, რომელსაც აქვს დავალიანება შენატანების გადახდის ვალდებულება, კარგავს ხმის უფლებას კავშირის ყველა ორგანოში, რომელთა ნევრიცაა იგი, თუ მისი დავალიანების თანხა უტოლდება ან აჭარბებს მისი შენატანების თანხას, რომელიც უნდა გადაეხადა ორი წინა სრული წლის განმავლობაში. თუმცა, ყოველ ამ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას განაგრძოს ხმის უფლებით სარგებლობა მანამდე, სანამ ეს ორგანო დარწმუნებულია, რომ გადახდის ვადის გადანევა მოხდა განსაკუთრებულ და გარდაუვალ გარემოებათა გამო.

(ფ) იმ შემთხვევაში, როცა ბიუჯეტი არ არის მიღებული ახალი საფინანსო პერიოდის დასაწყისამდე, საფინანსო რეგლამენტის მიერ გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მოქმედებს წინა წლის დონეზე მყოფი ბიუჯეტი.

(5) მოსაკრებლებისა და გადასახდელების ოდენობას, რომლებსაც უხდინან საერთაშორისო ბიუროს კავშირის სახელით განხორციელებული მომსახურებისათვის, ადგენს გენერალური დირექტორი, რომელიც ამის შესახებ მოახსენებს ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს.

(6) (ა) კავშირს აქვს საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც დგება კავშირის ყოველი ქვეყნის მიერ შემოტანილი ერთჯერადი გადასახდელისაგან. თუ საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისია ასამბლეა წყვეტს საკითხს მისი გადიდების შესახებ.

(ბ) დასახელებულ ფონდში ყოველი ქვეყნის თავდაპირველი გადასახდელის ოდენობა ან მისი წილი ამ ფონდის გადიდებაში პროპორციულია ამ ქვეყნის შენატანისა იმ წლისათვის, როდესაც შექმნილია ფონდი ან მიღებულია გადანყვეტილება მისი გადიდების შესახებ.

(ც) ამ პროპორციას და გადასახდელის გადახდის პირობებს ადგენს ასამბლეა გენერალური დირექტორის წინადადებით მას შემდეგ, რაც იგი მოისმენს ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის აზრს.

(7) (ა) შეთანხმებაში შტაბ-ბინის შესახებ, რომელიც იდება ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ იმ შემთხვევაში, როცა საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკმარისი აღმოჩნდება, ეს ქვეყანა იძლევა ავანსებს. ამ ავანსების თანხა და პირობები, რომელთა თანახმადაც ისინი გაიცემა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება საგანი განსაკუთრებული შეთანხმებისა ამ ქვეყანასა და ორგანიზაციის შორის. მანამდე, სანამ ასეთ ქვეყანას აკისრია ვალდებულება გასცეს ავანსები, მას თავისი მდგომარეობის მიხედვით აქვს ერთი ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

(8) ისევე, როგორც (ა) ქვეუნიქტში დასახელებულ ქვეყანას, ასევე ორგანიზაციასაც აქვს უფლება წარიღობითი შეტყობინებით მოახდინოს ავანსების

გაცემის დენონსირება. დენონსაცია მოქმედებაში შედის სამი წლის გასვლის შემდეგ იმ წლის დასასრულიდანაა როცა მოხდა შეტყობინება.

(8) საფინანსო რევიზია ხორციელდება საფინანსო რეგლამენტის წესების შესაბამისად კავშირის ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მიერ ან გარეშე რევიზორების მიერ, რომლებსაც მათივე თანხმობით ნიშნავს ასამბლეა.

მუხლი 26. (ცვლილებანი: 1. დებულებანი, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ასამბლეის მიერ; წინადადებანი; 2. მიღება; 3. ძალაში შესვლა)

(1) წინადადებანი 22, 23, 24, 25 მუხლებში და აგრეთვე ამ მუხლში შესწორებების შეტანის შესახებ შეიძლება წამოყენებული იქნეს ასამბლეის წევრი ნებისმიერი ქვეყნის, აღმასრულებელი კომიტეტის ან გენერალური დირექტორის მიერ. გენერალური დირექტორი ასეთ წინადადებებს უგზავნის ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეაში მათ განხილვამდე არა ნაკლებ ექვსი თვით ადრე.

(2) (1) პუნქტში გათვალისწინებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება მიიღება ასამბლეის მიერ, რისთვისაც საჭიროა ხმათა უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით; მაგრამ ნებისმიერი შენიშვნა 22 მუხლში და მოცემულ პუნქტში მიიღება უმრავლესობით, ხმების ოთხი მეხუთედის ოდენობით.

(3) (1) პუნქტით გათვალისწინებულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის ერთი თვის გასვლის შემდეგ იმ თარიღიდან, როცა წერილობითი შეტყობინებანი მისი მიღების შემდეგ, რომელიც განხორციელდა ყოველი ქვეყნის საკონსტიტუციო პროცედურის შესაბამისად, მიღებულია გენერალური დირექტორის მიერ იმ ქვეყნების სამი მეოთხედისაგან, რომლებიც ასამბლეის წევრები იყვნენ მის მიერ ამ შესწორების მიღების დროს. აღნიშნულ მუხლებში შეტანილი ნებისმიერი შესწორება, მიღებული ამგვარად, აუცილებელია ყველა ქვეყნისათვის, რომლებიც ასამბლეის წევრები იყვნენ იმ დროს, როცა შესწორება ძალაში შევიდა ან გახდნენ მისი წევრები ამ თარიღის შემდეგ, ოღონდ ნებისმიერი შესწორება, რომელიც ადიდება კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, აუცილებელია მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც შეატყობინეს გენერალურ დირექტორს მათ მიერ ასეთი შესწორების მიღება.

მუხლი 27. (გადასინჯვა: 1. მიზანი; 2. კონფერენციები; 3. მიღება)

(1) ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯოს მასში იმ ცვლილებების შეტანის მიზთნი, რომლებიც კავშირის სისტემას სრულყოფენ.



(2) ამ მიზნით კავშირის ქვეყნებში რიგრიგობით ტარდება ალნიშნული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები.

(3) 26-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება 22-26 მუხლებში შესწორებების შეტანისას, ნებისმიერი გადასინჯვა ამ აქტისა, დამატებითი კარის ჩათვლით, მოითხოვს ერთსულოვან თანხმობას.

მუხლი 28. (მიღება და ძალაში შესვლა აქტისა კავშირის ქვეყნებისათვის: რატიფიკაცია, მიერთება; გარკვეული დებულებების ამოღების შესაძლებლობა; გამონაკლისის გაუქმება; 2. 1-დან 21-მდე მუხლების და დამატებითი კარის ძალაში შესვლა; 3. 22-38 მუხლების ძალაში შესვლა)

(1) (a) კავშირის ყველა ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა ამ აქტს, შეუძლია მოახდინოს მისი რატიფიკაცია, ან თუ ხელი არ მოუწერია, შეუძლია შეუერთდეს. სარატიფიკაციო სიგელები და აქტები შეერთების შესახებ შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(b) ყოველ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს თავის სარატიფიკაციო სიგელში ან აქტში შეერთების შესახებ, რომ რატიფიკაცია ან შეერთება არ ვრცელდება 1-21 მუხლებზე და დამატებით კარზე, მაგრამ თუ ასეთმა ქვეყანამ უკვე გააკეთა განაცხადება დამატებითი კარის (I) მუხლის შესაბამისად, მას ამ შემთხვევაში მოცემულ სიგელში ან აქტში შეუძლია ანაცხადოს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მისი რატიფიკაცია ან შეერთება არ მიყენება 1-20 მუხლებს.

(c) კავშირის ყოველ ქვეყანას, რომელმაც (e) ქვეპუნქტის შესაბამისად ამოიღო ალნიშნული შესაბამისი დებულებები თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედების სფეროდან, შეუძლია მოგვიანებით, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი ავრცელებს თავისი რატიფიკაციის ან შეერთების მოქმედებას ამ დებულებებზე. ასეთი განაცხადება შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2) (a) 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედიან სამი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა შესრულებული იქნება შემდეგი ორი პირობა:

(I) სულ ცოტა კავშირის ხუთი ქვეყანა მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას ისე, რომ არ გააკეთებს ამ მუხლის (b) პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადებას;

(II) ესპანეთი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი ხელ-



შეკრულნი იქნებიან საავტორო უფლების შესახებ მსოფლიო კონვენციის, რომელიც გადასინჯულია პარიზში 1971 წლის 7 ივლისს.

(b) ქვეპუნქტ (a)-ში აღნიშნულის ძალაში შესვლა ეხება კავშირის იმ ქვეყნებს, რომლებმაც ხსენებულ ძალაში შესვლამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე ჩააბარეს შესანახად სარატიფიკაციო სიგელები და აქტები შეერთების შესახებ ისე, რომ არ გაუკეთებიათ (1) მუხლის (b) პუნქტით გათვალისწინებული განცხადება.

(c) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელსაც მიეყენება ქვეპუნქტი (b) და, რომელმაც რატიფიკაცია გაუკეთა აქტს ან შეუერთდა მას ისე, რომ არ გაუკეთებია (1) (b) პუნქტით გათვალისწინებული განცხადება, 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ძალაში შედიან სათანადო სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ სიგელში ან აქტში არ იქნება აღნიშნული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში 1-21 მუხლები და დამატებითი კარი ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედიან ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

(d) (a) და (c) ქვეპუნქტების დებულებანი არ ახდენენ გავლენას დამატებითი კარის VI მუხლის გამოყენებაზე.

(3) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას ისე, რომ გააკეთებს ან არ გააკეთებს განცხადებას, გათვალისწინებულს (1) (b) პუნქტით, 22-38 მუხლები ძალაში შედიან სათანადო სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების აქტის შესანახად ჩაბარების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ სიგელში ან აქტში არ იქნება აღნიშნული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში 22-38 მუხლები ამ ქვეყნის მიმართ ძალაში შედიან ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

მუხლი 29. (მიღება და ძალაში შესვლა ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები: 1. შეერთება; 2. ძალაში შესვლა)

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის კავშირის წევრი, შეუძლია შეუერთდეს ამ აქტს და ამრიგად გახდეს ამ კონვენციის მხარე და კავშირის წევრი. აქტები შეერთების შესახებ შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(2) (a) კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც არ არის კავშირის წევრი, (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ეს კონვენცია ძალაში

შედის შეერთების შესახებ მისი აქტის შესანახად ჩაბარების თაობაზე, მწერალური დირექტორის მიერ გაკეთებული შეტყობინების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, თუ შეერთების აქტში არ იყო აღნიშნული უფრო გვიანი თარიღი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამ ქვეყნის მიმართ ეს კონვენცია ძალაში შედის ამგვარად აღნიშნული თარიღიდან.

(b) თუ ძალაში შესვლა (a) ქვეპუნქტის შესაბამისად წინ უსწრებს 1-21 მუხლების და დამატებითი კარის ძალაში შესვლას, 28 (I) (a) მუხლის შესაბამისად, დასახელებული ქვეყანა ამასობაში ხელშეკრული იქნება 1-21 მუხლების და დამატებითი კარის ნაცვლად ამ კონვენციის ბრიუსელის აქტის 1-20 მუხლებით.

**მუხლი 29. (აქტის მიღების შედეგები
ინტელექტუალური საკუთრების
მსოფლიო ორგანიზაციის კონვენციის
მე-14 (2) მუხლის მიზნებისათვის)**

ამ აქტის რატიფიკაცია ან მასთან შეერთება ნებისმიერი ქვეყნისათვის,, რომელიც ხელშეკრული არ არის ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22-38 მუხლებით, ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მხოლოდ და მხოლოდ 14 (2) მუხლის მიზნებისათვის აღნიშნული სტოკჰოლმის აქტის რატიფიკაციის ან ამ აქტთან შეერთების ტოლფასია იმ შეზღუდვით, რომელსაც ითვალისწინებს ამ აქტის 28-ე (I) (b) (I) მუხლი.

**მუხლი 30. (შენიშვნები: 1. შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობის
შეზღუდვა; 2. ადრე გაკეთებული შენიშვნები; შენიშვნა თარგმნის
უფლების მიმართ; შენიშვნის ამოღება)**

იმ ამოღების გამოკლებით, რომელიც დაშვებულია ამ მუხლის (2) პუნქტით, 28-ე (I) (b) მუხლით, 33 (2) მუხლით და დამატებითი კარით, რატიფიკაცი-
ას ან შეერთებას ავტომატურად მოსდევს ყველა დებულების აღიარება და ყველა იმ უპირატესობის მიღება, რომლებსაც ეს კონვენცია ადგენს.

(2) (a) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც მოახდენს ამ აქტის რატიფიკაციას ან შეუერთდება მას, შეუძლია დამატებითი კარის V (2) მუხლის შესაბამისად შეინარჩუნოს მანამდე მის მიერ ჩამოყალიბებული შენიშვნების უპირატესობანი, ოღონდ იმ პირობით, თუ ამის თაობაზე განცხადებას გააკეთებს შესანახად სარატიფიკაციო სიგელისა ან შეერთების თაობაზე აქტის ჩაბარებისას.

(b) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც კავშირის წევრი არ არის, ამ კონვენციასთან შეერთებისას და დამატებითი კარის V (2) მუხლის შესაბამი-



სად შეუძლია განაცხადოს, რომ განზრახული აქვს დროებით მინც ამ აქტის მე-8 მუხლი თარგმნის უფლების თაობაზე შეცვალოს პარიზში 1896 წელს შევსებული 1896 წლის საკავშირო კონვენციის მე-5 მუხლის დებულებებით, და იმის ნათელი შეგნებით, რომ ეს დებულებანი გამოიყენება მხოლოდ ამ ქვეყნის საყოველთაოდ მიღებულ ენაზე თარგმნის მიმართ დამატებითი კარის 1 (6) მუხლის შესაბამისად. კავშირის ყოველ ქვეყანას უფლება აქვს ნაწარმოების თარგმნის უფლების მიმართ იმ ქვეყნისათვის, რომელიც ამ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაა და ასეთი შენიშვნით ისარგებლა, გამოიყენოს დაცვა, რომელიც ამ ქვეყნის მიერ განხორციელებული დაცვის ეკვივალენტური იქნება.

(c) ნებისმიერ ქვეყანას ნებისმიერ დროს შეუძლია გააბათილოს ასეთი შენიშვნები გენერალური დირექტორისათვის გაგზავნილი შეტყობინების გზით.

- მუხლი 31. (ზოგიერთი ტერიტორიებისადმი გამოყენება: 1. განცხადება; 2. განცხადების უკან წაღება; 3. ძალაში შესვლის თარიღი; 4. ფაქტობრივი ვითარების მიღება არ იგულისხმება)**

(1) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია თავის სარატიფიკაციო სიგელში ან შეერთების აქტში განაცხადოს, ან ნებისმიერ სხვა დროს ცენტრალურ დირექტორს წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს იმის თაობაზე, რომ ეს კონვენცია გამოიყენება ყველა ან ზოგიერთი ტერიტორიისადმი, რომლებიც მითითებული იქნება განცხადებაში ან შეტყობინებაში და რომელთა საერთაშორისო ურთიერთობისთვის იგი პასუხისმგებლობას კისრულობს.

(2) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა ან ასეთი შეტყობინება გაგზავნა, ნებისმიერ დროს შეუძლია შეატყობინოს გენერალურ დირექტორს, რომ წყდება ამ კონვენციის გამოყენება ყველა ან ზოგიერთი ასეთი ტერიტორიისადმი.

(3) (a) ყოველგვარი განცხადება, რომელიც (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთდა, ძალაში შედის იმავე დღეს, როცა ძალაში შედის სერტიფიკაცია ან შეერთება, რომელთა დოკუმენტები შეიცავდა ამ განცხადებას, ხოლო ყოველი შეტყობინება, რომელიც აღნიშნული პუნქტის შესაბამისად გაიზავნა, ძალაში შედის სამ თვეში მას შემდეგ, რაც გენერალური დირექტორი მას გამოაქვეყნებს.

(4) ყოველგვარი შეტყობინება, რომელიც (2) პუნქტის შესაბამისად გაიგზავნა, ძალაში შედის თორმეტ თვეში მას შემდეგ, რაც იგი გენერალურმა დირექტორმა მიიღო.



(5) ეს მუხლი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განიმარტოს, თითქოს კავშირის ნებისმიერი ქვეყანა უსიტყვოდ ცნობდეს ან ეთანხმებოდეს დებულებებს ტერიტორიის მიმართ, სადაც ეს კონვენცია კავშირის სხვა ქვეყნის მიერ გამოიყენება იმ განცხადების ძალით, რომელიც (1) პუნქტის შესაბამისად გაკეთდა.

მუხლი 32. (ამ აქტის და უფრო ადრეული აქტების გამოყენება:

1. იმ დასკვნებს შორის, რომლებიც კავშირის წევრები არიან;
2. კავშირში განწვრიანებულ ნებისმიერ ქვეყანასა და კავშირის წევრ სხვა ქვეყნებს შორის;
3. დამატებითი კარის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში)

(1) ეს აქტი კავშირის ქვეყნების ურთიერთობაში და იმდენად, რამდენადაც იგი გამოიყენება, ცვლის ბერნის 1886 წლის 9 სექტემბრის კონვენციას და მისი გადასინჯვის მომდევნო აქტებს. მანამდე ძალაში შესული აქტები კვლავინდებურად გამოიყენება მთლიანად ან იმდენად, რამდენადაც წინამდებარე აქტი ვერ შეცვლის მათ წინა წინადადებათა გამო, კავშირის იმ ქვეყნების ურთიერთობაში, რომლებიც რატიფიკაციას არ უზამენ ამ აქტს ან არ შეუერთდებიან მას.

(2) ქვეყნები, რომლებიც კავშირის წევრები არ არიან და ამ აქტის მხარეები ხდებიან, (3) პუნქტის შესაბამისად, მას იყენებენ კავშირის ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, რომელიც ხელშეკრული არ არის ამ აქტით, ან თუნდაც ხელშეკრულია წინამდებარე აქტით, მაგრამ გააკეთა განცხადება, რომელსაც ითვალისწინებს 28-ე (1) მუხლი. ასეთი ქვეყნები ცნობენ, რომ კავშირის აღნიშნულ ქვეყანას მათთან ურთიერთობაში:

(1) შეუძლია გამოიყენოს უკანასკნელი წინამორბედი აქტის დებულებანი, რომლებითაც იგი ხელშეკრულია, და

(II) დამატებითი კარის 1 (6) მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს შეუთავსოს დაცვა იმ დონეს, რომელსაც ითვალისწინებს ეს აქტი.

(3) ყოველ ქვეყანას, რომელმაც გამოიყენა დამატებითი კარით გათვალისწინებული ნებისმიერი შესაძლებლობა, შეუძლია გამოიყენოს იმ უფლებებისა და შესაძლებლობებების თაობაზე დამატებითი კარის დებულებანი, რომლებითაც ისარგებლა კავშირის ამ აქტის ხელშეკრულ ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობაში, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ქვეყანა დასაშვებად მიიჩნევს აღნიშნულ დებულებათა გამოყენებას.

მუხლი 33. (დავა: 1. საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია; 2. შენიშვნა ასეთი იურისდიქციის მიმართ; 3. შენიშვნის ამოღება)

(1) კავშირის ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის ნებისმიერი დავა, რომელიც ამ კონვენციის განმარტებას ან გამოყენებას შეეხება და მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, აღნიშნული ქვეყნებიდან ნებისმიერს შეუძლია გადასცეს საერთაშორისო სასამართლოს, რისთვისაც, განცხადება შეაქვს სასამართლოს სტატუსის შესაბამისად, თუ აღნიშნული ქვეყნები ვერ შეთანხმდნენ დავის მოგვარების სხვა წესზე. ქვეყანამ, რომელსაც განცხადება შეაქვს, საერთაშორისო ბიუროს უნდა შეატყობინოს იმ დავის შესახებ, რომელიც სასამართლოს განხილვისათვის გადაეცა; საერთაშორისო ბიურომ ეს უნდა ამცნოს კავშირის სხვა ქვეყნებს.

(2) ამ აქტის ხელმოწერის ან სარატიფიკაციო სიგელისა თუ შეერთების აქტის შესანახად ჩაბარების მომენტში ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, რომ თავს არ თვლის ხელშეკრულად (1) პუნქტის დებულებებით. რაც შეეხება დავას ამ ქვეყანასა და კავშირის ნებისმიერ სხვა ქვეყანას შორის, (1) პუნქტის დებულებანი მათზე არ ვრცელდება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადება გააკეთა (2) პუნქტის დებულებათა შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს გამოითხოვოს იგი უკან, რისთვისაც შეტყობინება უნდა გაუგზავნოს გენერალურ დირექტორს.

მუხლი 34. (ზოგიერთი, უფრო ადრეული დებულების გაუქმება:

1. წინამორბედი აქტებისა; 2. სტოკჰოლმის აქტის ოქმისა)

(1) 29 მუხლის გათვალისწინებით არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ამ კონვენციის წინამორბედი აქტების რატიფიკაცია ან მათთან შეერთება მას შემდეგ, რაც ძალაში შევა 1-21 მუხლები და დამატებითი კარი.

(2) 1-21 მუხლებისა და დამატებითი კარის ძალაში შესვლის შემდეგ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია განაცხადების გაკეთება, რომელიც გათვალისწინებულია ოქმის მე-9 მუხლით განვითარებადი ქვეყნების მიმართ და თან ერთვის სტოკჰოლმის აქტს.

მუხლი 35. (კონვენციის მოქმედების ვადა; დენონსაცია:

1. განუსაზღვრელი ვადა; 2. დენონსაციის შესაძლებლობა; 3. დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღი; 4. დენონსაციის გადადება)

(1) ეს კონვენცია ვადით შეუზღუდავად მოქმედებს.

(2) ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორისთვის გაგზავნილი შეტყობინების მეშვეობით. ასეთი



დენონსაცია ამასთანავე ყველა წინა აქტის დენონსაციაა და ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელმაც იგი გააკეთა, ხოლო კავშირის დაწარჩენი ქვეყნების მიმართ კონვენცია ძალაში რჩება და უნდა სრულდებოდეს.

(3) დენონსაცია ძალაში შედის ერთ წელიწადში იმ დღიდან, როცა გენერალური დირექტორი შეტყობინებას მიიღებს.

(4) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლების გამოყენება არ შეუძლია არც ერთ ქვეყანას, სანამ ხუთი წელი არ გავა იმ დღიდან, რაც იგი კავშირის ნევრი გახდა.

მუხლი 36. (კონვენციის გამოყენება: 1. საჭირო ღონისძიებათა განხორციელების ვალდებულება; 2. მომენტი, რომლიდანაც არსებობს ვალდებულება)

(1) ამ კონვენციის მონაწილე ყოველი ქვეყანა ვალდებულია კისრულობს თავისი კონსტიტუციის შესაბამისად განახორციელოს ამ კონვენციის გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

(2) იგულისხმება, რომ ყოველ ქვეყანას, იმ მომენტში, როცა იგი ხელშეკრული ხდება ამ კონვენციით, შეეძლება, თავისი საშინაო კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს ამ კონვენციის დებულებანი.

მუხლი 37. (დასკვნითი დებულებანი: 1. აქტის ენები; 2. ხელმოწერა; 3. დამონებული ასლები; 4. რეგისტრაცია; 5. შეტყობინება)

(1) (a) ამ აქტს ხელს აწერენ ერთ ეგზემპლარზე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და, (2) პუნქტის შესაბამისად იგი შესანახად ბარდება გენერალურ დირექტორს.

(b) ოფიციალურ ტექსტს შეიმუშავენ გენერალური დირექტორი, დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ, არაბულ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ და პორტუგალიურ ენებზე, აგრეთვე სხვა ენებზე, რომლებსაც ასამბლეა განსაზღვრავს.

(c) სხვადასხვა ტექსტის განმარტებისას უთანხმოების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფრანგულ ტექსტს.

(2) ეს აქტი ღიაა ხელმოსაწერად 1972 წლის 31 იანვრამდე. ამ თარიღამდე (1) (a) პუნქტში აღნიშნული ეგზემპლარი შესანახად ბარდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას.

(3) გენერალური დირექტორი დაამონებს ამ აქტის ხელმოწერილი ტექსტის ორ ასლს და უგზავნის კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობასაც.

(4) გენერალური დირექტორი ამ აქტს რეგისტრაციაში გაატარებს გათვალისწინებული ვადების ორგანიზაციის სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი კავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას აცხობინებს, რომ აქტი ხელმოწერილია, სარატიფიკაციო სიგელები შესაბამისად ჩაბარებულია, ასევე ჩაბარებულია შეერთების და იმ განცხადებუბის აქტები, რომლებსაც ეს დოკუმენტები შეიცავს ან გაკეთდა 28 (1) (c), 30 (2) (a) და (b) და 33 (2) მუხლების შესაბამისად. ამ აქტის ნებისმიერ დებულებათა ძალაში შესვლის, დენონსაციათა შეტყობინების და იმ შეტყობინებათა შესახებ, რომლებიც გაგზავნილია 30 (2) (c), 31 (1) და (2), 33 (3) და 38 (1) მუხლების შესაბამისად, აგრეთვე იმ შეტყობინებათა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია დამატებითი კარით.

მუხლი 38. (გარდამავალი დებულებანი: 1. „სუთნლიანი“ პრივილეგიების გამოყენება; 2. კავშირის ბიურო, ბიუროს დირექტორი; 3. კავშირის ბიუროს მემკვიდრეობითობა)

(1) კავშირის ქვეყნებს, რომლებმაც არ მოახდინეს ამ აქტის რატიფიცირება, შეუერთდნენ მას, ან ხელშეკრულნი არ არიან ამ კონვენციის სტოკჰოლმის აქტის 22-26 მუხლებით, შეუძლიათ, თუ მოისურვებენ, 1975 წლის 26 აპრილამდე ისარგებლონ უფლებებით, რომლებიც აღნიშნული მუხლების ძალით ენიჭებათ ისევე, თითქოს ხელშეკრულნი იყვნენ ამ მუხლებით. ყოველი ქვეყანა, რომელსაც სურს ისარგებლოს ასეთი უფლებებით, გენერალურ დირექტორს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელიც ამოქმედდება მისი მიღების დღიდან. ასეთი ქვეყნის ასამბლეის წევრებად ითვლებიან აღნიშნულ ვადაამდე.

(2) მანამდე, სანამ კავშირის ყველა ქვეყანა არ გახდება ორგანიზაციის წევრი, მისი საერთაშორისო ბიურო ამასთანავე ფუნქციონირებს როგორც კავშირის ბიურო, ხოლო გენერალური დირექტორი მოქმედებს როგორც ამ ბიუროს დირექტორი.

(3) როგორც კი კავშირის ყველა ქვეყანა გახდება ორგანიზაციის წევრი, კავშირის ბიუროს უფლებები, მოვალეობები და ქონება ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს გადაეცემა.

ცხადება შეიძლება განახლდეს, როგორც გათვალისწინებულია (a) ქვეპუნქტის მეორე ფრაზაში.

(3) კავშირის ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, (1) პუნქტის შესაბამისად, ვერ განაახლებს თავის განცხადებას, როგორც ეს (2) პუნქტშია გათვალისწინებული და მიუხედავად იმისა ოფიციალურად უკან გამოიხმობს თუ არა თავის განცხადებას, ველარ ისარგებლებს (1) პუნქტში მოხსენიებული შეღავათებით მიმდინარე ათწლიანი პერიოდის გავლის შემდეგ, სამწლიანი პერიოდის გავლიდან მას შემდეგ, რაც უკვე აღარ ჩაითვლება განვითარებად ქვეყნად; ამასთან გამოიყენება ის პერიოდი, რომელიც უფრო გვიან გადის.

(4) იქ, სადაც იმ დროისათვის, როდესაც (1) და (2) პუნქტების შესაბამისად გაკეთებული განცხადება წყვეტს თავის მოქმედებას და არის ამ დამატებითი კარის ძალით გაცემული ლიცენზიით დამზადებული სათადარიგო ეგზემპლარები, ეს ეგზემპლარები შეიძლება განაგრძობდნენ გავრცელებას მანამდე, სანამ მათი მარაგი მთლიანად არ ამოიწურება.

(5) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც ხელშეკრულია ამ აქტის დებულებებით და რომელმაც შესაძლებლად ჩააბარა განცხადება ან შეტყობინება 31 (1) მუხლის შესაბამისად ამ აქტის გამოყენების შესახებ რომელიმე ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომლის მდგომარეობაც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც (1) პუნქტში მითითებული ქვეყნების მდგომარეობის ანალოგიური, შეუძლია ამ ტერიტორიის თაობაზე გააკეთოს განცხადება, მოხსენიებული (1) პუნქტში და შეტყობინება განახლების შესახებ, მოხსენიებული (2) პუნქტში. ასეთი განცხადების ან შეტყობინების მოქმედების ვადის განმავლობაში ამ დამატებითი კარის დებულებები გამოიყენება ასეთი ტერიტორიის მიმართ.

(6) (a) ის გარემოება, რომ რომელიმე ქვეყანა სარგებლობს (1) პუნქტში გათვალისწინებული შეღავათებით, არ უქმნის შესაძლებლობას მეორე ქვეყანას მიანიჭოს ნაწარმოებები, რომელთა წარმოშობის ქვეყანაც არის პირველი ქვეყანა, ნაკლები დაცვა ვიდრე არის ის, რომელიც ვალდებულია მიანიჭოს 1-20 მუხლების თანახმად.

(6) ეკვივალენტური დაცვის უფლება, რომელიც გათვალისწინებულია 30 (2) (b) მუხლში (მეორე ფრაზა), არ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ვადაზე ადრე, როდესაც გავა პერიოდი, გამოყენებული 1 (3) მუხლის შესაბამისად იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანა V (1) (a) მუხლის თანახმად არის განმცხადებელი ქვეყანა.

მუხლი II. (თარგმნის უფლების შეზღუდვა: 1. კომპეტენტური ორგანოების გაცემული ლიცენზია; 2-დან 4-მდე. ასეთი გაცემის პირობები; 5. მიზნები, რომლებსთვისაც ასეთი ლიცენზიები შეიძლება გაიცეს; 6. ლიცენზიების მოქმედების შეწყვეტა; 7. ნაწარმოებები, რომლებიც ძირითადად ილუსტრაციებისგან შედგება; 8. ამოღებული ნაწარმოებები; 9. ლიცენზიები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ეთერით გადაცემებს ახორციელებენ)

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განცხადა, რომ ისარგებლებს ამ მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით, შეუძლია ბეჭდვით ან სხვა ანალოგიური მეორადი გამოყენების ფორმით გამოცემული ნაწარმოების მიმართ თარგმნის განსაკუთრებული უფლება, გათვალისწინებული მე-8 მუხლში, შეცვალოს არაგანსაკუთრებული და არაგადასაცემი ლიცენზიების სისტემით, რომელთაც გასცემენ კომპეტენტური ორგანოები ქვემოთ მითითებული პირობებით და ? მუხლის გათვალისწინებით.

(2) (a). (3) პუნქტის გათვალისწინებით, თუ სამწლიანი პერიოდი, ან ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, რომელსაც ადგენს დასახელებული ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა და რომელიც აითვლება ნაწარმოების პირველი გამოქვეყნებიდან, ასეთი ნაწარმოების თარგმანი არ გამოქვეყნებულა ამ ქვეყნის საერთო სარგებლობის ენაზე იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს თარგმნის ან თარგმნაზე ნების დართვის უფლება, ასეთი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ლიცენზია დასახელებულ ენაზე ამ ნაწარმოების თარგმნაზე და გამოაქვეყნოს ასეთი თარგმანი ბეჭდვით ან მეორადი გამოყენების ანალოგიური ფორმით.

(b) ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით ლიცენზია შეიძლება გაიცეს აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამ ენაზე გამოქვეყნებული თარგმანის ყველა გამოცემა უკვე გაიყიდა.

(3) (a) იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები თარგმნილია ენაზე, რომელიც არ არის საერთო სარგებლობის ენა კავშირის მონაწილე ერთ ან რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, ერთწლიანი პერიოდი ცვლის (2) (a) პუნქტში გათვალისწინებულ სამწლიან პერიოდს.

(b). (1) პუნქტში მოხსენიებულ ნებისმიერ ქვეყანას ერთსულოვანი შეთანხმებით კავშირის მონაწილე განვითარებულ ქვეყნებთან, რომლებშიც იგივე ენა არის საერთო სარგებლობის ენა, შეუძლია ამ ენაზე თარგმნის შემთხვევაში (2) (b) პუნქტში გათვალისწინებული სამწლიანი პერიოდი შეცვალოს ამ შეთანხმებაში დადგენილი უფრო ხანმოკლე პერიოდით, ამასთან ასეთი პერიოდი არ შეიძლება ერთ წელზე ნაკლები იყოს, თუმ-

ცა წინა წინადადების დებულებები არ ვრცელდება ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. ის მთავრობები, რომლებმაც მიაღწიეს ასეთ შეთანხმებას, ამის შესახებ ატყობინებენ გენერალურ დირექტორს.

(4) (a) ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, სამი წლის შემდეგ მიღებული ლიცენზიები არ შეიძლება გაიცეს დამატებითი ექვსთვიანი ვადის გასვლამდე, ხოლო ერთი წლის შემდეგ გაცემული ლიცენზიები – დამატებითი ცხრათვიანი ვადის გასვლამდე:

(I) თარიღიდან, რომლისთვისაც განმცხადებელი შეასრულებს IV (I) მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან

(II) თუ ცნობილი არ არის პიროვნება, ან იმ პიროვნების მისამართი, რომელსაც თარგმნის უფლება აქვს, თარიღიდან, რომლისთვისაც ლიცენზიაზე განმცხადებელი გაგზავნის, როგორც IV (2) მუხლშია გათვალისწინებული, ლიცენზიების გამცემი კომპეტენტური ორგანოსათვის გადაცემული თავისი განცხადების პირს.

(b) ამ მუხლით გათვალისწინებული ლიცენზია არ გაიცემა, თუ თარგმანი იმ ენაზე, რომლის მიმართაც გაკეთდა განცხადება, ქვეყნდება იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს თარგმნის უფლება ან თარგმანზე ნებართვის გაცემის უფლება, აღნიშნული ექვსი ან ცხრათვიანი პერიოდის მანძილზე.

(5) ნებისმიერი ლიცენზია, ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად, გაიცემა მხოლოდ სკოლებში, უნივერსიტეტებში გამოსაყენებლად ან გამოკვლევის მიზნით.

(6) თუ ნაწარმოების თარგმანი გამოქვეყნდება იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს თარგმნის ან თარგმანზე ნებართვის გაცემის უფლება ჩვეულებრივ ანალოგიური ნაწარმოებებისთვის ქვეყანაში დადგენილ ფასებში, ნებისმიერი ლიცენზია, რომელიც ამ მუხლის თაახმად გაიცემა, ნყვეტს თავის მოქმედებას, თუ ასეთი თარგმანი შესრულებულია იმავე ენაზე და ძირითადად იმავე შინაარსისაა, როგორც ლიცენზიით გამოცემული თარგმანი. ყველა ეგზემპლარი, გამოცემული მანამდე, სანამ ლიცენზია ძალას დაკარგავდა, შეიძლება განაგრძობდეს გავრცელებას მანამდე, სანამ მთლიანად გაიყიდება.

(7) ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ძირითადად შედგება ილუსტრაციებისგან, თარგმნისა და ტექსტის გამოქვეყნების ლიცენზია და ნაწარმოების მეორადი გამოყენებისა და ილუსტრაციების გამოშვების ლიცენზია გაიცემა, თუ ასევე სრულდება III მუხლის პირობები.

(8) ლიცენზია არ შეიძლება გაიცეს ამ მუხლის შესაბამისად, თუ ავტორმა მიმოქცევიდან ამოიღო თავისი ნაწარმოების ყველა ეგზემპლარი.



(9) (a) ლიცენზია ნაწარმოების თარგმანზე, რომელიც გამოქვეყნებულია ბეჭდვითი ან მეორადი გამოყენების ანალოგიური ფორმით, შეიძლება ასევე მიეცეს ნებისმიერ რადიომაუწყებლობით ორგანიზაციას, რომელსაც აქვს თავისი შტაბ-ბინა (1) პუნქტში აღნიშნულ ქვეყანაში, განცხადების წარდგენის შემდეგ ამ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსათვის, თუ ამასთან სრულდება ყველა შემდეგი პირობა:

(I) თარგმანი შესრულებულია ეგზემპლარიდან, რომელიც დამზადებული და შექნილია ამ ქვეყნის კანონების შესაბამისად;

(II) თარგმანი განკუთვნილია მხოლოდ რადიოგადაცემებში გამოქვეყნებისთვის სწავლების ან სპეციალური სამეცნიერო ან ტექნიკური გამოკვლევების შედეგების გავრცელების მიზნით კონკრეტული პროფესიის სპეციალისტებს შორის;

(III) თარგმანი გამოიყენება მხოლოდ (II) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზნებისათვის კანონიერად განხორციელებულ გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია მსმენელებისათვის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ გადაცემების ჩათვლით, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ამ გადაცემების მიზნებისათვის კანონიერად გაკეთებული ბგერითი ან ვიზუალური ჩანაწერების საშუალებით;

(IV) თარგმანის ყოველგვარი გამოყენება არ ისახავს კომერციულ მიზნებს.

(b) ამ პუნქტის ძალით გაცემული ლიცენზიის საფუძველზე რადიომაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ შესრულებული თარგმანის ბგერითი ან ვიზუალური ჩანაწერები (a) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზნებისა და პირობების გათვალისწინებით და ამ ორგანიზაციის თანხმობით, შეიძლება აგრეთვე გამოიყენოს რადიომაუწყებლობის სხვა რომელიმე ორგანიზაციამ, რომელსაც ქვეყანაში აქვს თავისი შტაბ-ბინა და რომლის კომპეტენტურმა ორგანომაც გასცა ეს ლიცენზია.

(c) იმ პირობით, თუ (a) ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი და პირობა სრულდება, ლიცენზია შეიძლება აგრეთვე გასცეს რადიომაუწყებლობის ორგანიზაციამ აუდიო-ვიზუალური ჩანაწერის შემცველი ნებისმიერი ტექსტის თარგმანისთვის, რომელიც თავისთავად დამზადებული და გამოქვეყნებულია მხოლოდ და მხოლოდ სისტემატური სწავლების მიზნით გამოყენებისათვის.

(d). (a)-(c) ქვეპუნქტების გათვალისწინებით წინა პუნქტების დებულებები გამოიყენება ამ პუნქტის შესაბამისად გაცემული ლიცენზიის გაცემისა და რეალიზაციისას.

მუხლი III. (მეორად გამოყენებაზე უფლების შეზღუდვა:

1. კომპეტენტურ ორგანოებისათვის გაცემული ლიცენზია;

2-5. ასეთი ლიცენზიების გაცემის პირობები;

6. ლიცენზიის მოქმედების შეწყვეტა; ნაწარმოებები,

რომელთა მიმართ გამოიყენება ეს მუხლი)

(1) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც განაცხადა, რომ ისარგებლებს ამ ქვეყანაში გათვალისწინებული შეღავათებით, უფლება აქვს შეცვალოს მე-9 მუხლში გათვალისწინებული უფლება ნაწარმოების მეორად გამოყენებაზე, არაგანსაკუთრებული და არაგადასაცემი ლიცენზიების სისტემით, რომლებსაც გასცემს კომპეტენტური ორგანო IV მუხლის გათვალისწინებით და შემდეგი პირობებით:

(2) (a) თუ ნაწარმოების მიმართ, რომელსაც მიეყენება ეს მუხლი (1) პუნქტის ძალით, გაივლის ვადა:

(I) შესაბამისი პერიოდისა, რომელიც განსაზღვრულია (3) პუნქტში, დაწყებული კონკრეტული გამოცემის პირველი გამოქვეყნების თარიღიდან, ან

(II) ნებისმიერი უფრო ხანგრძლივი პერიოდისა, რომელიც განსაზღვრულია (1) პუნქტში ნახსენები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, დაწყებული იმავე თარიღიდან.

თუ ასეთი გამოცემის ეგზემპლარები არ იყო გავრცელებული ამ ქვეყნის საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით არ გაავრცელა პირმა, რომელიც ფლობს მეორადი გამოყენების უფლებას ან მისი ნებართვით არ გავრცელდა ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის დადგენილი ჩვეულებრივი ფასების შესაბამის ფასში, ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ლიცენზია ასეთი გამოცემის მეორად გამოყენებასა და გამოქვეყნებაზე ამავე ან უფრო ნაკლებ ფასად სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით გამოსაყენებლად.

(b) ლიცენზია გამოცემის მეორად გამოყენებასა და გამოშვებაზე, რომელიც გავრცელებული იყო ისე, როგორც (a) ქვეპუნქტშია აღწერილი, შეიძლება გაიცეს ამ მუხლში გათვალისწინებული პირობებით, თუ გამოსაყენებელი პერიოდის გავლის შემდეგ არც ერთი ნებადართული ეგზემპლარი მოცემულ ქვეყანაში არ იყო გაყიდვის საგანი საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით ექსტოვიანი პერიოდის განმავლობაში ფასებში, რომლებიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ჩვეულებრივ ანალოგიურ ნაწარმოებებზე დანესებულ ფასებს.

(3) მე-(2) (a) (I) პუნქტში აღნიშნული პერიოდი შეადგენს ხუთ წელიწადს, ოღონდ:



(I) საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერების დარგის, მათემატიკისა და ტექნიკის ჩათვლით, გამოცემებისათვის ეს პერიოდი შეადგენს სამწლიანად;

(II) მხატვრული, პოეტური, დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის, აგრეთვე ხელოვნების დარგის წიგნებისათვის ეს პერიოდი შეადგენს შვიდ წელიწადს.

(4) (a) არავითარი ლიცენზია, რომელიც სამი წლის შემდეგაა ხელმოსაწვდომი, არ გაიცემა ამ მუხლის შესაბამისად ექვსთვიანი პერიოდის გასვლამდე.

(I) იმ თარიღიდან, რომლის დადგომისას განმცხადებელი შეასრულებს IV (1) მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებებს, ან

(II) თუ უცნობია პიროვნება ან მისამართი იმისი, ვინც ფლობს მეორადი გამოყენების უფლებას, იმ თარიღიდან, როცა განმცხადებელი, როგორც ეს გათვალისწინებულია IV (2) მუხლში, გაავრცელდეს თავისი განცხადებისა, წარდგენილს ორგანოსადმი, რომელიც კომპეტენტურია გასცეს ლიცენზიები.

(c) თუ (a) და (b) ქვეპუნქტებში აღნიშნული ექვსთვიანი ან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გავრცელებას, როგორც ეს აღწერილია (2) (a) პუნქტში, ამ მუხლის შესაბამისად არავითარი ლიცენზია არ გაიცემა.

(d) არავითარი ლიცენზია არ გაიცემა, თუ ავტორმა ამოიღო მიმოქცევიდან ყველა ეგზემპლარი გამოცემისა, რომლის მეორად გამოყენებასა და გამოქვეყნებაზე მოთხოვილი იყო ლიცენზია.

(5) ლიცენზია ნაწარმოების მეორად გამოყენებასა და მის თარგმანის გამოქვეყნებაზე ამ მუხლთან შესაბამისად არ გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

(I) როცა თარგმანი არ იყო გამოქვეყნებული პირის მიერ, რომელიც ფლობს თარგმანის უფლებას ან მისი ნებართვით, ან

(II) როცა თარგმანი გაცემებულია არა იმ ენაზე, რომელიც საყოველთაოდ იხმარება ქვეყანაში, სადაც მოთხოვილი იყო ლიცენზია.

(6) როდესაც პირი, რომელიც ფლობს მეორადი გამოყენების უფლებას, ან ვინმე მისი ნებართვით ავრცელებს ასეთი გამოცემის ეგზემპლარებს (1) პუნქტში ნახსენებ ქვეყანაში, საზოგადოებაში ან სისტემატურ სწავლებასთან დაკავშირებით ფასებში, რომლებიც შეესაბამება ამ ქვეყანაში ანალოგიური ნაწარმოებებისათვის ჩვეულებრივად დადგენილ ფასებს, ნებისმიერი ლიცენზია, გაცემული ამ მუხლის შესაბამისად, ნყვეტს თავის მოქმედებას, თუ ასეთი გამოცემა გამოქვეყნებულია იმავე ენაზე და

ძირითადად იმავე შინაარსისაა როგორც ლიცენზიით გამოქვეყნებული გამოცემა. ყველა ეგზემპლარი გამოცემული მანამდე, სანამ ლიცენზია ძალს დაკარგავდა, შეიძლება განაგრძობდეს გავრცელებას, სანამ მთლიანად არ გაიყიდება.

(7) (a) ქვეპუნქტ (b)-ს გათვალისწინებით ნაწარმოებთა წრე, რომლებზეც ვრცელდება ეს მუხლი, იფარგლება ბექდვითი ანალოგიური ფორმით გამოქვეყნებული ნაწარმოებებით.

(b) ეს მუხლი ვრცელდება აგრეთვე აუდიო-ვიზუალური ფორმით წარმოდგენილ მეორად ნაწარმოებებზე, კანონიერად განხორციელებულ აუდიო-ვიზუალურ ჩანაწერებზე, საავტორო უფლებით დაცულ ნებისმიერ ნაწარმოებებზე, რომლებსაც ეს ჩანაწერები შეიცავენ, აგრეთვე ვრცელდება ამ ჩანაწერებში ჩართული ნებისმიერი ტექსტის თარგმანზე იმ ენაზე, რომელიც საყოველთაოდ იხმარება იმ ქვეყანაში, სადაც ლიცენზია მოითხოვება, იმ პირობით, რომ ყველა ამ შემთხვევაში აღნიშნული აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები მომზადებულია და გამოშვებულია სისტემატური სწავლებისათვის გამოყენების განსაკუთრებული მიზნით.

მუხლი IV. (დებულებები, რომლებიც საერთოა II და III მუხლების

შესაბამისად გაცემული ლიცენზიებისათვის: 1. და 2. პროცედურა;

3. ნაწარმოების ავტორისა და სახელწოდების მითითება;

4. ეგზემპლარების ექსპორტი; 5. შეტყობინება; 6. კომპენსაცია)

(1) ლიცენზიები II ან III მუხლების შესაბამისად შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ პირი, რომელმაც განაცხადი გააკეთა ლიცენზიაზე, დაამტკიცებს ამ ქვეყანაში დადგენილი წესების თანახმად, რომ მან ნებართვისათვის მიმართა პიროვნებას, რომელიც ფლობს უფლებას მოამზადოს და გამოაქვეყნოს თარგმანი ან მეორადად გამოიყენოს და გამოუშვას რომელიმე ნაწარმოები და უარი მიიღო, ან მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ვერ შეძლო დაედგინა პიროვნება, რომელიც ამ უფლებას ფლობს. ლიცენზიის მოთხოვნისას განმცხადებელი ინფორმაციას აწვდის (2) პუნქტში ნახსენებ ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრს.

(2) თუ შეუძლებელია იმ პირის დადგენა, ვინც ფლობს უფლებას, ლიცენზიის მოთხოვნი გზავნის შეკვეთილი ავიაფოსტით თავისი განცხადების ასლებს, რომელიც წარუდგინა ლიცენზიის გაცემაში კომპეტენტურ ორგანოს, გამოცემელს, რომლის გვარიც აღნიშნულია ნაწარმოებზე, აგრეთვე ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ცენტრს, რომელიც შეიძლება აღნიშნული იყოს გენერალური დირექტორისადმი გაგზავნილ



შესაბამის ნოტიფიკაციაში იმ ქვეყნის მთავრობის მიერ, რომელშიც გორც ნავარაუდევია, ძირითადად ეწევა თავის პროფესიულ საქმიანობას გამომცემელი.

(3) ავტორის გვარი აღნიშნება თარგმანის ან მეორადი გამოცემის ყველა ეგზემპლარზე, რომლებიც გამოქვეყნდა II ან III მუხლის შესაბამისად გაცემული ლიცენზიით, ნაწარმოების სახელწოდება იბეჭდება ყველა ასეთ ეგზემპლარზე. რაც შეეხება თარგმანს, ნაწარმოების ორიგინალური სახელწოდება იბეჭდება ყველა შემთხვევაში, ყველა აღნიშნულ ეგზემპლარზე.

(4) (a) არავითარი ლიცენზია, გაცემული II და III მუხლების შესაბამისად, არ ვრცელდება ნაწარმოების ეგზემპლარების ექსპორტზე და ძალშია მხოლოდ თარგმანის ან შესაბამისად, მეორად გამოცემის გამოქვეყნებისას იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც არის ლიცენზიის მოთხოვნა.

(b). ქვეპუნქტ (a)-ს მიზნებისათვის ექსპორტის ცნება შეიცავს ეგზემპლარების გაგზავნას ნებისმიერი ტერიტორიიდან ქვეყანაში, რომელმაც ამ ტერიტორიის მიმართ გააკეთა განცხადება I მუხლის თანახმად.

(c) როცა სამთავრობო ან სხვა ორგანიზაცია ქვეყნისა, რომელმაც II მუხლის შესაბამისად გასცა ლიცენზია თარგმანის მომზადებაზე ნებისმიერ ენაზე, ინგლისურის, ესპანურის ან ფრანგულის გარდა, მეორე ქვეყანაში გზავნის ასეთი ლიცენზიით გამოშვებული თარგმანის ეგზემპლარებს, ეგზემპლარების ასეთი გაგზავნა (a) ქვეპუნქტის მიზნებისათვის არ ითვლება ექსპორტად, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

(I) ეგზემპლარების მიმღებნი არიან ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მოქალაქენი ან ის ორგანიზაციები, რომელნიც ამ მოქალაქეებს აერთიანებენ;

(II) ეგზემპლარების გამოყენება შეიძლება მარტო სკოლებში, უნივერსიტეტებში ან კვლევის მიზნით;

(III) ეგზემპლარების გაგზავნა და მათი შემდგომი გავრცელება მიმღებთა შორის არ ემსახურება კომერციულ მიზნებს; და

(IV) ქვეყანა, რომელშიც იგზავნება ეგზემპლარები, დაეთანხმა ქვეყანას, რომლის კომპეტენტურმა ორგანომაც გასცა ლიცენზია ნება დართოს მიღებაზე, გარვცელებაზე ან ორივეზე ერთად, ასეთი შეთანხმების შესახებ შეატყობინა გენერალურ დირექტორს ლიცენზიის გამცემი ქვეყნის მთავრობამ.

(5) ყველა ეგზემპლარს, გამოქვეყნებულს II ან III მუხლის ძალით თანახმად შეტყობინება შესაბამის ენაზე იმის შესახებ, რა ეგზემპლარები შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ იმ ქვეყანაში, იმ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება მოცემული ლიცენზია.

(6) (a) იღებენ აუცილებელ ზომებს ეროვნულ დონეზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

(I) ის, რომ ლიცენზია ითვალისწინებდეს სამართლიანი კომპენსაციის გადახდას იმ პირისათვის, რომელიც ფლობს უფლებას თარგმანზე ან შესაბამის მფორად გამოყენებაზე, ჰონორარის ნორმების შესაბამისად, რომლებსაც ჩვეულებრივ იყენებენ ლიცენზიების მიმართ თავისუფალი მოლაპარაკების დროს გარკვეულ პირებს შორის ორ შესაბამის ქვეყანაში; და

(II) კომპენსაციის გადახდა და გადაგზავნა. თუ მოქმედებენ განსაკუთრებული ეროვნული სავალუტო წესები, კომპეტენტური ორგანოები ყველა ზომას ხმარობენ, რომ საერთაშორისო მექანიზმის დახმარებით უზრუნველყონ კომპენსაციის გადაყვანა საერთაშორისო კონვერტირებულ ვალუტაში ან მის ეკვივალენტში.

(b) ეროვნული კანონმდებლობა იღებს აუცილებელ ზომებს სწორი თარგმანის ან შესაბამისად, ამა თუ იმ გამოცემის ზუსტი განმეორებისათვის.

მუხლი V. (ალტერნატიული შესაძლებლობა თარგმანზე უფლების შესაზღუდავად: 1. ამისათვის გათვალისწინებული პროცედურა 1886 და 1896 წლების აქტებში; 2. შეუძლებლობა პროცედურის შეცვლისა

II მუხლის თანახმად; 3. ვადა ალტერნატიული შესაძლებლობის არჩევისათვის)

(I) (a) ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც აქვს უფლება განაცხადოს, რომ იგი ისარგებლებს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, შეუძლია ამის ნაცვლად ამ აქტის რატიფიკაციისას ან მასთან შეერთების დროს:

(I) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც მიეყენება 30 (2) (a) მუხლი, გააკეთოს განცხადება თარგმანზე უფლების თაობაზე;

(II) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც 30 (2) (a) მუხლი არ მიეყენება, და უფრო მეტიც — არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის, გააკეთოს განცხადება, როგორც ეს გათვალისწინებულია 30 (2) (b) მუხლში, პირველი ფრაზა.

(b) თუ ქვეყანა უკვე აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, როგორც ეს გათვალისწინებულია I (1) მუხლით, განცხადება გაკეთებული ამ პუნქტის შესაბამისად ძალაშია I (3) მუხლის შესაბამისად დასაშვები ვადის გავლის თარიღამდე.

(c) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ პუნქტის თანახმად, არ შეუძლია შემდგომში ისარგებლოს II მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით, მაშინაც კი, თუ იგი უკან გამოითხოვს აღნიშნულ განცხადებას.



(2) მე-(3) პუნქტის თანახმად ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ისარგებლა II მუხლში გათვალისწინებული შეღავათით, არ შეუძლია შემდგომში გააკეთოს განცხადება (1) პუნქტის თანახმად.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც აღარ ითვლება განვითარებად ქვეყნად, როგორც ეს გათვალისწინებულია I (1) მუხლში, შეუძლია არა უგვიანეს ორი წლით ადრე I (3) მუხლის თანახმად დასაშვები პერიოდის გავლამდე, გააკეთოს განცხადება იმ მიზნით, რომელიც გათვალისწინებულია 30 (2) (b) მუხლში, პირველი ფრაზა, მოუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ქვეყანა, რომელიც კავშირში არ შედის. ასეთი განცხადება ძალაში შედის იმ თარიღის დადგომისას, როცა მიიწურება I (3) მუხლის თანახმად დასაშვები ვადა.

მუხლი VI. (დამატებითი კარის ზოგიერთი დებულების გამოყენების შესაძლებლობა ან გამოყენების დაშვება იმ მომენტამდე, როცა იგი ხელშეშვრელი გახდება ქვეყნებისათვის: 1. განცხადება;

2. განცხადების დეპონირება და მისი ძალაში შესვლის თარიღი)

(1) კავშირის ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს, დაწყებული ამ აქტის მიღების თარიღიდან და ნებისმიერ დროს, მანამდე, სანამ იგი ხელშეშვრული იქნება 1-21 მუხლებით და ამ დამატებითი კარით:

(I) თუ იგი არის ქვეყანა, რომელსაც თუ ხელშეშვრული იქნებოდა 1-21 მუხლებით და ამ დამატებითი კარით, ექნებოდა უფლება ესარგებლა I (1) მუხლში ნახსენები შეღავათებით, რომ იგი გამოიყენებდა II ან III მუხლის, ან ორივე ამ მუხლის დებულებებს იმ ნაწარმოებების მიმართ, ან, რომელიც ხელშეშვრულია 1-21 მუხლებით და ამ დამატებითი კარით; ასეთ განცხადებას იმის ნაცვლად, რომ დაიმონმოს II მუხლი, შეუძლია დაიმონმოს V მუხლი.

(II) რომ მას დასაშვებად მიაჩნია ამ დამატებითი კარის გამოყენება იმ ნაწარმოებების მიმართ, რომელთა წარმოშობის ქვეყანასაც იგი წარმოადგენს, ქვეყნების მიერ, რომლებმაც გააკეთეს განაცხადი ზემოთ ნახსენები (I) ქვეპუნქტის ან შეტყობინების თანახმად I მუხლის შესაბამისად.

(2) ნებისმიერ განცხადებას, გაკეთებულს (1) პუნქტის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს წერილობითი ფორმა და დეპონირებული უნდა იყოს გენერალურ დირექტორთან. განცხადება ძალაში შედის მისი დეპონირების თარიღიდან.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**487 ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ
ბერნის კონვენციასთან შეერთების თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციას.

რუსუდან ბერიძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

თბილისი

1994 წლის 24 ნოემბერი

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ

მუხლი 8. პრინციპები

1. ნევრ სახელმწიფოებს თავიანთი კანონებისა და რეგლამენტების ფორმულირების ან შესწორების დროს შეუძლიათ მიიღონ საჭირო ზომები ადამიანთა ჯანმრთელობის და კვების პრობლების დასაცავად და ხელი შეუწყონ საზოგადოების დაინტერესებას მათი სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სფეროებით, იმ პრობით, რომ ასეთი სახის ზომები შესაბამისობაში იქნება წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან.

2. შესაბამისი ზომების მიღება შეიძლება საჭირო გახდეს უფლების მფლობელთა მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად ან ისეთი პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც გაუმართლებლად ზღუდავს ვაჭრობას ან ხელშემშლელ ზემოქმედებას ახდენს ტექნოლოგიის საერთაშორისო გადაცემაზე იმ პრობით, რომ ასეთი ზომები შესაბამისობაში იქნება წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან.

ნაწილი II

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით სარგებლობის,
ფარგლავის და გამოყენების სტანდარტები

ნაკვეთი 1: საავტორო უფლება და მასთან დაკავშირებული უფლებები

მუხლი 9. დამოკიდებულება ბერნის კონვენციასთან

1. ნევრი სახელმწიფოები იცავენ ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლების 1-21 და ამ კონვენციის დანართის დებულებებს. მიუხედავად ამისა, წინამდებარე შეთანხმების თანახმად ნევრ ქვეყნებს არ ენიჭებათ უფლებები და არ ეკისრებათ მოვალეობები აღნიშნული კონვენციის 6bis მუხლით მინიჭებულ უფლებებთან ან მათგან მომდინარე უფლებებთან დაკავშირებით.

2. საავტორო უფლების დაცვა ვრცელდება გამოსახვის ფორმებზე და არა იდეებზე, პროცედურებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

მუხლი 10. კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები

1. კომპიუტერული პროგრამები, იქნება ეს წყაროს თუ ობიექტის კოდით, დაცულია ბერნის კონვენციით (1971 წ.), როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები.

2. მონაცემთა ან სხვა მასალის ბაზები, იქნება ეს მანქანურად წაკითხვადი თუ სხვა ფორმით წარმოდგენილი, რომლებიც მათი შინაარსის შერჩევის ან წყობის მიზეზის გამო უტოლდება ინტელექტუალურ ქმნილებას, ასევე ექვემდებარება დაცვას როგორც ასეთი. ასეთი დაცვა, რომელიც არ ვრცელდება თვით მონაცემებზე ან მასალაზე, არ უნდა ეხებოდეს საავტორო უფლებას, რომელიც ვრცელდება მონაცემებზე ან თვითონ მასალაზე.

მუხლი 11. გაქირავების უფლებები

რაც შეეხება ისეთ ქმნილებებს, როგორებიცაა, სულ მცირე, კომპიუტერული პროგრამები და კინემატოგრაფიული ნაწარმოებები, ნებისმიერი წევრი სახელმწიფო ავტორებს და მათ სამართალმემკვიდრებს აძლევს საზოგადოებისათვის თავიანთი საავტორო ნაშრომთა ორიგინალების ან ასლების კომერციული მიქირავების ნებართვის გაცემის ან აკრძალვის უფლებებს. ნებისმიერი წევრი სახელმწიფო თავისუფლდება ამ ვალდებულებისაგან, როცა საქმე ეხება კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებს თუ ასეთი სახის გაქირავებამ ამ ნაწარმოებთა ფართოდ გავრცელებულ ასლგადაღებას არ შეუწყო ხელი, რაც არსებით ზიანს მიაყენებდა რეპროდუქციების განსაკუთრებულ უფლებას, რომელიც ამ წევრ სახელმწიფოში ავტორს ან მის მემკვიდრეს აქვს მინიჭებული. რაც შეეხება კომპიუტერულ პროგრამებს, ეს ვალდებულება არ ეხება ისეთი სახის გაქირავებას, როდესაც თვით პროგრამა არ წარმოადგენს გაქირავების ძირითად საგანს.

მუხლი 12. დაცვის ვადა

როდესაც ისეთი ნაწარმოების დაცვის ვადა, რომელიც არ მიეკუთვნება ფოტოგრაფიული ან გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს, გამოითვლება არა ფიზიკური პირის სიცოცხლის ხანგრძლივობის საფუძველზე: იგი შეადგენს არანაკლებ 50 წელს ნებადართული გამოქვეყნების კალენდარული წლის დასასრულიდან, ან 50 წელს ნაწარმოების შექმნიდან,



ხოლო ასეთი ნებადართული გამოქვეყნების არარსებობის შემთხვევაში 50 წელს მისი შექმნის კალენდარული წლის დასასრულიდან.

მუხლი 13. შეზღუდვები და გამონაკლისები

წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან გარკვეულ სპეციფიურ შემთხვევებში დაუნესონ შეზღუდვები ან გამონაკლისები განსაკუთრებულ უფლებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ბღალავდეს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 14. შემსრულებელთა, ფონოგრამათა (ბგერის ჩანაწერთა)

მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვა

1. რაც შეეხება ფონოგრამაზე ნაწარმოებთა ფიქსირებას, შემსრულებლებს ეძლევათ შემდეგი ქმედებების აღკვეთის შესაძლებლობა, თუ ისინი ხორციელდება მათი ნებართვის გარეშე: მათი დაუფიქსირებელი ნაწარმოებების ფიქსირება და ასეთი ფიქსირების აღწარმოება. შემსრულებლებს შესაძლებლობა ეძლევათ აღკვეთონ აგრეთვე შემდეგი სახის ქმედებები, რომლებიც ასევე მათი ნებართვის გარეშე ხორციელდება – მათი უფლებობა ეთერში და ცოცხალი შესრულების გაცნობა საზოგადოებისათვის

2. ფონოგრამათა მწარმოებლებს უფლება აქვთ გასცენ ნებართვა მათი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აღწარმოებაზე.

3. სამაუწყებლო ორგანიზაციებს უფლება აქვთ აკრძალონ შემდეგი სახის ქმედებები, თუ ისინი მათი ნებართვის გარეშე ხორციელდება: ფიქსირება, აღწარმოება, რადიოგადაცემათა რეტრანსლირება ეთერის გამოყენებით, ასევე საზოგადოებისათვის სატელევიზიო გადაცემათა მიწოდება. თუ წევრი სახელმწიფოები სამაუწყებლო ორგანიზაციებს არ ანიჭებენ ასეთ უფლებებს, ისინი მოვალენი არიან რადიოგადაცემათა საგანზე საავტორო უფლების მფლობელებს მისცენ ზემოაღნიშნული ქმედებების აღკვეთის შესაძლებლობა ბერნის კონვენციის (1971 წ.) დებულების თანახმად.

4. მუხლი 11-ის დებულებები, რომლებიც ეხება კომპიუტერულ პროგრამებს, მუტატის მუტანდის გამოიყენება ფონოგრამათა მწარმოებლების და ფონოგრამებზე უფლებების მფლობელი ნებისმიერი პირის მიმართ, როგორც ეს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. თუ 1994 წლის 15 აპრილისათვის წევრ სახელმწიფოებში ძალაში იყო უფლების მფლობელთა სამართლიანი კომპენსაციის სისტემა ფონოგრამათა

გაქირავებასთან დაკავშირებით, ასეთი სისტემა შეიძლება შენარჩუნებული იქნეს იმ პირობით, რომ ფონოგრამათა კომერციული გაქირავება არ გზავნიდა უფლების მფლობელთა აღწარმოების განსაკუთრებული უფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების მიზეზი.

5. დაცვის ვადა, რომელსაც ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმება შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა მიმართ, განისაზღვრება სულ მცირე დროის 50-წლიანი პერიოდით, რომელიც აითვლება დაფიქსირების განხორციელების ან შესრულების კალენდარული წლის დასასრულიდან. პუნქტი 3-ის თანახმად მინიჭებული დაცვის ვადა გრძელდება სულ მცირე 20 წლის მანძილზე იმ კალენდარული წლის დასასრულიდან მოყოლებული, რომელ წელსაც გავიდა რადიოგადაცემა ეთერში.

6. ნებისმიერი წევრი ქვეყანა უფლებამოსილია პუნქტებით 1, 2 და 3 მინიჭებულ უფლებებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს პირობები, შეზღუდვები, გამონაკლისები და შენიშვნები რომის კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ბერნის კონვენციის (1971 წ.) მუხლი 18-ის დებულებები გამოიყენება აგრეთვე მუტატის მუტანდის, შემსრულებელთა და ფონოგრამათა მწარმოებლების უფლებათა მიმართ.

ისმო

CRNR/DC/95

ორიგინალი: ინგლისური

თარიღი: 1996 წლის 23 დეკემბერი

**ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია
ჟენევა**

**საავტორო და მომიჯნავე უფლებების
ზოგიერთი საკითხისადმი მიძღვნილი
დიპლომატიური კონფერენცია***

ჟენევა, 2-20 დეკემბერი, 1996 წ.

ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ

მიღებულია დიპლომატიური კონფერენციის მიერ 1996 წლის 20 დეკემბერს

შინაარსი

პრეამბულა

- თავი I: ზოგადი დებულებები
- მუხლი 1.: მიმართება ბერნის კონვენციასთან
- მუხლი 2.: საავტორო უფლებების დაცვის სფერო
- მუხლი 3.: ბერნის კონვენციის 2-6 მუხლების გამოყენება
- მუხლი 4.: კომპიუტერული პროგრამები
- მუხლი 5.: მონაცემთა კომპილაცია (მონაცემთა ბაზები)
- მუხლი 6.: გავრცელების უფლება
- მუხლი 7.: გაქირავების უფლება
- მუხლი 8.: საჯარო გადაცემის (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის)
უფლება
- მუხლი 9.: ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა
- მუხლი 10.: შეზღუდვები და გამონაკლისები

* არაოფიციალური ტექსტი. მიმდინარეობს პროცედურა ხელშეკრულებასთან შესაერ-
თებლად.

- მუხლი 11: ვალდებულებები ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში
- მუხლი 12: ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში
- მუხლი 13: გამოყენება დროში
- მუხლი 14: დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ
- მუხლი 15: ასამბლეა
- მუხლი 16: საერთაშორისო ბიურო
- მუხლი 17: ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება
- მუხლი 18: ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები
- მუხლი 19: ხელშეკრულების ხელმოწერა
- მუხლი 20: ხელშეკრულების ძალაში შესვლა
- მუხლი 21: ხელშეკრულებაში მონაწილეობის დანაშაულის თარიღი
- მუხლი 22: ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანის დაუშვებლობა
- მუხლი 23: ხელშეკრულების დენონსაცია
- მუხლი 24: ხელშეკრულების ენები
- მუხლი 25: დეპოზიტარი

პრეამბულა

ხელშეკრულების დამდები მხარეები,

სურთ რა მაქსიმალურად ეფექტურად და ერთგვაროვნად დახვეწონ და დაიცვან ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა უფლებები,

აღიარებენ რა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ განვითარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი სკიზების ადეკვატურად გადაწყვეტის მიზნით ახალი საერთაშორისო წესების შემოღებისა და ზოგიერთი არსებული წესის უფრო ზუსტი განმარტებისათვის აუცილებლობას,

აღიარებენ რა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და დაახლოების დიდ ზეგავლენას ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების შექმნასა და გამოყენებაზე,

ხაზს უსვამენ რა საავტორო უფლებების დაცვის, როგორც ლიტერატურული და მხატვრული შემოქმედების სტიმულის დიდ მნიშვნელობას,



ალიარებენ რა ავტორთა უფლებებსა და ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს შორის ნონასწორობის შენარჩუნების აუცილებლობას, კერძოდ, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროებში, როგორც ეს ასახულია ბერნის კონვენციაში, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

ზოგადი დეკლარაცია

მუხლი 1. მიმართება ბერნის კონვენციასთან

- (1) ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მე-20 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე სპეციალურ შეთანხმებას ხელშეკრულების მხარეებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონვენციით დაფუძნებული კავშირის წევრ სახელმწიფოებს. ეს ხელშეკრულება არანაირად არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ხელშეკრულებებთან, გარდა ბერნის კონვენციისა, და არ ამცირებს მათ უფლებებსა და ვალდებულებებს ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებების მიმართ.
- (2) ამ ხელშეკრულების არცერთი დებულება არ ამცირებს ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის თანახმად.
- (3) შემდგომში „ბერნის კონვენცია“ ნიშნავს ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს.
- (4) ხელშეკრულების დამდები მხარეები იცავენ 1-21 მუხლებისა და ბერნის კონვენციის დამატებითი ნაწილის მოთხოვნებს.

მუხლი 2. საავტორო უფლებების დაცვის სფერო

საავტორო უფლება ვრცელდება გამონახტვის ფორმაზე და არა იდეებზე, პროცესებზე, ფუნქციონირების მეთოდებზე ან მათემატიკურ კონცეფციებზე, როგორც ასეთზე.

მუხლი 3. ბერნის კონვენციის 2-6 მუხლების გამოყენება

ხელშეკრულების დამდები მხარეები, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, იყენებენ ბერნის კონვენციის 2-6 მუხლების დებულებებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მიმართ.

მუხლი 4. კომპიუტერული პროგრამები

კომპიუტერული პროგრამები დაცულია როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამგვარი დაცვა ვრცელდება კომპიუტერულ პროგრამებზე მათი გამობატვის ხერხებისა და ფორმების მიუხედავად.

მუხლი 5. მონაცემთა კომპილაცია (მონაცემთა ბაზები)

მონაცემთა ან სხვა ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის კომპილაცია, რომელიც შერჩევისა და შინაარსის განლაგების მიხედვით წარმოადგენს ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგს, დაცულია. ამგვარი დაცვა არ ვრცელდება თვით მონაცემებსა და ინფორმაციაზე და არ ეხება კომპილაციაში არსებული თვით მონაცემებისა და ინფორმაციის საავტორო უფლებას.

მუხლი 6. გავრცელების უფლება

(1) ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ ორიგინალისა და საკუთარი ნაწარმოების ეგზემპლარების საყოველთაო გაცნობის განსაკუთრებული უფლებით გაყიდვისა ან საკუთრების უფლების სხვაგვარად გადაცემის გზით.

(2) ამ ხელშეკრულებაში არაფერი არ ახდენს გავლენას ხელშეკრულების დამდები მხარეების თავისუფლებაზე განსაზღვრონ ან არ განსაზღვრონ პირობები, რომელთა მიხედვით (1) პუნქტში ნახსენები უფლების ამონაწერვა ხორციელდება ორიგინალის ან ნაწარმოების ეგზემპლარის პირველი გაყიდვისა ან საკუთრების უფლების გადაცემის სხვა გზით, ავტორის ნებართვით.

მუხლი 7. გაქირავების უფლება

(1) ავტორები

(i) კომპიუტერული პროგრამებისა;

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებებისა და

(iii) ნაწარმოებებისა, რომლებიც განხორციელებულია ფონოგრამების სახით, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ნაციონალური კანონმდებლობით,

სარგებლობენ ორიგინალებისა და თავისი ნაწარმოებების ეგზემპლარების კომერციული გაქირავების ნებართვის გაცემის განსაკუთრებული უფლებით.

(2) პუნქტი (1) არ ვრცელდება:

(i) კომპიუტერული პროგრამების მიმართ, თუ თვით ეს პროგრამები ნარმოადგენს გაქირავების ძირითად ობიექტს; და

(ii) კინემატოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ, თუ ასეთ კომერციულ გაქირავებას არ მოსდევს ამ ნაწარმოებთა საყოველთაო კოპირება, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს კვლავნარმოების განსაკუთრებულ უფლებას.

(3) პუნქტი (1) დებულების მიუხედავად, ხელშეკრულების დამდებ მხარეს, რომელშიც 1994 წლის 15 აპრილისთვის მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს ფონოგრამების სახით გავრცელებული ეგზემპლარებისა და ნაწარმოებების გაქირავებისაგან ავტორთათვის სამართლიანი ჰონორარის გაცემის სისტემა, შეუძლია შეინარჩუნოს ეს სისტემა იმ პირობით, თუ ფონოგრამების სახით გავრცელებული ნაწარმოებების კომერციული გაქირავება არ აყენებს სერიოზულ ზიანს ავტორთა განსაკუთრებულ უფლებას კვლავნარმოებაზე.

მუხლი 8. საჯარო გადაცემის (გადაცემა საყოველთაო გაცნობისათვის) უფლება

ბერნის კონვენციის მუხლების 11(1)(ii), 11bis(1)(i) და (ii), 11ter(1)(ii), 14(1)(ii) და 14bis(1) დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით დართონ თავისი ნაწარმოებების საყოველთაო გაცნობისათვის საჯარო გადაცემის უფლება სადენებითა და კავშირგაბმულობის უმაჯთულო საშუალებებით, მათ შორის ისე, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის ასეთი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით.

მუხლი 9. ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის ხანგრძლივობა

ფოტოგრაფიული ნაწარმოებების მიმართ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ ითვალისწინებენ ბერნის კონვენციის 7(ii)(4) მუხლის დებულებებს.

მუხლი 10. შეზღუდვები და გამონაკლისები

(1) ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს თავიანთი ეროვნულ კანონმდებლობაში შეუძლიათ დაანესონ შეზღუდვები ან გამონაკლისები იმ უფლებებიდან, რომლებითაც სარგებლობენ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები ამ ხელშეკრულებით ზოგიერთ განსაზღვრულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ნაწარმოების ნორმალური გამოყენებისათვის ზიანის მიყენებისადა გარეშე.



(2) ბერნის კონვენციის გამოყენებისას ხელშეკრულების დამდები მხარეები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რაიმე შეზღუდვებსა და გამოწვევებს ანესებენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ აყენებენ ზიანს ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და დაუსაბუთებლად არ ლახავენ ავტორის კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 11. ვალდებულებები ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში

ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები შესაბამის სამართლებრივ დაცვა-სა და სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ იმ არსებული ტექნიკური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომელსაც ავტორები ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით დადგენილი თავიანთი უფლებების განსახორციელებლად იყენებენ და რომლებიც მათი ნაწარმოებების მიმართ ზღუდავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც არ არის ნებადართული ავტორების მიერ ან აკრძალულია კანონით.

მუხლი 12. ვალდებულებები უფლებების მართვის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები სამართლებრივი დაცვის შესაბამის და ეფექტურ ზომებს ითვალისწინებენ ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც შეგნებულად ახორციელებს ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებათაგანს, და რომელმაც იცის, ან დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, აქვს საკმარისი საფუძველი იცოდეს, რომ ამგვარი ქმედება გამოიწვევს, შესაძლებელს გახდის, ხელს შეუწყობს ან დაფარავს ამ ხელშეკრულებით ან ბერნის კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევას:

- (i) უფლებების მართვის შესახებ ნებისმიერი ელექტრონული ინფორმაციის უნებართვო მოსპობა ან შეცვლა;
- (ii) ნაწარმოებების ან ნაწარმოებების ეგზემპლარების უნებართვო გავრცელება, გავრცელების მიზნით შემოტანა, ეთერში გადაცემა, შეტყობინება ან საჯარო გადაცემა, როცა ცნობილია, რომ უფლებების მართვის შესახებ ელექტრონული ინფორმაცია მათში უნებართვოდ იქნა მოსპობილი ან შეცვლილი.

(2) „ინფორმაცია უფლებების მართვის შესახებ“ ამ მუხლში აღნიშნავს ინფორმაციას, რომელიც ახდენს ნაწარმოების, ნაწარმოების ავტორის, ნაწარმოებზე ან მის გამოყენებაზე რაიმე უფლების მფლობელის ინფორმაციის და ასეთი ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი ციფრების ან



კოდების იდენტიფიკაციას, როცა ინფორმაციის ამ ელემენტთა განსაზღვრება მიერი თან ახლავს ნანარმოების ეგზემპლარს ან ჩნდება ნანარმოების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 13. გამოყენება დროში

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები „ბერნის კონვენციის“ მე-18 მუხლის დებულებებს იყენებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის ყველა სახეობის მიმართ.

მუხლი 14. დებულებები უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

(1) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულია იღებენ თავიანთი სამართლებრივი სისტემების შესაბამისად გაატარონ ამ ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებანი.

(2) ამ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ კანონებში გათვალისწინებული იყოს უფლებების უზრუნველყოფელი ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის ნებისმიერი აქტის აღმკვეთი ეფექტური ქმედებების, მათ შორის დარღვევების თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებისა და შემდგომი დარღვევების შემაკავებელი ზომების გატარება.

მუხლი 15. ასამბლეა

(1) (ა) ამ ხელშეკრულების დამდები მხარეები აფუძნებენ ასამბლევას.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე შეიძლება წარმოადგინოს იყოს ერთი დელეგატი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები.

(გ) ყოველი დელეგაციის ხარჯებს იხდის ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელმაც ის დანიშნა. ასამბლევას შეუძლია ფინანსური დახმარება სთხოვოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (შემდგომში „ისმო“), რათა ხელი შეუწყოს ასამბლეის მუშაობაში ხელშეკრულების დამდები იმ მხარების მონაწილეობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად განვითარებად ქვეყნებად განიხილებიან ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არიან.

(2) (ა) ასამბლეა განიხილავს ამ ხელშეკრულების დაცვას, განვითარებას, გამოყენებასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ბ) ასამბლეა ახორციელებს მასზე 17 (2) მუხლით დაკისრებულ ფუნქციას ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად დაუშვას ზოგიერთი სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია.

(გ) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ამ ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე და ისმო-ს გენერალურ დირექტორს აძლევს აუცილებელ მითითებებს ამგვარი დიპლომატიური კონფერენციის მოსამზადებლად.

(3) (ა) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს, ერთი ხმა აქვს და ხმას მხოლოდ თავისი სახელით აძლევს.

(ბ) ამ ხელშეკრულების დამდებ ყოველ მხარეს, რომელიც სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ნაცვლად. ხმების რაოდენობა ემთხვევა ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობას, რომლებიც ამ ხელშეკრულების დამდები მხარეებია. ასეთი სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებიდან ნებისმიერი იყენებს თავის ხმის უფლებას და პირიქით.

(4) ასამბლეა მორიგ სესიებზე იკრიბება ორ წელინადში ერთხელ. სესიებს იწვევს ისმო-ს გენერალური დირექტორი.

(5) ასამბლეა იღებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის რიგგარეშე სესიების მოწვევის, კვორუმის მოთხოვნებისა და, ამ ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი უმრავლესობის თაობაზე.

მუხლი 16. საერთაშორისო ბიურო

ამ ხელშეკრულების შესაბამისად ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს.

მუხლი 17. ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება

(1) ისმო-ს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(2) ასამბლეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერი იმ სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციის დაშვების თაობაზე, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს თავისი, ამგვარი ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის სავალდებულო ნორმატიული ბაზა ამ ხელშეკრულებით დარეგულირებულ საკითხებზე და თავისი შინაგანი პროცედურების

შესაბამისად სათანადოდ უფლებამოსილია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

(3) ევროპის გაერთიანებას, რომელმაც წინა პუნქტში ნახსენები განცხადება ამ ხელშეკრულების მიმღებ დიპლომატიურ კონფერენციაზე გააკეთა, შეუძლია გახდეს ამ ხელშეკრულების მონაწილე.

მუხლი 18. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები

თუ ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სხვა სპეციალურ დებულებებს, ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარე სარგებლობს ყველა უფლებით და თავის თავზე იღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

მუხლი 19. ხელშეკრულების ხელმოწერა

ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანებისათვის ეს ხელშეკრულება ხელმოწერისათვის ღიაა 1997 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 20. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 30 სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების შესანახად ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 21. ხელშეკრულებაში მონაწილეობის დანყების თარიღი

ეს ხელშეკრულება სავალდებულო ხდება:

(i) 20-ე მუხლში ნახსენები 30 სახელმწიფოსათვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან;

(ii) ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის ამ სახელმწიფოს მიერ ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის თავისი დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ;

(iii) ევროპის გაერთიანებისათვის სარატიფიკაციო ან ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღიდან სამი თვის შემდეგ, თუ ეს დოკუმენტი შესანახად ჩაბარდა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;

(iv) ნებისმიერი სხვა სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც დაშვებულია ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად,

ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან სა-
მი თვის შემდეგ.



მუხლი 22. ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანის დაუშვებლობა

ამ ხელშეკრულებაში რაიმე შესწორებების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 23. ხელშეკრულების დენონსაცია

ამ ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსაცია ისმო-ს გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით. ნებისმიერი დენონსაცია ძალაში შედის ისმო-ს გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 24. ხელშეკრულების ენები

(1) ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხდება ერთ ეგზემპლარად რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე. ამასთან, ამ ენებზე შესრულებული ყველა ტექსტი აუთენტიურია.

(2) ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა (1) პუნქტში ნახსენები ენებისა, დაინტერესებული მხარის თხოვნით და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ ამტკიცებს ისმო-ს გენერალური დირექტორი. ამ პუნქტში ნახსენები „დაინტერესებული მხარე“ შეიძლება იყოს ისმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომლის ოფიციალური ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია, აგრეთვე ევროპის გაერთიანება და ნებისმიერი სხვა სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ამ ხელშეკრულების მონაწილე გახდეს, თუ მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა თხოვნის საგანია.

მუხლი 25. დეპოზიტარი

ამ ხელშეკრულების დეპოზიტარია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

ფლორენციის შეთანხმება საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ*

პრეამბულა

ხელშემკვრელი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ იდეებისა და ცოდნის თავისუფალი ურთიერთგაცვლა და, ზოგადად, ცივილიზებული სამყაროს მიერ მიღებული თვითგამოხატვის სხვადასხვაგვარი ფორმების შეძლებისდაგვარად ფართო გავრცელება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ინტელექტუალური პროცესისათვის, ასევე საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და, საბოლოოდ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის;

ითვალისწინებენ რა, რომ მსგავსი ურთიერთგაცვლა მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, წიგნების, პუბლიკაციებისა და საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მასალების საშუალებით;

ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის კონსტიტუცია თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს სახელმწიფოებს ინტელექტუალური საქმიანობის ყველა სფეროში „პუბლიკაციების, სამეცნიერო და მხატვრული შემოქმედების ობიექტებისა და ინფორმაციის სხვა მასალების ურთიერთგაცვლის“ ჩათვლით და ასევე ითვალისწინებს, რომ ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთგაცნობის განვითარების საქმეში მასობრივი კომუნიკაციის ყველა საშუალების გამოყენებით და ამ მიზნის მისაღწევად რეკომენდაცია გაუწიოს იდეების თავისუფალი დინებისათვის ხელშესაწყობად აუცილებელ საერთაშორისო შეთანხმებებს;

აღიარებენ, რომ ამ მიზნების ეფექტურად განხორციელებას ხელს შეუწყობს საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც გააადვილებს წიგნების, პუბლიკაციებისა და საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მასალების თავისუფალ დენას.

შეთანხმდნენ შემდეგ პუნქტებზე :

* საქართველო ჯერჯერობით არ არის ამ შეთანხმების წევრი.

მუხლი I

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, არ დაანესონ ბაჟი ან სხვა მოსაკრებლები შემდეგი საქონლის იმპორტზე ან იმპორტთან დაკავშირებით;

(a) ნიგნები, პუბლიკაციები და დოკუმენტები, ჩამოთვლილი შეთანხმების დანართში A;

(b) საგანმანათლებლო, მეცნიერული და კულტურული მასალები, ჩამოთვლილი შეთანხმებების დანართებში B, C, D და E;

რომლებიც წარმოადგენენ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოების პროდუქციას და ექვემდებარებიან დანართებში დადგენილ პირობებს.

2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტის დებულებებმა ხელი არ უნდა შეუშალოს ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, დაბეგროს იმპორტირებული მასალები:

(a) იმპორტირებისას ან შემდგომ დაწესებული შიდა გადასახადებით ან ნებისმიერი სახის სხვა შიდა მოსაკრებლებით, რომლებიც არ აღემატება მსგავს შიდა პროდუქციებზე პირდაპირ ან ირიბად დადგენილ გადასახადებს და მოსაკრებლებსა;

(b) ბაჟის გარდა, სახელმწიფო ორგანოების მიერ იმპორტზე ან იმპორტთან დაკავშირებით დაწესებული საკომისიოებით და მოსაკრებლებით, რომლებიც არ აღემატება განეული მომსახურების დაახლოებით ღირებულებას და არ წარმოადგენს არც შიდა პროდუქციების ირიბ დაცვას, არც იმპორტის დაბეგვრას საშემოსავლო მიზნებისათვის.

მუხლი II

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას გასცენ საჭირო ლიცენზიები და/ან უცხოური ვალუტა შემდეგი საქონლის იმპორტისათვის;

(a) ნიგნები და პუბლიკაციები, რომლებიც განკუთვნილია საჯარო ბიბლიოთეკებისა და კოლექციებისათვის და საჯარო, საგანმანათლებლო, კვლევითი ან კულტურული ინსტიტუტების ბიბლიოთეკებისა და კოლექციებისათვის;

(b) ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები, კერძოდ, ოფიციალური, საპარლამენტო და ადმინისტრაციული დოკუმენტები, რომლებიც გამოცემულია მათი წარმოშობის ქვეყანაში;

(c) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული დაწესებულებების ნიგნები და პუბლიკაციები;

(d) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ ან მისი ზედამხედველობით მიღებული და უფასოდ გავრცელებული ნიგნები და პუბლიკაციები;



(e) პუბლიკაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ტურისტული მოგზაურობის ხელშეწყობას იმპორტის ქვეყნის საზღვრებს გარეთ და იგზავნება და ვრცელდება უფასოდ;

(f) ბრმათათვის განკუთვნილი საქონელი:

(i) ყველა სახის ნიგნები, პუბლიკაციები და დოკუმენტები რელიეფური ანბანით ბრმათათვის;

(ii) ბრმათა საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული განვითარებისათვის სპეციალურად განკუთვნილი სხვა საქონელი, რომლებიც პირდაპირაა იმპორტირებული იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ბრმათა კეთილდღეობაზე მზრუნველი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მიერ.

2. ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომლებიც ნებისმიერ დროს იყენებენ რაოდენობრივ შეზღუდვებს და სავალუტო კონტროლის ღონისძიებებს, იღებენ ვალდებულებას შესაძლებლობის ფარგლებში გასცენ სხვა საგანმანათლებლო, მეცნიერული ან კულტურული მასალების, განსაკუთრებით კი, შეთანხმების დანართებში მითითებული მასალების იმპორტირებისათვის საჭირო უცხოური ვალუტა და ლიცენზიები.

მუხლი III

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შეძლებისდაგვარად ხელსაყრელი პირობები შექმნან იმ საგანმანათლებლო, მეცნიერული ან კულტურული მასალების იმპორტისათვის, რომლებიც სპეციალურადაა იმპორტირებული იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ სანქციონირებულ საჯარო გამოფენებზე ჩვენებისა და შემდგომი რეექსპორტისათვის. ხელსაყრელი პირობები უნდა მოიცავდეს საჭირო ლიცენზიების გაცემას და ბაჟის და იმპორტირებაზე გადასახდელი შიდა გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლებას, გარდა საკომისიოებისა და მოსაკრებლებისა, რომლებიც განუვლი მომსახურების დაახლოებით ღირებულებას შეესაბამება.

3. ამ მუხლში არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი იმპორტირებული ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს მიიღონ საჭირო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული მასალები მათი გამოფენის დახურვის შემდეგ რეექსპორტირებულ იქნეს.

მუხლი IV

ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ ისინი შემდეგ აღიზიანდებიან:

(a) გააგრძელებენ ჩვეულებრივ მცდელობას, რათა ყველა საშუალებით ხელი შეუწყონ საგანმანათლებლო, მეცნიერული ან კულტურული მასალების თავისუფალ გავრცელებას და შეამცირონ ან გააუქმონ თავისუფალი გავრცელების ნებისმიერი შეზღუდვები, რომლებიც შეთანხმებაში მითითებული არ არის;

(b) გაამარტივებენ საგანმანათლებლო, მეცნიერული ან კულტურული მასალების იმპორტის მარეგულირებელ ადმინისტრაციულ პროცედურებს;

(c) ხელს შეუწყობენ საგანმანათლებლო, მეცნიერული ან კულტურული მასალების სწრაფ და უსაფრთხო საბაჟო ანგარიშსწორებას.

მუხლი V

ამ შეთანხმებაში არაფერი არ უნდა ლახავდეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების უფლებას, მიიღონ მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები იმპორტის ან იმპორტის შემდგომი გავრცელების ასაკრძალად ან შესაზღუდად, იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ეროვნულ უშიშროებასთან, საზოგადოებრივ ნესრიგთან ან საზოგადოებრივ მორალთან.

მუხლი VI

ეს შეთანხმება სახეს არ უნდა უცვლიდეს ან ლახავდეს არც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონებსა და ნორმებს ან მის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონვენციებს, შეთანხმებებს ან დეკლარაციებს საავტორო უფლებასთან, სავაჭრო ნიშნებთან ან პატენტებთან დაკავშირებით.

მუხლი VII

წინა კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომლებსაც შეიძლება ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეუერთდნენ დავების მშვიდობიანი მონესრიგების მიზნით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას მიმართონ მოლაპარაკებას ან გარიგებას ამ შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავების მოსაწესრიგებლად.

მუხლი VIII

ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის დავის შემთხვევაში, რომელიც იმპორტირებული მასალების საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურულ ხასიათს ეხება, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, ჩვეულებრივი ხელშეკრულებით გადასცენ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს საკონსულტაციო მოსაზრებისათვის.

მუხლი IX

1. ეს შეთანხმება, რომლის ინგლისური და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, დათარიღებული უნდა იყოს დღევანდელი დღით და ღია უნდა დარჩეს ხელმოსანერად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის ყველა ნევრი სახელმწიფოსათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ნევრისა და ნებისმიერი არანევრი სახელმწიფოსათვის, რომელსაც მიიწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭო.
2. შეთანხმება რატიფიცირებული უნდა იქნეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების სახელით მათი სათანადო კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად.
3. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი X

სახელმწიფოებს, რომლებიც მითითებულნი არიან IX მუხლის 1-ელ პუნქტში, შეუძლიათ მიიღონ ეს შეთანხმება 1950 წლის 22 ნოემბრიდან. მიღება ძალაში შევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ოფიციალური სიგელის დეპონირების შემდეგ.

მუხლი XI

ეს შეთანხმება ძალაში შევა იმ დღეს, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი 10 სახელმწიფოსაგან მიიღებს სარატიფიკაციო სიგელს ან მიღების შესახებ დოკუმენტს.

მუხლი XII

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ექვსი თვის ვადაში იღებენ მისი სრული ეფექტური ამოქმედებისათვის საჭირო ზომებს.
2. სახელმწიფოები, რომლებიც შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ მოახდენენ სარატიფიკაციო სიგელების ან მიღების შესახებ დოკუმენტების დეპონირებას, ამ ზომებს იღებენ დოკუმენტების შესანახად ჩაბარების დღიდან სამი თვის ვადაში.
3. ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებული ვადების გასვლის შემდეგ, ხელშემკვრელი სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაში წარადგენენ მოხსენებებს იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს შეთანხმების სრული ეფექტური ამოქმედებისათვის.
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია ამ მოხსენებას უგზავნის ამ შეთანხმების ხელმომწერ ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციას (დროებით, მის დროებით კომისიას).

მუხლი XIII

ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის ან მიღების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემისას, ან ნებისმიერ დროს ამის შემდეგ შეუძლია განაცხადოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით იმის თაობაზე, რომ ამ შეთანხმების მოქმედება გავრცელდება ყველა ან ნებისმიერ იმ ტერიტორიაზე, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც ხელშემკვრელი სახელმწიფოა პასუხისმგებელი.

მუხლი XIV

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ორი წლის შემდეგ, ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია, თავისი საკუთარი ან ნებისმიერი იმ ტერიტორიების სახელით, რომელთა საგარეო ურთიერთობებზეც ეს ხელშემკვრელი სახელმწიფოა პასუხისმგებელი, მოახდინოს ამ შეთანხმების დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან წერილობითი დოკუმენტის დეპონირების გზით.
2. დენონსირება ძალაში შევა დენონსირების შესახებ დოკუმენტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი XV

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს IX მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ სახელმწიფოებს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციას (დროებით, მის დროებით კომისიას) IX და X მუხლებში გათვალისწინებული სარატიფიკაციო სიგელებისა და მიღების შესახებ დოკუმენტების, ასევე იმ შეტყობინებებისა და დენონსირების შესახებ დოკუმენტების დეპონირების შესახებ, რომლებიც შესაბამისად გათვალისწინებულია XIII და XIV მუხლებში.

მუხლი XVI

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ხელშემკვრელი სახელმწიფოების ერთი მესამედის თხოვნით ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მომდევნო სესიის დღის წესრიგში აყენებს საკითხს ამ შეთანხმების გადასასინჯად სხდომის მონვევის თაობაზე.

მუხლი XVII

დანართები A, B, C, D და E, ისევე, როგორც ამ შეთანხმებაზე დართული პროტოკოლი, ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

მუხლი XVIII

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად ამ შეთანხმებას რეგისტრაციაში ატარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მისი ძალაში შესვლის დღეს.
2. რის დასადასტურებლადაც სათანადოდ რწმუნებულმა ქვემოთ ხელმოწერებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას თავიანთი მთავრობების სახელით.

შესრულებულია ლოქ საქსესში (Lake Success) ნიუ-იორკში, ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის ოცდაორ ნოემბერს ერთ ეგზემპლარად, რომელიც შეინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში და მისი დამონაწერი ასლები გადაეცემა IX მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ ყველა სახელმწიფოს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციას (დროებით, მის დროებით კომისიას).

დანართები

დანართი A

ნიგნები, პუბლიკაციები და დოკუმენტები:

(i) ნაბეჭდი ნიგნები.

(ii) გაზეთები და ჟურნალები.

(iii) ნიგნები და დოკუმენტები, დამზადებული ბეჭდვისგან განსხვავებული გამრავლების მეთოდით.

(iv) ოფიციალური სახელმწიფო პუბლიკაციები, კერძოდ, ოფიციალური, საპარლამენტის და ადმინისტრაციული დოკუმენტები, რომლებიც გამოცემულია მათი წარმოშობის ქვეყანაში.

(v) პლაკატები და ლიტერატურა მოგზაურობის შესახებ (ბროშურები, მეგზურები, განრიგები, პროსპექტები და მსგავსი პუბლიკაციები) ილუსტრირებული ან მის გარეშე, კერძო კომერციული ფირმების მიერ დაბეჭდილი პუბლიკაციების ჩათვლით, რომელთა მიზანია მოგზაურობის სტიმულირება იმპორტის ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

(vi) პუბლიკაციები, რომელთა მიზანია იმპორტის ქვეყნის საზღვრებს გარეთ სწავლის სტიმულირება.

(vii) ხელნაწერები, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტების ჩათვლით;

(viii) იმპორტის ქვეყნის საზღვრებს გარეთ დაფუძნებული გამოცემლობებისა და ნიგნით მოვაჭრეების მიერ გასაყიდად შემოთავაზებული ნიგნებისა და პუბლიკაციების კატალოგები.

(ix) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სახელით ან მისი ნებისმიერი სპეციალიზებული დაწესებულების მიერ გამოცემული საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ფილმების, ჩანაწერების ან სხვა ვიზუალური და აუდიო მასალების კატალოგები.

(x) მუსიკალური ნაწარმოებები ხელნაწერი ან ნაბეჭდი ფორმით, ან რეპროდუცირებული ბეჭდვისგან განსხვავებული გამრავლების მეთოდით.

(xi) გეოგრაფიული, ჰიდროგრაფიული ან ასტრონომიული რუკები და დიაგრამები.



(xii) არქიტექტურული, სამრეწველო ან საინჟინრო გეგმები და ნახატი ნიმუშები და მათი რეპროდუქციები, რომლებიც განკუთვნილია სწავლისთვის იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებში.

დანართში A გათვალისწინებული გამონაკლისები არ ეხება:

- (a) საკანცელარიო ნივთებს;
- (b) წიგნებს, პლაკატებსა და დოკუმენტებს (ზევით აღნიშნული კატალოგების, მოგზაურობის შესახებ პლაკატებისა და ლიტერატურის გარდა), რომლებიც დაბეჭდილია კერძო კომერციული ფირმისათვის ან მის მიერ, განსაკუთრებით სარეკლამო მიზნებისათვის;
- (c) გაზეთებს და ჟურნალებს, რომლებშიც რეკლამა ფართობის 70%-ზე მეტია;

(d) ყველა დანარჩენ პუბლიკაციებს (ზემოთ აღნიშნული კატალოგების გარდა), რომლებშიც რეკლამა ფართობის 25%-ზე მეტია. მოგზაურობის შესახებ პლაკატებსა და ლიტერატურასთან მიმართებაში ეს პროცენტული მაჩვენებელი ეხება მხოლოდ კერძო კომერციულ რეკლამას.

დანართი B

საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ხელოვნების ნაწარმოებები და კოლექციონერთა კოლექციის ნიმუშები:

(j) ნახატები და ჩანახატები, მთლიანად ხელით შესრულებული ასლების ჩათვლით, ფაბრიკული ნაწარმოების დეკორაციული ნაკეთობების გარდა.

(ii) ხელით ნაბეჭდი გამოცემები, დამზადებული ხელით გრავირებული ან ხელით შეკრული ბლოკების, ფირფიტებისა და სხვა მასალისაგან, რომლებიც ხელმონერილია და გადანომრილია ავტორის მიერ.

(iii) ორიგინალური სკულპტურული ხელოვნების ნაწარმოებები ან სკულპტურა, მრგვალი, რელიეფური ან ამოკვეთილი, მასობრივად წარმოებული რეპროდუქციებისა და კომერციული ხასიათის სტანდარტული ნამუშევრების გარდა.

(iv) კოლექციონერთა კოლექციის ნიმუშები და ხელოვნების საგნები, რომლებიც განკუთვნილია იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი საჯარო გალერეებისათვის, მუზეუმებისა და სხვა საჯარო ინსტიტუტებისათვის და არ არის გამიზნული გადაყიდვისათვის.

(V) კოლექციები და კოლექციონერთა კოლექციის ნიმუშები, მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორცაა ანატომია, ზოოლოგია, ბოტანიკა, მინეროლოგია, პალეონტოლოგია, არქეოლოგია და ეთნოგრაფია და რომლებიც არ არის გამიზნული გადაყიდვისათვის.

(VI) ას ნელზე მეტი ხნის ანტიკვარული ნივთები.

დანართი C

საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ვიზუალური და მოსასმენი მასალები.

(i) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის კინოფილმები, დიაფილმები, მიკროფილმები და სლაიდები, როდესაც ისინი იმპორტირებულია იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ (იმპორტიორი ქვეყნის შეხედულებისამებრ, რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების ჩათვლით) მხოლოდ გამოფენის მიზნით, რომელსაც აწყობენ ეს ორგანიზაციები ან ზემოაღნიშნული ხელისუფლების ორგანოების მიერ უფლებამოსილი საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ინსტიტუტები ან საზოგადოებები.

(ii) კინოქრონიკები (ხმოვანი ბილიკით ან მის გარეშე), რომლებიც იმპორტირების დროისათვის მიმდინარე მოვლენებს ასახავს და იმპორტირებულია ან ნეგატივის ფორმით – ექსპოზირებული და გამჟღავნებული სახით ან პოზიტივის ფორმით – ალბექტილი და გამჟღავნებული სახით, იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი ფილმების უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ (იმპორტიორი ქვეყნის შეხედულებისამებრ, რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების ჩათვლით), იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი შემოტანა შეიძლება შეიზღუდოს თითო ერთეულის ორი ასლით გამრავლების მიზნისათვის.

(iii) საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ან კულტურული ხასიათის ხმოვანი ჩანაწერები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურულ ინსტიტუტებსა ან საზოგადოებებში სარგებლობისათვის (იმპორტიორი ქვეყნის შეხედულებებისამებრ, რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციების ჩათვლით).

(iv) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის კინოფილმები, დიაფილმები, მიკროფილმები და ხმოვანი ჩანაწერები, რომელთა

წარმოებაც დაფინანსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი რომელიმე სპეციალიზებული დაწესებულების მიერ.

(v) ნიმუშები, მოდელები და კედლის დიაგრამები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ ჩვენების ან სწავლების მიზნით სარგებლობისათვის იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილ საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურულ ინსტიტუტებში.

დანართი D

სამეცნიერო ხელსაწყოები ან აპარატები

სამეცნიერო ხელსაწყოები ან აპარატები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან წმინდა მეცნიერული კვლევისათვის იმ პირობით, რომ

(ა) ამგვარი სამეცნიერო ხელსაწყოები ან აპარატები განკუთვნილია იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი ნივთების უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი საჯარო ან კერძო სამეცნიერო ან საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის და მათი გამოყენება ხდება ამ ინსტიტუტების კონტროლისა და პასუხისმგებლობის ქვეშ;

(ბ) ეკვივალენტური სამეცნიერო ღირებულების ხელსაწყოები ან აპარატები არ იწარმოება იმპორტის ქვეყანაში.

დანართი E

ბრმათათვის განკუთვნილი საქონელი

(i) ყველა სახის წიგნები, პუბლიკაციები და დოკუმენტები რელიეფური ანბანით, რომლებიც განკუთვნილია ბრმათათვის.

(ii) ბრმათა საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული განვითარებისათვის სპეციალურად განკუთვნილი სხვა საქონელი, რომლებიც პირდაპირაა იმპორტირებული იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ბრმათა კეთილდღეობაზე მზრუნველი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მიერ.

საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული მასალების იმპორტის შესახებ შეთანხმებაზე დართული პროტოკოლი

ხელშემკვერელი სახელმწიფოები

საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული მასალების იმპორტის შესახებ შეთანხმებაში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის ხელის შეწყობის მიზნით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა ჰქონდეს დისკრეციული უფლება მოახდინოს ამ შეთანხმების რატიფიკაცია IX მუხლის შესაბამისად ან მიიღოს ის X მუხლის შესაბამისად, ქვემოთ დართული დათქმის ჩათვლით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები გახდება ამ შეთანხმების მონაწილე და გააკეთებს ხელ პუნქტში გათვალისწინებულ დათქმას, ამ დათქმის დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან მიმართებაში, ან ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებაში, იმ პირობით, რომ ამგვარი დათქმის შესაბამისად მიღებული ზომები გამოყენებული იქნება ან არადისკრიმინაციულ საფუძველზე.

(დათქმის ტექსტი)

(a) თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შედეგად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ შეთანხმებით გათვალისწინებული რომელიმე საქონელი იმპორტირებულია იმდენად დიდი რაოდენობითა და ისეთი პირობებით, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს ან სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის შიდა მრეწველობას, შექმნას მსგავსი ან კონკურენტუნარიანი პროდუქცია ამ ტერიტორიაზე, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ ზედა მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, მსგავსი ზიანის თავიდან ასაცილებლად ან გამოსასწორებლად საჭირო მოცულობითა და დროით, მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩერონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულება მსგავს საქონელთან მიმართებაში.

(b) ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო წინა (a) პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღებამდე წინასწარ წერილობით აცხობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას და შესაძლებლობას აძლევს ამ ორგანიზაციასა და ამ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებს, კონსულტაცია გამართონ მასთან შეთავაზებული ზომების თაობაზე.

(c) კრიტიკულ გარემოებებში, როდესაც გადადებამ შეიძლება გამოიწვიოს ძნელად ასანაზღაურებელი ზიანი, შესაძლებელია (a) პუნქტით გათვალისწინებული ზომების დროებით მიღება წინასწარი კონსულტაციის გარეშე, იმ პირობით რომ მსგავსი ზომების მიღების შემდეგ კონსულტაცია დაუყოვნებლივ ჩატარდება.

საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ შეთანხმების პროტოკოლი*

მიღებულია იუნესკოს გენერალური კონფერენციის
მიერ ნაირობში 1976 წელს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ ფლორენციაში 1950 წელს ჩატარებულ მეხუთე სესიაზე მიღებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების იმპორტის შესახებ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები,

ადასტურებენ რა პრინციპებს, რომლებზედაც დაფუძნებულია ფლორენციის შეთანხმება, შემდგომში „შეთანხმება“,

ითვალისწინებენ რა, რომ ეს შეთანხმება ეფექტური საშუალება აღმოჩნდა საბაჟო ბარიერების შესუსტებისა და სხვა ეკონომიკური შეზღუდვების შესამცირებლად, რაც ხელს უშლის იდეებისა და ცოდნის გაცვლას,

ითვალისწინებენ რა, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების მიღებიდან მეოთხედ საუკუნეში ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა ინფორმაციის გადაცემის გზები და საშუალებები, რაც წარმოადგენს კიდევ ამ შეთანხმების ძირითად მიზანს,

ითვალისწინებენ რა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ამ პერიოდის განმავლობაში მომხდარმა მოვლენებმა ძირითადად ასახვა ჰპოვა გაცვლის უფრო მეტ თავისუფლებაში,

ითვალისწინებენ რა, რომ შეთანხმების მიღების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებრიობის განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა საერთაშორისო სიტუაცია, კერძოდ, მრავალი სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების გზით,

ითვალისწინებენ რა, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განვითარებადი ქვეყნების საჭიროებანი და ინტერესები, რათა მათ უფრო იოლად და ნაკლები ხარჯით მიუწვდებოდეთ ხელი განათლებაზე, მეცნიერებაზე, ტექნოლოგიასა და კულტურაზე,

* საქართველო ჯერჯერობით არ არის ამ პროტოკოლის წევრი.

აუქმებენ რა იუნესკოს გენერალური კონფერენციის მიერ 1970 წელს მიღებული კონვენციის დებულებებს კულტურული საკუთრების უკანონო იმპორტის, ექსპორტისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ, და გენერალური კონფერენციის მიერ 1972 წელს მიღებული კონვენციის დებულებებს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ,

აუქმებენ რა, გარდა ამისა, საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს ეგიდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციასთან კონსულტაციით დადებულ საბაჟო კონვენციებს, რომლებიც საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების დროებით იმპორტს ეხება,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ მიღწეული იქნება ახალი შეთანხმებები და რომ ამგვარი შეთანხმებები უფრო ეფექტურად შეუწყობს ხელს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, რაც ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

აუქმებენ რა იუნესკოს გენერალური კონფერენციის მიერ თავის მეთვრამეტე სესიაზე მიღებულ რეზოლუციას 4.112,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

I

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ მასალებზე, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე პროტოკოლის A, B, D და E დანართებში, და აგრეთვე, თუ შესაბამისი დანართები ქვემოთ მოცემული 16.(ა) პუნქტის მიხედვით გაკეთებული განცხადების საგანს არ წარმოადგენენ, პროტოკოლის C.1, F, G და H დანართებში, გაავრცელონ მათ იმპორტირებასთან დაკავშირებული ბაჟისა და სხვა მოსაკრებლები-საგან გათავისუფლება, როგორც ეს შეთანხმების I მუხლის 1-ელ პუნქტშია ჩამოყალიბებული, იმ პირობით, რომ ეს მასალები აკმაყოფილებენ ამ დანართებში მოცემულ პირობებს და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს პროდუქციას წარმოადგენენ.

2. ამ პროტოკოლის 1-ელი პუნქტის დებულებებმა ხელი არ უნდა შეუშალოს რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოს, დაბეგროს იმპორტირებული მასალები:

(a) იმპორტირების დროს ან შემდეგ დაწესებული შიდა გადასახადებით ან ნებისმიერი სახის სხვა შიდა მოსაკრებლებით, რომლებიც არ აღემატება მსგავს შიდა პროდუქციაზე პირდაპირ ან ირიბად დადგენილ გადასახადებსა და მოსაკრებლებს;

(b) სახელმწიფო ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ იმპორტზე ან იმპორტთან დაკავშირებით დაწესებული საკომისიოების და- მოსაკრებლებით, რომლებიც არ აღემატება განუვლი მომსახურების და- ახლოებით ღირებულებას და არ წარმოადგენს არც შიდა პროდუქციის ირიბ დაცვას, არც იმპორტის დაბეგვრას საშემოსავლო მიზნებისათვის.

II

3. მიუხედავად ამ პროტოკოლის 2.(ა) პუნქტისა, ხელშემკვერელი სახელ- მწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, არ დაბეგრონ ქვემოთ ჩამოთ- ვლილი მასალები იმპორტირების დროს ან იმპორტის შემდეგ დაწესებუ- ლი ნებისმიერი სახის შიდა გადასახადებით ან სხვა შიდა მოსაკრებლებით:

(a) წიგნები და პუბლიკაციები, რომლებიც განკუთვნილია ამ პროტო- კოლის მე-5 პუნქტში მითითებული ბიბლიოთეკებისათვის;

(b) ოფიციალური, საპარლამენტო და ადმინისტრაციული დოკუმენ- ტები, რომლებიც გამოცემულია მათი წარმოშობის ქვეყანაში;

(c) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი რომელიმე სპეცი- ალზებული დაწესებულების წიგნები და პუბლიკაციები;

(d) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებო- სა და კულტურის ორგანიზაციის მიერ ან მისი ზედამხედველობით მიღე- ბული და უფასოდ გავრცელებული წიგნები და პუბლიკაციები;

(e) პუბლიკაციები, რომლებიც განკუთვნილია ტურისტული მოგზაუ- რობის ხელშესაწყობად იმპორტის ქვეყნის საზღვრებს გარეთ, და იგზავ- ნება და ვრცელდება უფასოდ;

(f) ბრმათა და სხვა ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე პირ- თათვის განკუთვნილი საქონელი:

(i) ყველა სახის წიგნები, პუბლიკაციები და დოკუმენტები რელიეფური ანბანით ბრმათათვის;

(ii) ბრმათა და სხვა ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე პირთა საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული განვითარებისათვის სპეციალურად განკუთვნილი სხვა საქონელი, რომელიც პირდაპირაა იმპორტირებული იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ბრმა- თა და სხვა ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე პირთა განათლე- ბაზე ან დახმარებაზე მზრუნველი ინსტიტუტების და ორგანიზაციე- ბის მიერ.

III

4. ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას არ დაბეგრონ ამ პროტოკოლის დანართებში მითითებული საქონელი და მასალები ნებისმიერი საბაჟო გადასახადით, ექსპორტის ბაჟით ან ბაჟით, რომლითაც დაბეგრილია ქვეყნიდან გამავალი საქონელი, ან ნებისმიერი სხვა სახის შიდა გადასახადებით, რომლითაც დაბეგრილია ასეთი საქონელი და მასალები მაშინ, როდესაც ისინი განკუთვნილია სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ექსპორტისათვის.

IV

5. ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას შეთანხმების II მუხლის 1-ელ პუნქტში გათვალისწინებული აუცილებელი ლიცენზიების და/ან უცხოური ვალუტის გაცემა გააერცვლონ შემდეგი მასალების იმპორტზე:

(a) ნიგნები და პუბლიკაციები, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ფუნქციონირებადი ბიბლიოთეკებისათვის და მოიცავს შემდეგს:

(i) ეროვნული ბიბლიოთეკები და სხვა მთავარი სამეცნიერო-კვლევითი ბიბლიოთეკები;

(ii) ზოგადი ან სპეციალიზებული აკადემიური ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტის, კოლეჯის, ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის დაუსწრებელი ან საღამოს სწავლებისათვის განკუთვნილი ბიბლიოთეკების ჩათვლით;

(iii) საჯარო ბიბლიოთეკები;

(iv) სკოლის ბიბლიოთეკები;

(v) სპეციალური ბიბლიოთეკები, რომლებიც ემსახურება მკითხველთა ჯგუფს, რომელნიც ქმნიან კონკრეტული და განსაზღვრული ინტერესის მქონე ერთობას, როგორცაა სამთავრობო, საჯარო ხელისუფლების, დარგობრივი და პროფესიული ასოციაციების ბიბლიოთეკები.

(vi) ბიბლიოთეკები, განკუთვნილი ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე პირთა და მკითხველთა იმ კატეგორიისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ გადაადგილება, როგორცაა ბრმათა, საავადმყოფოებისა და ციხის ბიბლიოთეკები;

(vii) მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოთეკები, ჩანაწერთა ბიბლიოთეკების ჩათვლით;



(b) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმძღვანელო კურსებზე და მდიდრული ან რეკომენდებული წიგნები, რომლებიც იმპორტირებულია ამგვარი დაწესებულების მიერ;

(c) წიგნები უცხო ენაზე, იმპორტიორი ქვეყნის მთავარ მშობლიურ ენაზე ან ენებზე შესრულებული წიგნების გარდა;

(d) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ფილმები, სლაიდები, ვიდეოფირები და ხმოვანი ჩანაწერები, რომლებიც იმპორტირებულია იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ორგანიზაციების მიერ.

V

6. ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას შეთანხმების III მუხლში გათვალისწინებული შეღავათების მინიჭება გაავრცელონ მასალებსა და მოწყობილობებზე, რომლებიც სპეციალურადაა იმპორტირებული იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ნებადართულ საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ნივთების საჯარო გამოფენაზე ჩვენებისა და შემდგომი რეექსპორტისათვის.

7. არაფერი წინამდებარე პუნქტში ხელს არ უნდა უშლიდეს იმპორტიორი ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებს მიიღონ საჭირო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული მასალები და მოწყობილობა გამოფენის დახურვის შემდეგ ნამდვილად რეექსპორტირებული იქნება.

VI

8. ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას:

(a) შეთანხმების IV მუხლის დებულებები გაავრცელონ იმ საქონლის იმპორტზე, რომელიც წინამდებარე პროტოკოლითაა გათვალისწინებული;

(b) სათანადო ზომების მიღების მეშვეობით წაახალისონ განვითარებად ქვეყნებში წარმოებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ნივთებისა და მასალების თავისუფალი დენა და გავრცელება.

VII

9. არაფერი ამ პროტოკოლში არ უნდა ლახავდეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების უფლებას, მიიღონ მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები საქონლის იმპორტის ან იმპორტირების შემდეგ მიმოქცევის ასაკრძალად ან შესაზღუდად, იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომელ-

ბიც პირდაპირაა დაკავშირებული ეროვნულ უშიშროებასთან, საზოგადოებრივ წესრიგთან ან საზოგადოებრივ მორალთან.

10. მიუხედავად ამ პროტოკოლის სხვა დებულებებისა, განვითარებად ქვეყანას, რომელიც დახასიათებულია ასეთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკით და რომელიც დადგენილი პროტოკოლის მონაწილეა, შეუძლია დროებით შეაჩეროს ან შეზღუდოს პროტოკოლით ნაკისრი ვალდებულებები ნებისმიერი ნივთის ან მასალის იმპორტირებასთან დაკავშირებით, თუ ამგვარი იმპორტი სერიოზულ ზიანს აყენებს ან სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის ფორმირების პროცესში მყოფ ადგილობრივ მრეწველობას ამ განვითარებად ქვეყანაში. დაინტერესებული ქვეყანა მსგავს მოქმედებას არადისკრიმინაციული სახით ახორციელებს. ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს ატყობინებს მსგავსი მოქმედების შესახებ მის განხორციელებამდე შეძლებისდაგვარად ადრე, რის შედეგადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ატყობინებს პროტოკოლის ყველა მონაწილეს.

11. წინამდებარე პროტოკოლი სახეს არ უნდა უცვლიდეს ან ლახავდეს რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონებსა და ნორმებს ან მის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონვენციებს, შეთანხმებებს ან დეკლარაციებს საავტორო უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან ან პატენტებთან დაკავშირებით.

12. წინა კონვენციების დებულებათა შესაბამისად, რომელთაც ისინი შეიძლება შეუერთდნენ დავების მონესრიგების მიზნით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას მიმართონ მოლაპარაკებას ან შერიგებას წინამდებარე პროტოკოლის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის მოსაგვარებლად.

13. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის დავის შემთხვევაში, რაც იმპორტირებული მასალების საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურულ ხასიათს ეხება, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ჩვეულებრივი შეთანხმებით გადასცენ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გენერალურ დირექტორს საკონსულტაციო მოსაზრებისთვის.

14.(a) ეს პროტოკოლი, რომლის ინგლისური და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, დათარიღებულია დღევანდელი დღით და ღიაა ხელმოსანერად შეთანხმების მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის, ისევე, როგორც საბაჟო და ეკონომიკური კავშირებისთვის, იმ პირობით, რომ ყველა წევრი სახელმწიფო, რომელიც ქმნის მათ, პროტოკოლის მონაწილეცაა.

ტერმინი „სახელმწიფო“ ან „ქვეყანა“, როგორც ეს წინამდებარე პროტოკოლში ან მე-18 პუნქტში მითითებულ პროტოკოლში გამოიყენება, კონტექსტის მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს საბაჟო და ეკონომიკური კავშირების მიმართ და ყველა საკითხში, რომელიც მათი კომპეტენციის ფარგლებში ექცევა წინამდებარე პროტოკოლის გამოყენების სფეროს გათვალისწინებით, წევრი სახელმწიფოების მთლიან ტერიტორიაზე, რომლებიც ქმნიან მათ, და არა ამ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის ტერიტორიაზე.

გაგებულ უნდა იქნეს, რომ ამ პროტოკოლის ხელშემკვრელ მხარედ გახდომისას ასეთი საბაჟო და ეკონომიკური კავშირები შეთანხმების დებულებებს გამოიყენებენ იგივე საფუძველზე, როგორც ეს წინა პუნქტშია მითითებული პროტოკოლთან დაკავშირებით.

(b) ეს პროტოკოლი ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას ხელმოწერი სახელმწიფოების მხრიდან მათი სათანადო კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

(c) სარატიფიკაციო სიგელები ან მიღების შესახებ დოკუმენტები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

15.(a) მე-14.(ა) პუნქტში მითითებულ სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ პროტოკოლის ხელმომწერ მხარეებს, შეუძლიათ შეუერთდნენ ამ პროტოკოლს.

(b) შეერთება ძალაში შუვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ოფიციალური დოკუმენტის დეპონირების შემდეგ.

16.(a) პროტოკოლის 14.(a) პუნქტში მითითებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების ან შეერთების დროს უარი განაცხადონ II და IV ნაწილების, C.1, F,G და H დანართების ან რომელიმე ამ ნაწილის ან დანართის სავალდებულობაზე. მათ შეუძლიათ ასევე განაცხადონ, რომ დანართი სავალდებულო იქნება მათთვის მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომელთაც თვითონ მიიღეს ეს დანართი.

(b) ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა მსგავსი განაცხადი, შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელშიც უსუსტადაა მითითებული მსგავსი გაუქმების ძალაში შესვლის თარიღი.

(c) სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ამ პუნქტის (a) ქვეპუნქტის შესაბამისად უარი განაცხადეს C.1 დანართის სავალდებულობაზე, აუცილებლად სავალდებულო იქნება დანართი C.2. მათთვის, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს დანართი C.1-ის სავალდებულობაზე მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან მიმართებაში, რომლებმაც თვითონ მიიღეს ეს დანართი, აუცილებლად სავალდებულო იქნება დანართი C.2 იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც არ მიუღიათ დანართი C.1.

17.(a) ეს პროტოკოლი ძალაში შევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან მეზუთე სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

(b) ყველა სხვა სახელმწიფოსათვის პროტოკოლი ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

(c) ამ პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტებში აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში, წინამდებარე პროტოკოლის ხელშემკვრელი სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაში წარადგენენ მოხსენებას პროტოკოლის ასამოქმედებლად მიღებული ზომების შესახებ.

(d) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია ამ მოხსენებას უგზავნის წინამდებარე პროტოკოლის წევრ ყველა სახელმწიფოს.

18. პროტოკოლი, რომელიც დართულია შეთანხმებაზე და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, როგორც ეს შეთანხმების XVII მუხლშია გათვალისწინებული, ამასთანავე წარმოადგენს ამ პროტოკოლის განუყოფელ ნაწილს და გამოიყენება ამ პროტოკოლით ნაკისრი ვალდებულებებისა და ამ პროტოკოლით გათვალისწინებული პროდუქციის მიმართ.

19.(a) წინამდებარე პროტოკოლის ძალაში შესვლის დღიდან ორი წლის შემდეგ ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე პროტოკოლის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან წერილობითი დოკუმენტის დეპონირების შემდეგ.

(ბ) დენონსირება ძალაში შევა დენონსირების შესახებ დოკუმენტის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

(c) შეთანხმების დენონსირება XIV მუხლის შესაბამისად ავტომატურად გულისხმობს წინამდებარე პროტოკოლის დენონსირებას.

20. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს 14.(ა) პუნქტში მითითებულ სახელმწიფოებს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას შემდეგი დოკუმენტების დეპონირების შესახებ: მე-14 და მე-15 პუნქტებში მითითებული სარატიფიკაციო სიგელები, მიღების ან შეერთების შესახებ დოკუმენტები; მე-16 პუნქტის თანახმად გაკეთებული და გაუქმებული განცხადებები; მე-17 პუნქტის (ა) და (ბ) ქვეპუნქტების შესაბამისად წინამდებარე პროტოკოლის ძალაში შესვლის ვადების შესახებ; და დენონსირების თაობაზე დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისად გათვალისწინებულია მე-19 მუხლში.

21.(ა) ეს პროტოკოლი შეიძლება გადასინჯულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ. თუმცა ნებისმიერი მსგავსი გადასინჯვა სავალდებულო იქნება მხოლოდ იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც გახდებიან გადასინჯველი პროტოკოლის წევრები.

(ბ) იმ შემთხვევაში, თუ გენერალური კონფერენცია მიიღებს ახალ პროტოკოლს, რომელიც გადასიჯავს წინამდებარე პროტოკოლს მთლიანად ან ნაწილობრივ, და თუ ახალი პროტოკოლი სხვა რამეს არ ითვალისწინებს, წინამდებარე პროტოკოლი ხელმოწერისათვის, რატიფიკაციისათვის, მიღების ან შეერთებისათვის დაიხურება ახალი გადასინჯველი პროტოკოლის ძალაში შესვლის დღიდან.

22. ამ პროტოკოლმა სახე არ უნდა უცვალოს ან შეცვალოს შეთანხმება.

23. დანართები A, B, C.1, D, E, F, G და H წინამდებარე პროტოკოლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

24. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე პროტოკოლს რეგისტრაციაში ატარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მისი ძალაში შესვლის დღეს.

რის დასადასტურებლადაც სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ ხელმოწერებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე პროტოკოლს თავიანთი მთავრობების სახელით.

დანართი A

ნიგნები, პუბლიკაციები და დოკუმენტები

(i) ნაბეჭდი ნიგნები, მიუხედავად ენისა, რომელზედაც ისინია დაბეჭდილი და ფართობის რაოდენობისა, რომელიც დათმობილი აქვს ილუსტრაციებს, შემდეგის ჩათვლით:

(a) ძვირფასი გამოცემები;

(b) იმპორტიორ ქვეყანაში მცხოვრები ავტორის ხელნაწერიდან საზღვარგარეთ დაბეჭდილი ნიგნები;

(c) ბავშვთა სახატავი და გასაფერადებელი ნიგნები;

(d) სასკოლო სავარჯიშოთა ნიგნები ნაბეჭდი ტექსტებით და ცარიელი ადგილებით, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეავსონ;

(e) კროსვორდის ნიგნები ნაბეჭდი ტექსტების ჩათვლით;

(f) ცალკეული ილუსტრაციები და ნაბეჭდი გვერდები, ცალცალკე ან შეკრული ფურცლების სახით და რეპროდუქციული ამონაბეჭდები ან რეპროდუქციული ფირები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ნიგნების გამოცემისათვის.

(ii) არაკომერციული ხასიათის ნაბეჭდი დოკუმენტები ან შეტყობინებები;

(iii) ამ დანართის (i) და (ii) პუნქტებსა და შეთანხმების A დანართის (i)-(vi) პუნქტებში ჩამოთვლილი საქონლის მიკროფორმები;

(iv) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ფილმების კატალოგები, ჩანაწერები ან სხვა ვიზუალური და მოსასმენი მასალები;

(v) რუკები და სქემები მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორცაა გეოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია, პალეონტოლოგია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და გეოფიზიკა, აგრეთვე მეტეოროლოგიური და გეოფიზიკური დიაგრამები.

(vi) არქიტექტურული, სამრეწველო ან საინჟინრო გეგმები და ნახაზები და მათი რეპროდუქციები;

(vii) ბიბლიოგრაფიული საინფორმაციო მასალები, რომლებიც განკუთვნილია უფასო დისტრიბუციისათვის.

დანართი B

საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ხელოვნების ნაწარმოებები და კოლექციონერთა კოლექციის ნიმუშები

(i) სურათები და ნახატები, მიუხედავად მასალის სახეობისა, რომლებზედაც ისინი მთლიანად ხელით იქნა შესრულებული, ხელით შესრულებული

ასლების ჩათვლით, ფაბრიკული წესით დამზადებული დეკორატიული ნაკეთობების გარდა.

- (ii) ხეზე შესრულებული კერამიკა და მოზაიკა, როგორც ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოები;
- (iii) კოლექციონერთა კოლექციის ნიმუშები და ხელოვნების საგნები, რომლებიც განკუთვნილია იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე ნებადართული გაღწერებისათვის, მუზეუმებისათვის და სხვა ინსტიტუტებისათვის, იმ პირობით, რომ არ მოხდება მათი გადაყიდვა.

დანართი C.1.

ვიზუალური და მოსასმენი მასალები

- (i) ფილმები, დიაფილმები, მიკროფილმები და სლაიდები;
- (ii) ხმოვანი ჩანაწერები;
- (iii) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ნიმუშები, მოდელები და კედლის რუკები, გარდა სათამაშო მოდელებისა;
- (iv) სხვა ვიზუალური და მოსასმენი მასალები, როგორიცაა:
 - (a) ვიდეოფირები, კინესკოპები, ვიდეოდისკები, ვიდეოგრამები და სხვა სახის ვიზუალური და ხმოვანი ჩანაწერები;
 - (b) კომპიუტერიზებული ინფორმაციისა და სადოკუმენტაციო მომსახურებისათვის საჭირო მიკრობარათები, მიკროფირები და დასამახსოვრებელი მონყობილობები ან ინფორმაციის შენახვის სხვა საშუალებები.
 - (c) მასალები დაპროგრამებული ინსტრუქციისათვის, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კომპლექტის ფორმით, შესაბამისი ნაბეჭდი მასალებით, ვიდეო- და აუდიოკასეტების ჩათვლით.
 - (d) ტრანსპარანტები, მათ შორის ისეთები, რომლებიც განკუთვნილია პირდაპირი პროექციისათვის ან ოპტიკური მონყობილობებით ხედვისათვის;
 - (e) ჰოლოგრამები ლაზერული პროექციისათვის;
 - (f) მაკეტები ან აბსტრაქტული ცნებების ისეთი გამოსახულებები, როგორიცაა მოლეკულური სტრუქტურები ან მათემატიკური ფორმულები;
 - (g) მულტიმედიის კომპლექტები;
 - (h) ტურიზმის ხელშესაწყობად გამიზნული მასალები, პირადი ინტერესებით გამოცემულების ჩათვლით, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოების გამგზავრების ნახალისებისათვის იმპორტის ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

(წინამდებარე დანართში C.1 გათვალისწინებული შეღავათები არ ეხება):

(ა) უხმარ მიკროფორმის ინვენტარს და უხმარ ვიზუალურ და მოსასმენ ჩამწერს საშუალებებს და მათ სპეციფიკურ შეკვრებს, როგორც კასეტები, კარტრიჯები, მასრები;

(ბ) ვიზუალურ და მოსასმენ ჩანაწერებს, (iv)(h) პუნქტში მოცემული ტურიზმის ხელშესაწყობად გამიზნული მასალების გარდა, რომლებიც წარმოებულია კერძო კომერციული საწარმოსათვის ან მის მიერ ძირითადად სარეკლამო მიზნებისათვის;

(ც) ვიზუალურ და მოსასმენ ჩანაწერებს, რომლებშიც რეკლამა დროის 25%-ს აღემატება. (iv)(h) პუნქტით გათვალისწინებული ტურიზმის ხელშესაწყობად გამიზნული მასალების შემთხვევაში, ასეთი პროცენტული მაჩვენებელი გამოიყენება მხოლოდ კერძო კომერციული რეკლამის მიმართ.

დანართი C.2.

საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ვიზუალური ან მოსასმენი მასალები

საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული ხასიათის ვიზუალური და მოსასმენი მასალები, როდესაც ისინი იმპორტირებულია იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ორგანიზაციების (იმპორტიორი ქვეყნის შეხედულებისამებრ, რადიოსამაუწყებლო ან სატელევიზიო ორგანიზაციების ჩათვლით) ან ნებისმიერი სხვა საჯარო თუ კერძო ინსტიტუტისა თუ ასოციაციის მიერ, ან, როცა ასეთი მასალები წარმოებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი რომელიმე სპეციალიზირებული დაწესებულების მიერ და შეიცავენ შემდეგს:

(i) ფილმები, დიაფილმები, მიკროფილმები და სლაიდები;

(ii) კინოქრონიკები (ხმოვანი ბილიკით ან მის გარეშე), რომლებიც იმპორტირების დროს მიმდინარე მოვლენებს ასახავს და იმპორტირებულია ან ნეგატივის ფორმით – ექსპოზირებული და გამჟღავნებული სახით, ან პოზიტივის ფორმით – აღბეჭდილი და გამჟღავნებული სახით. გაგებულ უნდა იქნეს, რომ უბაჟო შემოტანა შეიძლება შეიზღუდოს თითო ერთეულის ორი ასლით გამრავლების მიზნისათვის;

(iii) საარქივო ფილმის მასალა (ხმოვანი ბილიკით ან მის გარეშე) განკუთვნილი კინოქრონიკის ფილმებთან კავშირში გამოსაყენებლად;

(iv) ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი რეკრეაციული ფილმები;

(v) ხმოვანი ჩანაწერები;

(vi) ვიდეოფირები, კინესკოპები, ვიდეოდისკები, ვიდეოგრამები და სხვა სახის ვიზუალური და ხმოვანი ჩანაწერები;

(vii) კომპიუტერიზებული ინფორმაციისა და სადოკუმენტაციო მომსახურებისათვის საჭირო მიკრობარათები, მიკროფირები და დასამახსოვრებელი მოწყობილობები ან ინფორმაციის შენახვის სხვა საშუალებები;

(viii) მასალები დაპროგრამებული ინსტრუქციისათვის, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კომპლექტის ფორმით, შესაბამისი ნაბეჭდი მასალებით, ვიდეო- და აუდიოკასეტების ჩათვლით.

(ix) ტრანსპარანტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც განკუთვნილია პირდაპირი პროექციისათვის ან ოპტიკური მოწყობილობებით ხედვისათვის;

(x) ჰოლოგრამები ლაზერული პროექციისათვის;

(xi) მაკეტები ან აბსტრაქტული ცნებების ვიზუალიზაციები, როგორცაა მოლეკულური სტრუქტურები ან მათემატიკური ფორმულები;

(xii) მულტიმედიის კომპლექტები.

დანართი D

სამეცნიერო ხელსაწყოები ან აპარატები

(i) სამეცნიერო ხელსაწყოები ან აპარატები, იმ პირობით, რომ:

(a) ისინი განკუთვნილია იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე სანქციონირებული საჯარო ან კერძო სამეცნიერო ან საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის და მათი გამოყენება ხდება არაკომერციული მიზნებისათვის ამ ინსტიტუტების კონტროლისა და პასუხისმგებლობის ქვეშ;

(b) ეკვივალენტური სამეცნიერო ღირებულების ხელსაწყოები და აპარატები არ იწარმოება იმპორტის ქვეყანაში.

(ii) სათადარიგო ნაწილები, კომპონენტები ან დამატებითი მოწყობილობები, რომლებიც მიესადაგებიან სამეცნიერო ხელსაწყოებს ან აპარატებს იმ პირობით, რომ ეს სათადარიგო ნაწილები, კომპონენტები ან დამატებითი მოწყობილობები ამ ხელსაწყოებსა და აპარატებთან ერთადაა იმპორტირებული, ხოლო თუ შემდეგაა იმპორტირებული, იმ პირობით, რომ იდენტიფიცირებულნი იქნებიან, როგორც მათ წინ უბაჟოდ შემოტანილი ან უბაჟოდ შემოტანაზე ნებადართული ხელსაწყოების ან აპარატებისათვის განკუთვნილი ნივთები.

(iii) იარაღები, რომლებიც სამეცნიერო ხელსაწყოების შენახვის, შემონახვის, გაზომვის ან შეკეთებისათვის გამოიყენება, იმ პირობით, რომ ეს იარაღები ამ ხელსაწყოებსა და აპარატებთან ერთადაა იმპორტირებული, ხოლო

თუ შემდეგაა იმპორტირებული, იმ პირობით, რომ იდენტიფიცირებულნი იქნებიან, როგორც მათ წინ უბაჟოდ შემოტანილი ან უბაჟოდ შემოტანაზე ნებადართული სპეციფიკური ხელსაწყოებისა და აპარატებისათვის განკუთვნილი იარაღები და ამასთან იმ პირობით, რომ ეკვივალენტური სამეცნიერო ღირებულების იარაღები არ იწარმოება იმპორტის ქვეყანაში.

დანართი E

ბრმათა და სხვა ნაკლის მქონე პირთათვის განკუთვნილი საქონელი

(i) ბრმათა საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული განვითარებისთვის სპეციალურად განკუთვნილი ყველა საქონელი, რომელიც პირდაპირაა იმპორტირებული იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი ბრმათა განათლებაზე ან მათ დახმარებაზე მზრუნველი ინსტიტუტებისა ან ორგანიზაციების მიერ და რომელშიც შედის:

(a) წიგნის ხმოვანი ჩანაწერების (დისკები, კასეტები ან სხვა ხმოვანი რეპროდუქციები) და დიდი ფორმატის წიგნები;

(b) ფონოგრამები და მაგნიტოფონები, რომლებიც სპეციალურადაა განკუთვნილი ან ადაპტირებული ბრმათათვის ან სხვაგვარი ნაკლის მქონე პირთათვის და საქირთა წიგნის ხმოვანი ჩანაწერების მოსაშენად;

(c) მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია ბრმათა ან ნაწილობრივ მხედველთა მიერ ჩვეულებრივი ნაბეჭდის წასაკითხად, როგორიცაა ელექტრონული საკითხავი ხელსაწყოები, სატელევიზიო გამადიდებლები და დამხმარე ოპტიკური საშუალებები;

(d) მოწყობილობები ბრაილის მექანიკური ან კომპიუტერიზებული პროდუქციისა და ჩანურილი მასალებისათვის, როგორიცაა სტერეოსაბეჭდი მანქანები, ელექტრონული ბრაილი, გადაძვევი და ჩამხშობი ხელსაწყოები, ბრაილის შრიფტი, კომპიუტერული ტერმინალები და დისკლები;

(e) ბრაილის ქალაღები, მაგნიტური ფირები და კასეტები, რომლებიც განკუთვნილია ბრაილის პროდუქციისა და ხმოვანი წიგნებისათვის;

(f) ბრმათა მოძრაობის გასაუმჯობესებლად განკუთვნილი დამხმარე საშუალებები, როგორიცაა ელექტრონული ორიენტაციისა და დაბრკოლების გამოვლენის საშუალებები და ხელჯოხები;

(g) ტექნიკური საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ბრმათა განათლების, რეაბილიტაციის და პროფესიული სწავლებით დასაქმებისათვის, როგორიცაა ბრაილის საათები, ბრაილის საბეჭდი მანქანები, სახელმძღვანელო და სასწავლო საშუალებები, თამაშები და ბრმათა მიერ გამოყენებისათვის სპეციალურად ადაპტირებული სხვა ხელსაწყოები.



(ii) სხვა ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე პირთა განათლების, დაქმნისა და სოციალური წინსვლისათვის სპეციალურად განკუთვნილი ყველა მასალა, რომელიც პირდაპირაა იმპორტირებული იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი უსინათლოთა განათლებაზე ან დახმარებაზე მზრუნველი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მიერ, იმ პირობით, რომ ეკვივალენტური საგნები არ იწარმოება იმპორტიორ ქვეყანაში.

დანართი F

სპორტული მოწყობილობები

სპორტული მოწყობილობები, რომლებიც სპეციალურადაა განკუთვნილი იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი სპორტული ასოციაციების ან ჯგუფებისათვის, იმ პირობით, რომ ეკვივალენტური საგნები არ იწარმოება იმპორტიორ ქვეყანაში.

დანართი G

მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა მუსიკალური მოწყობილობები

მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა მუსიკალური მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ამგვარი საქონლის უბაჟოდ შემოტანაზე უფლებამოსილი კულტურული ინსტიტუტების ან მუსიკალური სკოლებისათვის, იმ პირობით, რომ ეკვივალენტური მოწყობილობები და სხვა აღჭურვილობა არ იწარმოება იმპორტიორ ქვეყანაში.

დანართი H

წიგნების, პუბლიკაციებისა და დოკუმენტების გამოცემისათვის საჭირო მასალები და მექანიზმები

(i) წიგნების, პუბლიკაციებისა და დოკუმენტების გამოცემისათვის საჭირო მასალები (მერქნის მასა, გადაამუშავებული ქალაღი, საგაზეთო ქალაღი და სხვაგვარი ქალაღები, რომლებიც გამოიყენება დასაბეჭდად, შესაღებად, შესანებებლად და ა.შ.)

(ii) მექანიზმები, რომლებიც განკუთვნილია მერქნის მასის ან ქალაღის დამუშავებისათვის, და აგრეთვე საბეჭდი და ასაკინძი მანქანები, იმ პირობით, რომ ეკვივალენტური ტექნიკური ხარისხის მანქანები არ მზადდება იმპორტიორ ქვეყანაში.

68

n8/4



ISBN 99928-70 35 4



9 789992 870358